



ISSN 0132-5981

საბჭოთა საპარტიალო



78 / 3
87 / 3

1987

მთავარი რედაქტორი
ლარი ი ალავეკაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანზო არსენაშვილი
(მეცნიერ.-რედაქტორი)
გელა ზეკელიანი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანუორ გავინი
შოთა გორგოძე
აბაკი ქარანაძე
დურმიუხან ლორია
ვანტანგ რაზმაძე
გრიგოლ გონიშვილი
თამაზ შავჭულაძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯენაძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор).
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)
Габиани А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

საზოგადოებრივი სამეცნიერო

№ 3

მაისი
1987 წელი

თურნალი გამომცემის 1986 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ
შიინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი
სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკკბ ცენტრალურ კომიტეტში	3
დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა	7
დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა	9
ი. ფეოფანოვი — ორი სხვა	12
წესრიგი ძველებზე და ძველფარსი	
შ. ყარყარაშვილი — მეტი პასუხისმგებლობითა და აქტიურობით	17
გ. ერემოვი — რეფერენდუმის ცნება, მისი როლი და მნიშვნელობა	24
სასამართლო პრაქტიკის განვითარება	
გ. ყოლაია — დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება	30 ✓
მეცნიერული ცხოვრება	
გ. გურული — სამართლებრივი აღზრდის სადღეისო მოთხოვნები	36
სასამართლო მესავერები: სიხლენი და პრაქტიკა	
შ. ხომასურიძე — ნივთიერებების, მასალებისა და ნაკეთობების კრიმინალისტური ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი	42
მეცნიერული და სამართლებრივი აღზრდა	
შ. ნაცვლიშვილი — სიხლენი სამართლებრივი ცოდნის პრობლემატიკა	45
წინადადებათა, შენიშვნათა	
გ. გულიანი — აღმოგვხვრათ ბინების თვითნებურად დაკავების მიზეზები	50
პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში	
ი. აქუზარდია — საქართველოს სსრ პროკურატურის შექმნის საკითხისათვის	54
ჩვენი პროფესიის აღზრდა	
გ. ბერძენიშვილი — დიდი ილიას სახელობის...	57
დანიშენა	58
მეთოდური რეკომენდაციები	59
სანოტარო პრაქტიკა	61
ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“	62
ნარკომანიას — დაუნდობელი ბრძოლა	
სიკოტლის მტრები	72
ინფორმაცია	73
წინასწარ შენიშვნა	
ახალი გამოცემები	75
კრიმინალისტიკის ისტორიიდან	
ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები	77

СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитете КПСС	3
Постановление Президиума Верховного Совета Союза ССР	7
Постановление Президиума Верховного Совета Грузинской ССР	9
Ю. Феофанов — Двое других	12
Порядок везде и во всем!	
Ш. Каркарაშვილი — С большой ответственностью и активностью	17
Г. Еремов — Понятие, роль и значение референдума	24
Обобщение судебной практики	
Г. Колбая — Возмещение причиненного преступлением материального ущерба	30
Научная жизнь	
Г. Гурули — Требования правового воспитания на современном этапе	36
Судебная экспертиза: новшества и практика	
Ж. Хомасуридзе — Некоторые вопросы экспертизы веществ, материалов и изделий	42
Подросток и правовое воспитание	
Ш. Нацвлишვილი — Новшество в пропаганде правовых знаний	45
Предложения, замечания	
Г. Гуледани — Искореним причины самовольного вселения в квартиры	50
Первые шаги в науке	
И. Акубардия — К вопросу о создании прокуратуры Грузинской ССР	54
Люди нашей профессии	
Г. Бердзенишვილი — Премия Ильи Чавчавадзе	57
Назначения	58
Методические рекомендации	59
Нотариальная практика	61
Э. Кипиანი, Т. Шавгулидзе — Право для всех	62
Наркомании — беспощадный бой!	
Враги жизни	72
Информация	73
На книжную полку	
Новые издания	75
Из истории криминалистики	
Известные уголовные дела	77



© „საბჭოთა სამართალი“, 1987 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, პლენარის კრ. 108, ბ. 95-88-49, 95-58-87.

გადეცა წარმოებას 15.05.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.87 წ.,
ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 1297.

ტირაჟი 35.500.

უგ 04878

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის და-
ლევისა და ამ მუშაობის გააქტიურების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებათა შესრულების მიზანშეწონილი საკითხი“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის
ლონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 7 მაისის დადგენილების
მიღებიდან განვიღო დროში ცენტრში და ადგილებზე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა
ფიზიკური ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, ლოთობისადმი შეუპოვებლობის ვითარების
შექმნისათვის. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში ზნეობრივი ატმოსფეროს გაქანსაღებას, შრო-
მის დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. სპირტიანი სასმელების მოხმარება
1986 წელს თითქმის ორჯერ შემცირდა 1984 წელთან შედარებით. შემცირდა სამუშაო დროის
დანაკარგები მოცდენების გამო. მესამედით შემცირდა სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მიყ-
ვანილი პირთა რიცხვი, 26 პროცენტით — ლოთობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა რიც-
ხვი. შემცირდა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ტრავმატოზში. მნიშვნელოვნად იკლო ავტო-
ავარიების შედეგად დაზარალებულთა რიცხვი. მრავალი წლის მანძილზე ქვეყანაში პირველად
შემცირდა ადამიანთა სიკვდილიანობა.

განვიღო ორი წლის პრაქტიკა ადასტურებს იმ დასახული ამოცანის რეალობას, რომ
აღმოფხვრას ლოთობა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან. ამ მიზნით განხორციელებულ
ლონისძიებებს მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამავე დროს ეს მუშაობა ყველგან როლი მიმდინარეობს სათანადო სიმტკიცით, შემტვე-
თობითა და თანამიმდევრულობით. ჯერჯერობით არ მოხერხდა ყველგან შემქმნილიყო ლოთობის
წინააღმდეგ ბრძოლის ფართო ფრონტი, ამ პრობლემებისაკენ შემოგვებრუნებინა ყველა პარ-
ტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაგვეზარდა შრომითი კოლექტივების აღმზრდე-
ლობითი როლი და გავლენა, უზრუნველვგვეყო აღმზრდელობითი, ეკონომიკური და ადმინის-
ტრაციული-სამართლებრივ ღონისძიებათა უნარიანი შესამება. არ არის საგრძნობი შემობრუნება
სოციალური ბოროტების კონკრეტულ მატარებლებთან მუშაობის დიფერენცირებული, ინდი-
ვიდუალური ფორმებისაკენ.

პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების,
მრავალი მუშაკი ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეეიდება ამ საკითხებზე სკკპ ცენტრალური
კომიტეტის დადგენილებათა შესრულებას; გადაჭარბებით აფასებს მიღწეულს, არ ითვალისწი-
ნებს იმას, რომ სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილებას ვერ დავძლევეთ ერთი ხელის დაკე-
რით, ხმაურიანი ხანმოკლე კამპანიებით, თუ შეუშოვარი, სისტემატური, გულმოდგინე მუშაობა
არ ვაწარმოეთ. უმთავრესად ამკრძალავი, ადმინისტრაციული მეთოდებით ლოთობის აღმოფხვ-
რის პრობლემის გადაჭრის ცდები არათუ არ გვაძლევს მტკიცე შედეგებს, არამედ, პირიქით,
ავადმყოფობას უფრო აღრმავებს, წარმოშობს ახალ პრობლემებს, ამის შედეგად კი სახელს
უტეხს მნიშვნელოვან, საჭირო საქმეს.

ბევრ ადგილას მუშაობა ლოთობის პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის ამ ბოლო
დროს შესუსტდა. კვლავ არის წარმოებებში, მათ შორის საავტომობილო და რკინიგზის
ტრანსპორტზე, საზღვაო ფლოტის გემებზე, სხვა იმ დარგებში სმის შემთხვევები, სადაც
წარმოება დაკავშირებულია გაზრდილ საშიშროებასთან. აქა-იქ აღმოფხვრილი არ არის სპირ-
ტიანი სასმელების ვაჭრობის წესების დარღვევები, ქალაქების ქუჩებში კვლავ ჩნდება
მთვრალეები. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში 1987 წლის პირველ კვარ-
ტალში გაიზარდა დამნაშავეთა ლოთობის ნიადაგზე.

კვლავინდებურად მცირეა აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური მუშაობის ქმედითობა.
განსაკუთრებით შეუწყნარებელია ის, რომ ბევრი პარტიის წევრი, მათ შორის ზოგიერთი
ხელმძღვანელი მუშაკი, არ გვიჩვენებს იმათ მიმართ შეუპოვებლობის, უკომპრომისობის მაგა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ლითს, ვინც არღვევს ანტიალკოჰოლურ კანონმდებლობას, ხოლო მათგან ცალკეულები თავად არიან შეპყრობილი ამ მანკით. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ყოველთვის ზუსტ, პრინციპულ პოზიციას როდი აღგანან პარტიული ორგანიზაციები. პასიურად იქცევა ბევრი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია, შემოქმედებითი კავშირი. შენელდა ანტიალკოჰოლური პროპაგანდის აქტიურობა, რომელსაც ეწვევიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაში აქტიურ შეტევითს პოზიციას არ დასდგომიან სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები და სპეციალისტები. ჯერ კიდევ სუსტად ავლენენ თავს სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები.

საგრძნობი გარდატეხა არ მომხდარა მთელირიგი სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა საქმიანობაში, რომლის მიზანია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, კულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განმტკიცება და გაფართოება, მისი ყაირათიანი გამოყენება. მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდების, დასვენების ორგანიზაცია ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე მწვევე და საჭირობო პრობლემაა.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ნარკოლოგიური სამსახურების მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და მათი მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერებას. დაბალია ექიმ ნარკოლოგთა კვალიფიკაციის დონე.

სკკ ცენტრალურ კომიტეტს შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ 1987 წლის პირველ კვარტალში წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა ყურძნის ღვინისა და კონიაკის ნაწარმის დამზადება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის საწარმოებში. ადგილობრივი ორგანოების წაყრუებით ამ ბოლო დროს მთელ რიგ რეგიონებში, განსაკუთრებით მოლდავეთში, თათრეთის, უღმურეთისა და კომის ასს რესპუბლიკებში, ალტაის მხარეში, ბელგოროდის, ვინიცის, კიევის, კურსკის, ლიპეცკის, სმოლენსკის, სუმის, ტიუმენის, ჩერნოვიცის, ჩერკასის ოლქებში იზრდება არყის შინ გამოხდა, რისთვისაც ყიდულობენ დიდძალ შაქარს. ეს ძირს უთხრის ლოთობის დაძლევისათვის მუშაობას, იწვევს უდიდეს ეკონომიკურ ზარალსა და ზნეობრივ ზიანს.

ლოთობის, ალკოჰოლიზმის, სპირტიანი სასმელების სპეკულაციის, და, უწინარეს ყოვლისა, არყის შინ გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯეროვან აქტიურობას არ იჩენენ სამართალდაცვითი ორგანოები. მცირეა ამ საქმეში მილიციის უზნის ინსპექტორების, სახალხო რაზმელების, საზოგადოებრიობის როლი.

შექმნილი ვითარება მოთხოვს სერიოზულ, გადაუდებელ ღონისძიებებს, თვითდამშვიდების განწყობილების, აგრეთვე ფეხმოკიდებული ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის სინელებებისა და სირთულეების წინაშე დაბნეულობის გამოვლინებათა დაძლევის.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს გაააქტიურონ მუშაობა სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრა, მიანიჭონ მას ახალი იმპულსი, სისტემატურობა და ქმედითობა, აიყვანონ იგი თვისებრივად ახალ დონეზე. მთელი მეცადინეობა მოახმარონ გულმოდგინე ორგანიზატორულ და აღმზრდელიობით, პროფლაქტიკურ მუშაობას, ადამიანთა შეგნებისა და ფსიქოლოგიის გარდაქმნას, მათი შინაგანი კულტურის ამაღლებას, ოჯახში, ყოფისა და ცხოვრების სფეროში ურთიერთობის გაჯანსაღებას. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს ნარკომანიის, თამბაქოს წვევის აღმოფხვრასთან კომპლექსით. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ადამიანებზე იდეურ-ზნეობრივი შემოქმედების ყველა ფორმა, ფხიზელი ცხოვრების წესის კოლექტიური გარანტიისათვის მოძრაობა.

ამ მუშაობას რომ ვეწვიოთ, უნდა ვეყრდნობოდეთ სოციალიზმის მორალურ ღირებულებებს, საზოგადოებრივი აზრის ძალას, ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ აქ წარმატებას გადაწყვეტს ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმიანი, უღობიერი, ჰემამარიტად რევოლუციური ომი ბოროტების კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ, მასების აღზრდა კონკრეტული მაგალითებით. წარმოებაში, საზოგადოებრივ ადგილებში ლოთობის შემთხვევების მტკიცედ აღკვეთისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლოთობამ გადაინაცვლა უმთავრესად ყოფა-ცხოვრების სფეროში — ოჯახში, საერთო საცხოვრებლებში. უკომპრომისოდ უნდა

გებრძოლოთ უკულტურობის, ყოფაცხოვრებასა და სტუმართმოყვარეობის ფორმებში ყოველგვარ ზედმეტობას.

სსკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანტილაკოპოლური კანონმდებლობის ყოველგვარი დარღვევა შეუთავსებელია პარტიის რიგებში, მით უმეტეს კი ხელმძღვანელ თამამდებობებზე, არჩევითს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებში, აგრეთვე მოზარდი თაობის განათლებასა და აღზარდასთან დაკავშირებულ სამუშაოზე ყოფნასთან.

ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდებს ჩამოვუყალიბოთ მტკიცე ანტილაკოპოლური მრწამსი, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ბავშვები და მოზარდები დავიცვათ ალკოჰოლის დამღუპველი გავლენისაგან, გავერთიანოთ საამისოდ ოჯახის, სკოლის, საზოგადოებრიობის შესაძლებლობანი. ამ მუშაობაში ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებლებმა, ექიმებმა, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივისტებმა, უფრო საგნობრივად უნდა მოვექიდეთ არეულ ოჯახებს, „ძნელ“ მოზარდებს.

სსკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის ყურადღება მიაპყრო ზოონისა და უინიციატივობას მოსწავლეთა ანტილაკოპოლური განათლების სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში. საჭიროდ არის მიჩნეული ახალგაზრდობის, და უწინარეს ყოვლისა, მოზარდების დასვენების გაუმჯობესებისათვის გავაფართოოთ მოყვარულთა გაერთიანებების, კლუბების ქსელი, დავაჩქაროთ საცხოვრებელ მიკრორაიონებში სპორტულ-კულტურული კომპლექსების შექმნა, თანაც საამისოდ გამოვიყენოთ იმ შესაბამის საწარმოთა და გაერთიანებთა სახსრები, რომელთა მუშაკები აღნიშნულ მიკრორაიონებში ცხოვრობენ.

სსკპ ცენტრალურ კომიტეტს შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, სამშენებლო სამინისტროებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა ვერ უზრუნველყვეს კლუბების, კულტურის სახლების, სპორტული ნაგებობების მშენებლობის 1986 წლის გეგმების შესრულება. კულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განვითარებასთან ერთად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და სპორტული ნაგებობანი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს განახორციელონ ნარკოლოგიური სამსახურის ბაზის არსებითი განმტკიცებისა და მუშაობის ეფექტიანობის ზრდის, კვალიფიციური კადრებით მისი გაძლიერების ღონისძიებანი.

სამართალდაცვითს ორგანოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ არყის შინ გამოხდის აღკვეთის ეფექტიანი ღონისძიებანი. მკაცრად აგებინონ პასუხი იმათ, ვინც ანიავებს შაქრის სახელმწიფო რესურსებს, არადანიშნულები-სამებრ იყენებს მას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, ცენტროსოუზმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სავაჭრო ქსელი აქვთ, უნდა უზრუნველყონ ღვინისა და არყის ნაწარმის ვაჭრობის დადგენილი წესის მკაცრი დაცვა. ადგილობრივ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ გააუქმონ ტალონებით, სიებით, შეკვეთებით სპირტიანი სასმელების ვაჭრობა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება თავად ლოთობის აღმოფხვრისათვის ბრძოლის იდეას, სახელს უტეხს მას.

საჭიროდ არის მიჩნეული ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ სამინისტროების და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოო შესაძლებლობანი, სანედლეულო რესურსები, რათა გამოვუშვათ მოსახლეობისათვის საჭირო მეტი მატარებლისაგან საჭონელი და გავზარდოთ სა-

ხალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ეფექტიანობა, შევასრულოთ საქონელბრუნვის გეგმა.

ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების ყურადღება მივყავრო იმას, რომ მიზანმიმართული მუშაობა არ წარმოებს ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის შემცირების შედეგად საქონელბრუნვაში დანაკარგების ანაზღაურებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მოსთხოვა განახორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი, რათა შექმნან მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი ფასიანი მომსახურების სფერო, რომელიც მოიცავს ადამიანთა ყოფაცხოვრებას, დასვენებას, ტურიზმს, ჯანბრუნვას და ცვას, გააფართოონ სპეციალიზებული სამსახურების ქსელი, ჩააბან მომსახურებაში ყველა საწარმო უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. სოფლად ყოველ დასახლებულ პუნქტში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალეებით მოაგვარონ, რომ მოსახლეობას მომსახურება ეწეოდეს ბინების შეკეთების, საკარმიდამო ნაკვეთების მოხვნის, შეშის დახერხვის, სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის საქმეში.

აღინშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახგარომრეწვა, მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სერიოზული ჩამორჩენა დაუშვეს ყურძნის რაციონალური გამოყენებისა და ალკოჰოლური წარმოებების პროფილის შეცვლისათვის მუშაობის ორგანიზაციაში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახგარომრეწვს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცა განახორციელონ ყველა ღონისძიება იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ 1987 წლის ყურძნის მოსავალი საკვები მიზნებით. არ დაუშვან ვენახების ფართობის შემცირება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა დააჩქარონ იმ საწარმოთა ხელახალი აღჭურვა, რომლებმაც შეწყვიტეს ალკოჰოლიან სასმელების გამოშვება იმ მიზნით, რომ გამოუშვან საკვები პროდუქცია, რომელზეც არის მოსახლეობის მოთხოვნა. უფრო ფართოდ ჩააბან ამ საქმეში ყველა სამინისტროსა და უწყების მანქანათსაშენებელი ქარხნები.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა შეუწყონ ხელი სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის მოგვარებას, ამასთან მათი საქმიანობა მოახმარონ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას, დამაჯერებელი, დასაბუთებული ანტიალკოჰოლური პროპაგანდის გეგმას, იმ გავრცელებული აზრის გაბათილებას, თითქოს ღვინის ზომიერი, ეგრეთწოდებული „კულტურული“ სმა, მავნებელი არ იყოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა დააჩქაროს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკისა და დაძლევის საერთო საკავშირო კომპლექსური პროგრამის მიღება და უზრუნველყოს მისი თანამიმდევრული რეალიზაცია.

პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, გაზეთების რედაქციებს, რადიოტელევიზიას, შემოქმედებით კავშირებს წინადადება მიეცათ განხილონ საკითხები, რომლებიც უკავშირდება ჯანსაღი ფიზიკური ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ენერგულუბას, განახორციელონ ამ მუშაობის მნიშვნელოვანი გაძლიერების ენერგიული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევა პარტიას მიაჩნია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტუალურ ამოცანად, გარდაქმნის, იმ მრავალპლანიანი მუშაობის შემადგენელ ნაწილად, რომელიც წარმოებს იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფერო გაიწმინდოს ყოველივე იმისაგან, რაც უტყბოა სოციალისტური წყობილებისათვის. ამ თვალსაზრისით არ უნდა დაგუშვათ არავითარი გადახრა და ძალისხმევის შესუსტება. სიფხიზლის, როგორც ჩვენი ცხოვრების ნორმის, დამკვიდრების კეთილშობილური საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.



დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„მართლწესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ საბჭოთა კანონების მოთხოვნების შესრულები-სადმი ზედამხედველობისათვის სსრ კავშირის პროკურატურის საქმიანობის თაობაზე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ანგარიშის გამო“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ პროკურატურის ორგანოებმა, რომლებიც ასრულებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ანგარიშის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 3 ივლისის დადგენილებას, განახორციელეს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის გამიზნული მთელი რიგი ღონისძიებანი, გააქტიურეს კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის საქმიანობა. ახლა ისინი უფრო მტკიცედ იღვწიან სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, მეტად ეყრდნობიან შრომითს კოლექტივებს კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში.

ამავე დროს პროკურატურის ორგანოების საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მათს მუშაობაში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებზეც მიუთითა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ზედამხედველობას კანონმდებლობის დაცვისადმი სამეურნეო საქმიანობაში, სადაც ვერა და ვერ აღმოიფხვრა წამატებები, მექრთამეობა, უყაირათობა. სუსტად გამოიყენება კანონის ძალა საგემო და სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების თავიდან აცილების, ბუნებრივი რესურსების დაზოგვის, შრომის დაცვის, სხვინაო კანონმდებლობის შესრულების საქმეში.

პროკურორებს აკლიათ ჯეროვანი პრიციპულობა პირობაში კუთხურობის, უწყებრიობის გამოვლინებების, თანამდებობის პირთა ბიუროკრატიზმისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებენ საზოგადოების ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს. აღმოფხვრილი არ არის შეუწყნარებელი ფაქტები, როცა უგულვებლყოფენ კანონის მოთხოვნებს სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის, მოქალაქეთა დაკავებისა და დაპატიმრების დროს, დაუსაბუთებლად გადასცემენ პასუხისგებაში ცალკეულ პირებს. არასაკმარისია პროკურატურის ორგანოების ურთიერთმოქმედება სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ისეთ სოციალურად საშიშ გამოვლინებათა აღკვეთაში, როგორც არის უშრომელი შემოსავლის მიღება, ლოთობა, ნარკომანია, და მათი მიზეზების აღმოფხვრაში. ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ პროკურორების ჯეროვან რეაგირებას სახალხო დეპუტატთა მიმართებებზე, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა სიგნალებზე კანონიერებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით.

2. სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა, სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიამ, რომლებიც წარმოთავენ პროკურატურის ორგანოების საქმიანობას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე პარტიის XXVII ყრილობის მითითებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 3 ივლისის დადგენილების უთუო შესრულებისათვის. აქტიურად დაიცვან მოქალაქეთა შრომის, ბინის, სხვა უფლებები და კანონიერი ინტერესები. გააძლიერონ მომთხზვნელობა მთელი საპროკურორო-საგამომძიებლო კადრებისადმი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის უმწიკვლოდ შესრულებისათვის. დაუყოვნებლივ მოახდინონ მწვავე რეაგირება თანამდებობის პირთა მიერ კანონების დარღვევებზე, მათი პოსტებისა და რანგების მიუხედავად. უზრუნველყონ დანაშაულობათა დროული და სრული გახსნა, დამნაშავე პირთა დასჯის აუცილებლობა.

სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და გაღრმავების პირობებში პროკურატურის ორგანოებმა უნდა გააფართოონ თავიანთი საქმიანობის საჯაროობა, ყოველმხრივ განამტკიცონ კონტაქტები სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუშაობაში კანონმდებლობის განმარტებისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბრომიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მინთაშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 27 მარტი.



მათი მონაწილეობით განხილული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების, საკასაციო და საზედამხედველო გადასინჯვის შედეგებს, პრაქტიკაში არ არის შემოღებული სასამართლოში საქმეთა განხილვისას დაშვებული ყველაზე დამახასიათებელი შეცდომების განზოგადება (ქ. თბილისის კალინინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების, კასპისა და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები).

სახალხო მსაჯულები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშით იშვიათად გამოდიან ამომრჩევლების, შრომითი კოლექტივების წინაშე და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას. უფრო მეტიც, 1986 წელს ქ. ფოთის, წულუკიძის, წითელი წყაროს, გურჯაანისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს საერთოდ არ ჩაუბარებიათ ანგარიში თავიანთი ამომრჩევლებისათვის.

ბევრი სახალხო მსაჯული ფაქტობრივად არ მონაწილეობს აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ საქმიანობაში.

არადამკამყოფილებელია მუშაობა სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი მომზადების ამალგების, მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და განზოგადება-გავრცელებისათვის.

მუშაობაში სერიოზული შეცდომები და ხარვეზები აქვს ზოგიერთ სახალხო მსაჯულთა საბჭოს, რომელიც სახალხო სასამართლოსთან ფუნქციონირებს. უმოქმედოდ არიან თიანეთისა და ლენინგორის რაიონების სახალხო სასამართლოებთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოები. ფორმალში, ინერტულობა და საქმისადმი ზერელე მიდგომა ახასიათებს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის, საგარეჯოს, კასპისა და ზოგიერთ სხვა რაიონის სახალხო სასამართლოებთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოების ბევრი სექციის მუშაობას.

სახალხო მსაჯულთა საბჭოები სუსტად თანამოქმედებენ შრომითს კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოებთან სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის, სამართალდარღვევათა აცდენისა და სხვადასხვა აღმზრდელობით ღონისძიებათა ჩატარების საქმეში.

სახალხო მსაჯულთა საბჭოებისა და მათი სექციების მუშაობაში აღნიშნული არსებითი ნაკლოვანებები და ხარვეზები მნიშვნელოვნად აქვეითებენ სახალხო სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა და განჩინებათა დროულ შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისათვის მათი საქმიანობის დონეს.

სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ზერელედ და ებიზოდურად მუშაობენ სახალხო მსაჯულებთან, არ უწყევენ მათ ჯეროვან დახმარებას ამომრჩევლებისა და შრომითი კოლექტივების წინაშე ანგარიშგების ორგანიზაციასა და ჩატარებაში, იშვიათად იხილავენ თავიანთ სხდომებზე მათი მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უშლიან ხელს სახალხო მსაჯულებს მონაწილეობა მიიღონ სასამართლო საქმეთა განხილვაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ უთმობს სახალხო მსაჯულთა მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, არასაკმარის პრაქტიკულ, მეთოდურ და სამართლებრივ დახმარებას უწყევს მათ, სუს-

ტად ავრცელებს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და სასამართლოს გა-
დაწყვეტილებათა შესრულებისათვის მათი მუშაობის დადებით გამოცდილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობა მართლმსაჯუ-
ლების აღსასრულებლად და რესპუბლიკის მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-
განმარტებითი მუშაობის გასაწევად სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ამაღ-
ლებისათვის ჩაითვალოს არასაკმარისად.

2. დავალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს:

გაითვალისწინოს სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის
XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები და მოთხოვნები, „სოციალის-
ტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალა-
ქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შე-
სახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და სადირექტივო
ორგანოების სხვა გადაწყვეტილებათა მოთხოვნები, რომლებიც გამიზნულია
სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განსავითარებლად, სახელმწიფო საქ-
მეებში და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება-
ში მონაწილეობისათვის მოქალაქეთა ფართოდ მისაზიდად;

დასახოს ღონისძიებანი სახალხო მოსამართლეთა პასუხისმგებლობის ასა-
მაღლებლად სახალხო მსაჯულებთან მუშაობის მდგომარეობისათვის;

მიიღოს ზომები სასამართლო საქმეთა განხილვაში ყველა სახალხო მსა-
ჯულის აქტიურად ჩასაბმელად, მართლმსაჯულების აღსრულებასა და სამარ-
თალდარღვევათა აცდენაში მათი როლის ამაღლებისათვის.

ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს სა-
ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის მარტში.

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკო-
მებმა:

სერიოზული ყურადღება დაუთმონ, რათა სახალხო მსაჯულთა შერჩევი-
სას გათვალისწინებულ იქნეს მათი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვის-
ებები, უნარი კეთილსინდისიერად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა:
სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარებისას უზრუნველყონ ფართო საჯა-
როობა, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიზმის პრინციპები;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა და შრომითი კო-
ლექტივების წინაშე სახალხო მსაჯულთა რეგულარული ანგარიშგების პრაქ-
ტიკას, აამაღლონ მათი როლი და აქტიურობა დისციპლინის, წესრიგის, ორგა-
ნიზებულობის განმტკიცებაში, მოსახლეობას შორის აღმზრდელობითი მუ-
შაობის ჩატარებისა და სამართალდარღვევათა აცდენაში;

გააძლიერონ სახალხო მსაჯულთა ურთიერთკავშირი და თანამოქმედება
სამართლადამცველ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და
საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან, რეგულარულად განიხი-
ლონ აღმასკომების სხდომებზე მათი საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირე-
ბული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჯ. აპარაცხელია.
თბილისი 1987 წლის 26 თებერვალი.

ორი სხვა

იური ფოფანოვი

მს დიდი ხნის წინათ მოხდა. ამ პროცესის შესახებ კარგა ხანია რაც დავწერე კიდეც. უჩვეულო იყო ეს სასამართლო. ერთმანეთს წაეჩხუბა მოზარდა ორი ჯგუფი — პირდაპირ „ვესტ-საიდის ამბავია“ ის, რაც მასუთის გასასვლელში მოხდა. იმ ჩხუბის დროს ერთი მოკლეს. ჩვიდმეტი წლის სუსტმა ახალგაზრდამ ჯერ გამოძიების დროს, მერე კი სასამართლოზე აღიარა:

— მე დავარტყი დანა.

ყველაფერი ცხადია: აღიარება ხომ მტკიცებულებათა დედოფალია! აღიარება, რა თქმა უნდა, გამაგრებული და დადასტურებული იყო მრავალი სხვა სამხილითა და ჩვენებით...

შემდეგ კი მტკიცებულებათა მთელი რკინის ჯაჭვი დაიშალა. და მაშინ ისევ „იზვესტიკაში“ დავწერე, რა ჭკვიანი იყო ადვოკატი, ერთიმეორის მიყოლებით რომ პოულობდა წინააღმდეგობებს, რა ვაჟკაცობა დასჭირდა პროკურორს, რომ უარი ეთქვა ყმაწვილისათვის წაყენებულ ბრალდებაზე, თავად რომ იკისრა მკვლელის როლი, რათა „უმადლესი ზომისაგან“ ეხსნა მოზარდი.

ოღონდ ესაა, ერთი ეპიზოდი ვერ მოხვდა ქალაღზე, ჯერ ერთი, არ დავსწრებივარ იმ სხდომას, როცა ეს ამბავი მოხდა, და მეორეც, მაშინ საერთოდ ჩავთვალე, რომ იგი არ იყო მაინცდამაინც სერიოზული რამ. ერთი კია, ისეთ ამბად მივიჩნიე, რომელმაც რამდენადმე ჩრდილიც კი მიაყენა „მოსამართლის მანტიას“. სასამართლოზე კი, აი რა მოხდა, როცა მთავარი ბრალდებული იძლეოდა მორიგ ჩვენებას, თუ როგორ არტყამდა დანას, სახალხო მსჯულთმა, უკვე ხანში შესულმა კაცმა, სიტყვა შეაწყვეტინა მას არაპროცესუალური რეპლიკით:

— სტყუე, ჯეელო! აბა, ერთი მითხარი, ცინგლიანო, სად გაქვს იმის თავი, რომ დანა აღგემართა ორმეტრიან სტუდენტზე...

ეტყობა, ამან სასამართლოში დაბნეულობა გამოიწვია. შესაძლოა, თავმჯდომარემ გააქარწყულა კოლეგის მიერ დაშვებული „სასამართლო უტაქტობა“. დასაშვებად მიმაჩნია, რომ სამხილთა ჯაჭვი დაიშალა არა ამ „უტაქტობის“ დარტყმით, არამედ პროცესის ყველა მონაწილის ბრძნული მუშაობის წყალობით... ყველაფერი რაც გნებავთ დასაშვებად მიმაჩნია. მაგრამ ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია: რატომ მაშინ ვერ დავაკვირდი — იქნებ, სწორედ ამ არაპროცესუალურმა ეჭვმა შეატრიალა ყველაფერი? მანამდე ხომ ხანგრძლივი გამოძიება, პირზე დაყენება, ექსპერტიზები იყო. აქ კი მხოლოდ ერთი — ეჭვი! მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ვიცით: უგუნური ბიჭი ერთადერთი იყო, ვინც დაინახა და წამოიძახა, მევე შეიშველიაო.

მათლაც, ვინც ხნოვანებით ცოტათი უფროსია, იმას კარგად ახსოვს შესანიშნავი ამერიკული ფილმი „12 განრისხებული მამაკაცი“. მთელი მოქმედება იქ მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა ოთახში. ყველა დარწმუნებულია განსასჯელის ბრალში. მხოლოდ ერთს ეპარება ეჭვი მოვლენათა ჯაჭვის უმნიშვნელო ეპიზოდის უტყუარობაში. მხოლოდ ეპარება ეჭვი! ესაა და ეს, ვერდიქტი: გამართლებულ იქნეს. იმიტომ კი არა, რომ ირწმუნეს უდანაშაულობა. არა! ვერ დარწმუნდნენ დამნაშავეობაში...

ბოლო დროს სასამართლო შეცდომებზე ბევრს ლაპარაკობენ და წერენ. მათ ანალოგიზებენ მეცნიერები და ჟურნალისტები, იხილავენ მაღალი დონის თათბირებზე. გასაგებია: საზოგადოებას არ შეიძლება არ აწუხებდეს უდანაშაულოდ მსჯავრის დადების თუნდაც ერთი შემთხვევა. ვაი, რომ შემთხვევა ერთი არ არის! ვესწრებოდი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბოლო პლენუმს, სადაც ამის შესახებ ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და სიმკაცრით იყო ლაპარაკი.

საიდან მოდის და სად წარმოიშობა ეს კოშმარული შემთხვევები? მრავალ მიზეზს ასახელებენ. აქ არის დანაშაულებრივი არაკეთილსინდისიერებაც სამძებროსი, რომელიც ზოგჯერ ყოველად უსაფუძვლოდ აკავენს ადამიანს, ოღონდ კი „დახუროს ანგარიშგება“; აქ არის ასეთივე დანაშაულებრივი მიკეობაც წინასწარი გამოძიებისა; უპასუხისმგებლობაც წინასწარი გამოძიების ნებას დაყოლილი სასამართლო გამოძიებისა; აქ არის გულგრილობაც საკასაციო ინსტანციებისა, რომლებიც „შტამპავენ“ განაჩენებს, ამასთან ივიწყებენ, რომ ეს ქალაქები კი არა, ადამიანები არიან... გასაგებია, გამოაქვთ დასკვნები, თუ როგორ გააძლიერონ პასუხისმგებლობა, აღკვეთონ უპასუხისმგებლობა, ვინ ვის დაუქვემდებარონ. ყველაფერი ჭკვიანური, დამაჯერებელი, კონსტრუქციულია.



გკითხულობ, ვისმენ, ვუფიქრდები ამ ანალიზურ მსჯელობას თუ პუბლიცისტურ მხილვას და ის დიდი ხნის შემთხვევა მახსენდება. მოკვლევისა და გამოძიების ამავე ან მსგავსი შეცდომების დროს იურისპრუდენციის ანაბანაში არც მთლად ჩახედულმა კაცმა აიღო და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე თქვა, ვეჭვობ, რომ ამ ყმაწვილმა მოკლათ. მორჩა და გათავდა. მას კი, ს ა ხ ა ლ ხ ო მ ს ა ჯ უ ლ ს, მეტი არაფერი მოეთხოვებო: დაეჭვდეს, თუ ასეთი ეჭვის ნატამალიც კი გაჩნდა. და ბოლომდე იდგეს თავის ნათქვამზე, ლოგიკის, ფაქტებისა და თვით კანონის წინააღმდეგ.

ღიბს, კანონისაც! კანონი საბოლოო ანგარიშით ყველაფერში გაერკვევა. მან, კანონმა, შემთხვევით ხომ არ დასვა საგამომიებო-სასამართლო პირამიდის მწვერვალზე ორი არაიურისტი და მიანიჭა უფლება თავიანთი პროცესუალური ხელმძღვანელის — მოსამართლის განათლებული აზრის წინააღმდეგაც კი დაადგინონ განაჩენი, რომელსაც სინდისი უქარნახებთ. და დაარქვა ამ ორს ს ა ხ ა ლ ხ ო მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი: ოდესღაც კლასიკურ რომში სახალხოს უწოდებდნენ ტრიბუნებს — განსაკუთრებულ პირებს, რომლებსაც უფლება ჰქონდათ შეეჩერებინათ რომელიც გნებავთ კანონი.

ალბათ, მართალი არიან ინგლისელები, როცა ამტკიცებენ: ყველაზე ძნელია მიხვდე, რა არის შენი მოვალეობა, მაშინ მას გაცილებით უფრო ადვილად შეასრულებო. ზოგჯერ გამოძიების გაწაფული აზრი ისე ეშმაკურად, ერთი შეხედვით ლოგიკურად ტრიალებს, რომ, მაგალითად, პატიოსანი დირექტორი, რომელმაც ქარხნის დანაგვიანებული ეზო აყვავებულ სკვერად გადააქცია, უცებ სახელმწიფო სახსრების დიდ დამტაცებლად გვევლინება. არც არავინ ამტკიცებს, რომ თუნდაც ერთი კაპიკი მოხვდა მის ჯიბეში (რამდენი დაწერილა მსგავს რამეზე!). თუ სახალხო მსაჯული თავის მოვალეობად მიიჩნევს მოსამართლესთან ერთად გაერკვეს ფინანსურ ზაკებში, ჩათვალე, დირექტორს არ ასცდება ათი წელი. ხოლო, თუ იგი, სახალხო მსაჯული, დარწმუნდება, რომ სასამართლოს წინაშე პატიოსანი კაცი, თუნდაც ისეთი, რომელმაც ათასობით პარაგრაფი დაარღვია, მისი ვალია ყველა აზრის მიუხედავად თქვას, მეფე კი შიშველიაო. ესე იგი თქვას, პირადად რას ფიქრობს, როცა ხედავს კაცს და საღად აფასებს რაშიდა აღანაშაულებენ მას. და შიშველი აღმოჩნდება მრისხანე წინასწარი გამოძიების ყველა ზაკვა.

და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სახალხო მსაჯულს, არა სასამართლო უწყების ჩინოვნიკს, ალბათ, ვერავინ გაუბედავს დაურეკოს და მითითება მისცეს — ის დასაჯე, ის კი შეიწყალეო. არ გვეგონია, რაიონის მასშტაბით „საზოგადოების ინტერესებზეც“ მიუთითონ — სარისკო საქმეა გამოამაზებურო ასეთი მითითება.

ნუ ეგონება მკითხველს, რომ ვაუბრალეობ, ძირს ვუთხრი წესრიგს და რაღაც პარტიზანობისაკენ მოვუწოდებ, ყველა კოდექსი და საქმის მასალები მოისროლეთ-მეთქი. არა უბრალოდ ვცდილობ მივხვდე, თუ რა ნ ე ბ ა ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ დ ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ე ლ ს, რომელმაც მართლმსაჯულების მწვერვალზე დასვა ორი პროფანი, იურისპრუდენციისა რომ არაფერი გაეგებათ. რაღაცისათვის ხომ ენა ეს! იმისათვის ხომ არა, რომ დაეჭვეითებინა სასამართლოს პროფესიული დონე!

ამიტომ ვაგებდავ და ვიტყვი: ყველა სასამართლო შეცდომაში ბრალი მიგვიძღვის ჩვენ, უბრალო მოქალაქეებს, შორს რომ ვდგავართ იურისპრუდენციისაგან და დიდი არაფერი ვაგვეგება პროცესის დეტალებისა. რამეთუ ჩვენ სახალხო მსაჯულთა სახით მოგვანდეს მართლმსაჯულება. რაღაცნაირად ძალზე შევიჩვიეთ ვიზეივის ძახილს ნადივ მსაჯულთა სასამართლოს გამო. აი „იქ“ — ეს გვესმის! აი „მაშინ“ — ჰო, რა თქმა უნდა! მეტადრე, თუ კარგი კინო გვიჩვენეს, ან გაზეთში გამოქვეყნებული სტატია წავიკითხეთ, საღაც მსჯავრი დასდეს იმავე ხსენებულ დირექტორს, რომელმაც რაღაც უაზრო ინსტრუქციების რომელიღაც პუნქტები დაარღვია, მაგრამ საქმე გააკეთა და არც ერთი მანეთი არ ჩაუღვია ჯიბეში. ასობით აღწვოთებული წერილი მოდის კითხვით: ვის გაუგონია ასეთი რამ? საღდა ჩვენი საბჭოთა სასამართლო?

„ჩვენი საბჭოთა სასამართლო“ კი — ეს ჩვენა ვართ, იურისპრუდენციაში გამოუცდელნი და პროცესის ყველა დეტალის არმცოდნენი. ჩვენ ასეთები სასამართლოში ორნი ვართ. ორნი ერთი გამოცდილის წინააღმდეგ. ორნი, რომლებსაც მესამის აბსოლუტურად თანაბარი ხმები აქვთ. მაშ რისთვის და რატომ ვსვამთ საბჭორობილეში პატიოსან კაცს, რომლის ბრალი, როგორც უნდა გაწელო, საყვედურზე მეტს არ იმსახურებს? სახალხო მსაჯულთა წინაშე მიმდინარეობს მთელი პროცესი, ისინი ეცნობიან საქმის ყველა მასალას, უფლება აქვთ ჩამოართვან ჩვენება ნებისმიერ მოწმეს, შეუძლიათ მისცენ ყოველგვარი კითხვა და გამოარკვიონ ყოველი გარემოება. ისინი სრულუფლებიანი მოსამართლენი არიან. სათათბირო ოთახში აღიმართა

ორი პატიოსანი „არაპროფესიული“ ხელი — და მოსამართლე ათი წლის ნაცვლად გამოაცხადებს გამამართლებელ განაჩენს ან საზოგადოებრივ გაიციხვას ინსტრუქციის დარღვევისათვის არარსებული დანაშაულის გამო. ახლა არ იტყვიეთ ამჟამად საკმაოდ ცნობილ „ვიტეზსკის საქმეზე“, როცა ნამდვილი დანაშაუნი ვერ იპოვეს და უდანაშაულოებს დასდეს მსჯავრი?.. 13 უსამართლო განაჩენი, ნუთუ სახალხო მსაჯულთაგან ვერც ერთმა ვერ დაინახა „თეთრი ძაღვი“, რომლითაც ისინი იყო ნაკერი?

მე, რა თქმა უნდა, მეტყვიან: აი შენ, ამ სტრუქტონების ავტორი, ჭკუას გვასწავლი და გვისაყვედურებ, ლამის ხალხზე აღმართო ხელიო...

ჩემს თავზე გეტყვი. არჩეული ვიყავი მოსკოვის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს სახალხო მსაჯულად და მრავალ პროცესშიც მიმიღია მონაწილეობა: ზოგიერთი რამ ჩემი „სასამართლო მოღვაწეობიდან“ დღემდე მგერის კმაყოფილებას, ზოგის გამო ახლაც კი მრცხენია. პირველის შესახებ, მერწმუნეთ, იმიტომ კი არ ვიტყვი, რომ თავი ვიქო; მინდა გამოცდილებით (გარდა საკუთარისა, სხვა გამოცდილება არა მაქვს) გიჩვენოთ ძალა სახალხო მსაჯულისა, რომელზეც ზოგჯერ ამბობენ — „რისი გამკეთებელი ეგ არის, „ცოცხალი დეკორაციაა“.

ვასამართლებდით მაშინ ეგრეთ წოდებულ „მევალუტეთა“ ჯგუფს. ყველა მაქინაცია დაუმტკიცდათ, ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს წევრთაგან არც ერთს არ შეგპარვია ეჭვი სამხილვაში. და როცა ჩავიკეტეთ სათათბირო ოთახში, ეს საკითხი სადისკუსიოდაც კი არ წამოჭრილა. სიტყვა ჩამოვარდა სასჯელის ზომაზე. ბრბოში იყო ერთი ყმაწვილი, ახალგაზრდა ტაქსისტი. მას ძირითადად საქმონები დაჰყავდა, მაგრამ თავადაც „ცელქობდა“: სამჯერ გაეცვალა მანეთები დოლარებზე, სულ ორმოცდაათი. გამოძიების დროს ყველაფერი პატიოსნად თქვა, სასამართლოზე გულწრფელად იქცეოდა. მახსოვს, რამდენიმე შეკითხვა მივეცი. დავრწმუნდი — შემთხვევით გაბმულიყო. სწორედ ეს ვთქვი სათათბირო ოთახში.

— შემთხვევით თუ არა შემთხვევით, — თქვა ჩვენმა პროფესიონალმა იურისტმა, — მაგრამ მინიმუმ რვა წელი განადღებელი აქვსო.

— რას ამბობთ! არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავსვათ. შეხედეთ — პატიოსანი ახალგაზრდაა. რა, გვინდა დაველუპოთ?

— კანონი, ძვირფასო, — აი აგერ არის, მუხლი... კანონით უნდა გავასამართლოთ. ხომ ასეა?

ტყუილს ვერ ვიტყვი, ასეა თუ ისე მაინც ვერკვეოდი ჩვენს კანონებში. ამიტომ ვთქვი, რომ ჩვენ უფლება გვაქვს მივეცეთ, როგორც ამას ჰქვია, „უდაბლეს ზღვარზე ნაკლები“, ამ შემთხვევაში სამი წელი, და მივიჩნიოთ სასჯელი პირობითად. და აი აქ მოხდა ყველაზე მთავარი, რის გულისთვის ღირს მოვიყვანო ეს ეპიზოდი. ჩემმა კოლეგამ, ასეთივე მსაჯულმა, გულწრფელად წამოიძახა:

— განა შეიძლება ასე?

რა არის საშინელი? კაცს, რომელსაც მიანდეს მართლმსაჯულების აღსრულება, საინსტრუქტაჟო სათათბიროებზე განუმარტავდნენ მის უფლება-მოვალეობებს, პროცესის წინ წააკითხეს საქმე და მიუთითეს კოდექსის მუხლი, ალბათ, შეახსენეს, რომ მალა მისიას ასრულებს, — არ უთხრეს მთავარი. დაახლოებით ასე:

— კარგია, რომ გაცენი საქმესა და კოდექსს. მაგრამ შენ მიდიხარ ადამიანთა გასასამართლებლად. მალე პირადად შენ ტანჯვის წლებს მიუტყვი. დააკვირი მათ, გამოიკითხე, პირადად შენთვის ვაარკვე: ვინ არის შენს წინაშე, და რატომ არის აქ. და თუ ოდნავ მაინც დაგაეჭვებს თუნდაც ბოლო სამხლი, ნუ გაიუმდები, ნუ დაეთანხმები რომელიც გნებათ ავტორიტეტს, რომ მერე წლობით არ გითვლიდეს წყევლა-კრულვას პირადად შენ მიერ უდანაშაულოდ მსჯავრდებული, რომ არ გესიზმრებოდეს იგი, საპრობოლეში გამომწყვედი. და ნუ ამოეფარები კანონს. სწორედ კანონმა გაგზავნა შენ, არაიურისტი, სასამართლოში, რომ გამოთქვა შენი აზრი ყველა წესისა და ავტორიტეტის წინააღმდეგ. ოდნავ მაინც დაეჭვდი? — გამოთქვი განსაკუთრებული აზრი: მას აუცილებლად განიხილავენ. დაე შენი აზრი სასაცილოდ, უაზროდ, კანონსწინააღმდეგოდ გამოიყურებოდეს — გამოთქვი იგი პატიოსნად და მტკიცედ. სათათბირო ოთახში შენ შეგიძლია თქვა ყველაფერი და მოითხოვო ყველაფერი. მაგრამ არ გაქვს ერთი რამის უფლება — იყო გულგრილი ყოველივე იმისადმი, რაც ხდება, და „უგონებდ“ თავმჯდომარეს.

ჩემი კოლეგისათვის ასეთი სიტყვები არ უთქვამთ, თორემ იგი არ წამოიძახებდა: „განა შეიძლება ასე?“ ტაქსისტი კი მივესჯათ სამი წელი პირობითად.. რეალური რვა წლის ნაცვლად. ჩვენ არ დავგირღვევია კანონი, არ გვიქნია ის, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მოხდა „აპ, მოსამართლენო, მე იგი მიყვარდა, აპ, მოსამართლენო, მე იგი მოკვალა“, და სათათბირო ოთახში ცრემლმორეული ნაფიცი მსაჯულნი ამართლებენ მას.

მე უკვე ვახსენე ვიშივის ძახლი — „ჰო, აი იქ“. სხვათა შორის, ბურჟუაზიული სასა-
მართლოს ნაფიცი მსაჯული მრავალგზის უფრო უუფლებოა საბჭოთა სახალხო მსაჯულზე. მას
არ ძალუძს რაიმე გაარკვიოს თავისთვის — ეს უტყვი ფიგურაა. ვერდიქტი ფართხალებს „დამ-
ნაშავია — უდანაშაულოს“ შორის მცირედი ნიუანსებით. ტაქსისტი დამნაშავედ რომ ეცნოთ,
ნაფიცი მსაჯულები ვერ შეიწყალებდნენ მას: სასჯელის ზომას პროფესიონალი მოსამართლე
განსაზღვრავდა.

მაგრამ სულაც არ მინდა ვამტკიცო, რომ „იქ“ უარესად არის, ჩვენში კი უკეთესად. ჩვენ
საკმაოდ გვაქვს საფიქრალ-საზრუნავი მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. და დარწმუნებუ-
ლი ვარ სახალხო მსაჯულს, რომლისათვისაც უშვებენ სამართლის საკითხებზე დაწერილ ბრო-
შურებს, ქმნიან იურიდიული ცოდნის უნივერსიტეტებს და ასე შემდეგ, ყოველივე ეს იმაზე
მეტად როდი სჭირდება, ვიდრე რომელიც გნებავთ მოქალაქის: იურისტს მინც ვერ გახდება.
ზნეობრივი გრძობით კი იგი უნდა ჯობნიდეს ყოველ მოქალაქეს,
როცა ორი ივრით მიდის მართლმსაჯულების აღსასრულებლად. აი აქ უნდა ჩავაგონოთ მას —
ვინ არის იგი, რას აკეთებს და რა არის მისი ვალი.

დუმლით არ ავუვლი გვერდს ჩემი „სამოსამართლო ბიოგრაფიის“ ერთ უსიამოვნო ფურ-
ცელს. ჩვენს წინაშე მაშინ იჯდა ორი მოზარდი ერთი სკოლიდან, მეორე პროტექციური სას-
წავლებლიდან. ექვსი ბინა გაეჭურდათ. როგორ შვრებოდნენ ამას? რეკავენ, არავენ არ არის,
ძვრებთან ფანჯარაში. წაიღეს მაგნიტოფონი, ბოთლი ღვინო, სერტიფიკატების დასტა, ორი
სათამაშო ავტომობილი, ტყაბუკი, სამასი მანეთი — ექვსი ბინიდან. ზედ დანაშაულზე წაასწ-
რეს. რაღა თქმა უნდა სალაზნაები იყვნენ. მონანიების დროსაც კი ცრუობდნენ. დახასიათებებიც
— უარესზე უარესი. მაგრამ კოლონიაში? არა, სათათბირო ოთახში კატეგორიულად გავილაშ-
ქვე საზოგადოებისაგან ორი მოზარდის იზოლაციის წინააღმდეგ. „შესაძლოა, დამსახურეს
კიდევ, მაგრამ იქ კიდევ უფრო გააფუჭებენ“ — იყო ჩემი არგუმენტი. მოსამართლე თავის
ნათქვამზე იღვა, ამბობდა, მოსკოვი „სანიმუშო წესრიგის ქალაქია“, „არის მითითება ასეთი
ტიპებისაგან გავწმინდოთ დედაქალაქი, ბინის ქურდობა მატულობსო“. ამ დავაში იყო დამაჯ-
რებელი სიტყვები კანონის სიწმინდის შესახებ და „კიდევ უფრო სწორი სიტყვები“ მითითება-
თა ძალის შესახებ. ჩემმა კოლეგამ მხარი არ დამიჭირა. მე: განვაცხადე, განსაკუთრებულ აზრს
დავწერ-მეთქი. ჩვენ გავედით დარბაზში და ბიჭები კოლონიაში გავგზავნეთ — დამსახურებუ-
ლად და კანონის შესაბამისად.

შესაძლოა, მართალი არ ვიყავი დავაში. შესაძლოა. მაგრამ არ შემეცვლია ჩემი თვალსაზ-
რისი, მიმაჩნდა, რომ არ უნდა ჩაგვესვა ისინი, თუმცა ორივე, როგორც იტყვიან, ხელიდან წა-
სული იყო. ეს კიდევ არაფერია. მე არ დამიწერია ჩემი განსაკუთრებულად აზრი — აი რა არის
მთავარი ალბათ, ვიფიქრე მაშინ — „მოგვეცემს კი ეს რამეს“, „იქნებ, არცა ვარ მართალი“.
რით არ ვცდილობთ ვინუგეშოთ თავი, რომ გავამართლოთ კომპრომისი, თუ გნებავთ გარიგე-
ბა სინდისთან. შემთხვევით როდი იყო, რომ ბრძენმა და ცინიკოსმა შარლ-მორის ტალეირანმა
მოსწრებულად თქვა, გეშინოდეთ სულის პირველი მოძრაობისა — იგი შეიძლება კეთილშობი-
ლური იყოსო.

რისთვის მივყავ ხელი ამ დაგვიანებულ საჯარო თვითგვემას? მერწმუნეთ, წმინდა პრაგმა-
ტული მოსაზრებების გამო. არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ გულუბრყვილო კაც(ი) ვარ.
მაგრამ, მენდეთ, ჩემი საზოგადოებრივი მისიის შესრულების წინ ჩემთვის რომ ეთქვათ: თუ
ოდნავ მინც დაგეუქვა განაჩენის სამართლიანობამ, ექვის ნატამალი თუ გაგაჩნდაო, ვინ იცის,
იქნებ, დამეწერა კიდევ განსაკუთრებული აზრი.

არა, სახალხო მსაჯულს ხელით ტარება არ სჭირდება. მაგრამ დარწმუნებული ვარ: არა იმ-
დენად სამართლებრივი ცოდნა, რამდენადაც პასუხისმგებლობის გრძობა და თავისი ვალის გა-
გება სჭირდება მას.

გამოითქმება მრავალი აზრი იმის თაობაზე, თუ ვის უნდა ექვემდებარებოდეს გამოძიება,
როგორ გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობა, რა უნდა გაკეთდეს, რომ მოისპოს „ტე-
ლეფონის სამართალი“, როგორ შეწყდეს გარედან ყოველგვარი ჩარევა სასამართლოში, რომე-
ლიც ერთადერთი უსვამს ბოლო წერტილს ბრალეული ანდა სახელგატეხილი კაცის ბედს. ცხა-
დია, უნდა განხორციელდეს ყველა ეს ღონისძიება, განმტკიცება და ხელახალი დაქვემდებარე-
ბა. როგორც იტყვიან, გაძლიერდეს გარანტიები. მაგრამ გამოვთქვამ ჩემს მემამბოხურ აზრს: ყო-
ველთვის მოინახება საშუალება გავლენა მოახდინონ თანამდებობის პირზე. ხოლო ამ პირზე,
რომელიც არავის წინაშე არაფრით არ არის ვალდებული, გავლენას ვერ მოახდენ. ყოველ შემ-
თხვევაში, ეს წარმოუდგენლად ძნელია. სწორედ ამიტომაც კანონმა განსაზღვრა სასამართლოს
შემადგენლობა ასე და არა სხვანაირად.

გარანტიები, ვიმეორებ, ჩვენს ხელშია. ისინი დამკვიდრებულია კონსტიტუციით, და სულაც არ არის შემთხვევითი, მეგონი, რომ თავად მართლმსაჯულებამ, სახელმწიფომ ჩააბარა ისინი არა აპარატს, თუნდაც უაღრესად კვალიფიციურს, არამედ საზოგადოებას — ჩვენ. რა დარღვევებს არ შეხვდებიან სასამართლო პრაქტიკაში, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე გაესამართლებინოთ სახალხო მსაჯულთა გარეშე. და თუ ისინიც ორნი არიან, მაშინ...

და ჩვენ მივადექით ყველაზე მთავარს. ვინ არიან ისინი, ეს ორნი, რომლებსაც ყველაფერში პროფესიონალი მოსამართლის თანასწორი უფლებები აქვთ მინიჭებული? გაიხსენეთ, მკითხველო, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში დაურეკავად პირადად თქვენ ვინ აირჩიეთ ღია კენჭისყრით ღია კრებაზე და გაგზავნეთ ადამიანთა ბედის გადასაწყვეტად? წარმოების მოწინავე? მაშ ასე, „ვილაცა“, ვისაც საზოგადოებრივი დატვირთვა არ ჰქონდა? თუ ისეთი კაცი, რომელიც, თქვენი ღრმა რწმენით, რელხებზე დადებს თავს ხიმართლის გულსისათვის?

მრავალჯონს ჩამიტარებია ექსპერიმენტი. მომჩივანისათვის, რომელსაც უთხოვია ჩაგრვოლი და „გამეუქმებინა აშკარად უსამართლო განაჩენი“, დამისვამს კითხვა ვინ აირჩიე სახალხო მსაჯულად-მეთქი. არ მახსოვს შემთხვევა, რომ ეთქვას: „ჩვენ ავირჩიეთ პეტრე ივანეს ძე სიღლოროვი, ეპ, ის რომ ყოფილიყო იმ სასამართლოში...“ არ ვაზვიადებ, მრავალ ათეულჯერ, თუ ასეულჯერ არა, დამისვამს კითხვა. ასეთი პასუხი კი არ მსმენია. უფრო ხშირად საერთოდ ვერ ისინებდნენ ვერც ადამიანს, ვერც არჩევნების ამბავს.

არადა სახალხო მსაჯულის მისია ხომ საზოგადოების, სიმართლისა და სამართლიანობის დიადი მსახურებაა. ჩვენ დავიფიწყეთ ეს სიტყვები „საზოგადოების მსახურება“. რევოლუციის შემდგომი „საზოგადოებრივი დატვირთვა“ კი შეეცვალეთ უფრო მსუბუქეთ: „საპატიო მოვალეობით“. ჩვენში დეპუტატობაც საპატიო მოვალეობაა, სახალხო კონტროლიორიც, პროფკავშირული აქტივისტიც. და აი — სახალხო მსაჯული. მას, მოსამართლეს, უნდა ეუბნებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მძიმე ჰაპანს ჰქონდებენ — გზავნიან, რათა ემსახუროს ხალხს, რომ პირადად მისზეა დამოკიდებული, გამოირიცხება თუ არა ჩვენში უდანაშაულო ადამიანებისათვის მსჯავრის დადგენა. და უნდა ვკითხოთ: მზად არის თუ არა იგი ასეთი. საგმირო საქმისათვის?

ნუ მიიღებთ, მკითხველო, ამ სიტყვებს ყურნალისტურ პათეტიკად. ჯობს გაიხსენოთ, როგორ ვირჩევთ იმათ, ვისაც ვანდობთ სამართლიანობისათვის ბრძოლას სასამართლოს დარბაზებში. რა დასამალია: ყველაზე ხშირად ვირჩევთ ხოლმე პროფკავშირული ან სხვა კრების ბოლოს; კანდიდატურას „დამატებით ამუშავეს“ სამკუთხედს; არავინ რიგინად არ იხილავს მას — „ვიცნობთ, მიდი, ძმო, აღასრულე...“ მერე კი, როცა თავს დავგატყდებთ უსამართლობის უბედურება, არც კი გვახსენდება, რომ ჩვენს მიერ არჩეულმა ადამიანებმა მისცეს საქცია ამ უბედურებას თავიანთი გულცივობით ან კიდევ უბრალოდ ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უუნარობით, საკუთარი საზოგადოებრივი ფუნქციის უტოლინობიდან რომ გამომდინარეობს.

ჩვენ ახლა ბევრს ვლაპარაკობთ გარდაქმნაზე, იმაზე, რომ ვისწავლოთ დემოკრატიის პირობებში ცხოვრება, რომ საქმისათვის პასუხს აგებს ყველა — მუშით დაწყებული და მინისტრით დამთავრებული. და რა ბოზოქარი მოვლენები ხდება ეკონომიკაში. ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც საჭიროა? როგორც გვსურს? მაგრამ მაინც ხომ კეთდება რაღაც.

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ცხოვრების მთელი ვრცელი სფეროს დემოკრატიზაცია და გარდაქმნა კი, ეტყობა, იმით გამოიხატება, რომ იწყეს ჩასმა ჩინების მიუხედავად და მკვახედ წერა, რაკი ყოფილი აქრძალეები უკუგდებულა. დიახ, ეს საჯაროობაა. იგი თავისთავად კეთილისმყოფელია, იგი განმკურნებელი მახვილია. იგი ჩვენ ყველას გვახარებს. მაგრამ როგორ გამოდის ეს: საკმარისია, ერთმა გაზეთმა ამხილოს გამოძიებლის მიკერძოება, რომ მეორემ გაამათრახოს უსამართლო მოსამართლე, ხვალ კი მეხუთემ გაიმორებს იმას, რასაც ერთი კვირის წინათ წერდა მეოთხე გაზეთი.

მაგრამ სადღაა მართლმსაჯულებაში ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი — ჩვენ მიერ ღია კრებაზე ღია კენჭისყრით არჩეული სახალხო მსაჯული? იგი რა, მთლად ბრმა იყო? და რატომ არ ვკითხვით მას ამის შესახებ — როგორ მოგივიდა, რომ მსჯავრი დასდებულა უდანაშაულოს, თუ მთელი ბრალდება ჰაპარად იყო შეკოწიწებული? ჩვენ ხომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა უსამართლო განაჩენს ვამათრახებთ, არასოდეს არ ვიტყვი, ამა და ამ სახალხო მსაჯულს ამა და ამ ადამიანებს უსამართლო ტანჯვა განუშლადესო.

სახალხო მსაჯულები, სხვათა შორის, ხელმოწერით აღასტურებენ ყოველ განაჩენს.



მეტი პასუხისმგებლობითა და აქტიურობით

შალვა შარვაშიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე

სტარტაპის სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ განხილული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ“ საკითხის აქტუალობა და თანადროულობა განპირობებულია, პირველ რიგში, საბჭოების შემოქმედებითი მუშაობის სრულყოფისა და მოქმედების იმ დიდი პროგრამით, რომელსაც დასაბამი მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წლის) პლენუმმა, შემდგომში განვითარდა სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში და დაკონკრეტდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებაში — „სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დემუკრატია საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ეს ისტორიული დოკუმენტები ეხება ყველა დონის საბჭოების, მათ შორის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მრავალმხრივი საქმიანობის ყველა ასპექტს, ზრდის საბჭოების უფლება-მოვალეობას, მათს დამოუკიდებლობას, აქტიურობას და თვითმოქმედებას.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ეხება მუდმივ კომისიებსაც, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოების მტკიცე დასაყრდენს, განსაკუთრებით მართვისა და კონტროლის საქმეში.

საკითხის დაყენებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მეგვიდრეობითობის ფაქტორიც, კერძოდ ის, რომ წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიაზე (1984 წლის 2 ივნისი) სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკა, რამაც უდავოდ კარგი შედეგი გამოიღო: შესამჩნევად გარდაიქმნა და გააქტიურდა კომისიების საქმიანობა, ამაღლდა დემუკრატია შემოქმედება და პირადი ინიციატივა.

ამჯერად, გვინდა მკითხველს ვესაუბროთ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკის ზოგიერთ მომენტსა და მომავლის პერსპექტივებზე.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც ერთ წელიწადსა და 8 თვეს მოიცავს, უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა ჩაატარეს 82 სხდომა, მსჯელობის საგანად გახადეს არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის დონის ამაღლების 70-მდე საკითხი. დიდი ყურადღება დეთმო ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორც არის საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარება, ხარისხის, სახელმწიფოებრივი ვალდებულებათა, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის უზრუნველყოფა, სათბობი და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესება, ბუნებისა და გარემოს დაცვა, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება და სხვა. ამასთან ერთად კომისიებმა მეტი ყურადღება დაუთმეს დემუკრატია საქმიანობაში ფორმალისთვის ელემენტების გადაჭრით აღმოფხვრას, ყველა ძალისა და საშუალების იმ მიზნით გამოყენებას, რომ თითოეულ დემუკრატს ეშრომა შემოქმედებითად, სრულად გამოეყენა თავისი შესაძლებლობანი.

კომისიები თავიანთ მუშაობაში ეყრდნობოდნენ ფართო აქტივს, სამუშაოდ იზიდავდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მოქმედებდნენ რესპუბლიკის სა-

საქ. სსრ კ. მარტისი
სახ. სახ. რესპუბლიკის
ბიბლიოთეკა



გეგმო კომიტეტთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სახალხო კონტროლის კომიტეტებთან, საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად და, რაც მთავარია, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან და ამ საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან ერთად.

ყოველივე ამან შესამჩნევად აამაღლა კომისიების ავტორიტეტი, გაზარდა მათი წვლილი მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ინტენსიური და გეგმაზომიერი იყო საქანონმდებლო განზრახულობათა კომისიის მუშაობა რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. უკანასკნელ პერიოდში შემუშავდა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების, დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის, არაზრომითი შემოსავლების, ბიუროკრატიაში და სხვა დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი რიგი სამართლებრივი საფუძვლები. კომისიამ დიდი ყურადღება დაუთმო საწარმოებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციებში იურიდიული სამსახურების, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებთან არსებულ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის სრულყოფის პრობლემებს და, არც თუ უსაფუძვლოდ, ბევრი მნიშვნელოვანი შენიშვნა გამოთქვა იმ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას, იმ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ, რომლებიც ვერ იცავენ სახელმწიფო დისციპლინას, ურიგდებიან მიწერებს, თვალისახვევას, უყარაოთობას და სხვა მანჭიერ გამოვლინებებს. კომისიამ მკაცრად გააკრიტიკა ბათუმისა და ჭიათურის და ლენინის, აგრეთვე ბორჯომის, ბოლნისის, ხელვაჩაურის და ზოგირეთი სხვა რაიონული საბჭოების აღმასკომები, რომლებმაც ვერ აღმოფხვრეს ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში ფორმალიზმი, ზედაპირულობა, ვერ გამოიჩინეს კანონის დამრღვევთა მიმართ პრინციპული დამოკიდებულება.

საქანონმდებლო განზრახულობათა კომისიის პრაქტიკიდან გამოვყოფთ ერთ საკითხს: შარშან, ნოემბერში, კომისიამ მოისმინა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ნარკომანიით დაავადებულ პირთა იძულებითი მკურნალობის თაობაზე კანონით დაწესებული წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა სერიოზული დარღვევები, რის გამოც ეს საკითხი განიხილა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც გასული წლის დამლევს მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და იგი დაეგზავნა შესაბამის უწყებებს რეაგირებისათვის. ახლა მთავარია შესრულების უზრუნველყოფა, კონტროლი, რაც თვითონ კომისიამ უნდა ითვოს.

1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის და 1987 წლის გეგმისა და ბიუჯეტის წინასწარ განხილვისას საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წევრმა 36 დეპუტატმა თავისი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მისამართით. ზოგიერთი მათგანი დროულად და დადებითად გადაწყდა. ხოლო დეპუტატთა მიერ დაყენებული მრავალი საკითხი ისახა რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლიან გეგმაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ მუდმივი კომისიების ჩარევის შედეგად 1986 წლის ბიუჯეტი დამატებითი შემოსავლების გამოვლინების ხარჯზე გაიზარდა 8.840 ათასი მანეთით, 1987 წლისა კი — 4.250 ათასი მანეთით. ეს თანხები ხმარდება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობის სამუშაოებს, სადაბო და სასოფლო საბჭოების ინვენტარ-მოწყობილობათა შეძენას. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

აქვე გულისტკვილით უნდა ითქვას, რომ კომისიების მონაწილეობა სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის ფორმირებაში ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, საქმის ინტერესები კი მოითხოვს, რომ კომისიები უკვე აღრეულ ეტაპზე ჩაერთონ ამ მუშაობაში, როცა იკვეთება გეგმებისა და ბიუჯეტის კონტურები, და არა მანამ, როცა ჰყველაფერი თითქმის შეთანხმებული და გადაწყვეტილია.

აქტუალური იყო შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის მიერ განხილული საკითხი, რომელიც რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის ნორმატიული თანაფარდობის დაცვის პრობლემას შეეხებოდა. აღნიშნა, რომ ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში კვლავ ვერ აღმოფხვრეს ნორმატიული თანაფარდობის დარღვევის გაუმართლებელი პრაქტიკა. კერძოდ, შრომის ნაყოფიერების შემცირების პარალელურად დაუშვეს საშუალო ხელფასის წინაგამსწ-

მეტი პასუხისმგებლობითა და აქტიურობით

რები მნიშვნელოვანი ზრდა. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან აღსანიშნავია ორი მომენტი: პირველი ის, რომ კომისია ნებისმიერი საკითხის შესწავლისას ერთად მოქმედებს და, რაც შეიძლება მჭიდროდ ადგილობრივი საბჭოების ანალოგიურ კომისიებთან. მეორე — ეს არის საკითხის სიღრმისეული შესწავლა, დადებითი და უარყოფითი ასპექტების გამოკვეთა, რეკომენდაციების განხორციელებისადმი კონტროლის დამყარება. ამ კომისიამ ზარშიან განიხილა საკითხი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების შესახებ მოსახლეობის წინადადებათა რეალიზაციის თაობაზე. საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ კავშირგაბმულობის სამინისტრო მუდმივად ეძიებდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისა და მათი რეალიზაციის მიმდინარეობისადმი კონტროლის ახალ ფორმებს. მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ, როგორც კომისიამ მიიჩნიეს, კარგად ორგანიზებულ საქმეს სერიოზულად აკინებებს არსებული ნაკლოვანებანი, ავტომატური სატელეფონო სადგურის ნაგებობათა მშენებლობისა და მონტაჟის ბიძინარეობის დაბალი ტემპები, მომსახურების არადაამაყყოფილებელი დონე, დანაპირების კადასტრულ შეუსრულებლობის ცალკეული ფაქტები. კომისიის რეკომენდაციების განხორციელების მიზნით სამინისტროს კოლეგიამ დასახა დამატებითი ღონისძიებანი.

მთელი რიგი საჭირობორტო საკითხებია განხილული საგარეო საქმეთა კომისიის, მრეწველობის კომისიის, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის, სახანაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის, აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის, ენერგეტიკის კომისიის, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის სხდომებზე. აღსანიშნავია, რომ მუდმივი კომისიების საქმიანობა ბოლო დროს შედარებით მიზანდასახული, კონკრეტული და ქმედითი გახდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ უფრო მეტია.

მიმდინარე წელი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და გამორჩეულია საბჭოთა ხალხისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის — წლეულს საზეიმოდ აღინიშნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი, რევოლუციის, რომელმაც მოსკო ადამიანის მიერ აღამიანის ექსპლუატაცია, დაამკვიდრა ძმობა, ერთობა, თავისუფლება, დასახამი მისცა კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისმის მშენებლობას.

ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის, სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების ყველა დარგში, ყველა სფეროსა და ყველა უბანზე მოპოვებული კარგი მაჩვენებლებით, ძირითადი სასიკეთო გარდაქმნებით, სიხალღებით, ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის გაცემული შემოქმედებითი, პასუხისმგებლური გარჯის შედეგად მოპოვებული ფილსახინო წარმატებებით ეგებებიან ამ მნიშვნელოვან თარიღს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს, მათ შორის საბჭოთა საქართველოს მშრომელები.

„დამდეგ წელს, — თქვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორხაროვმა საბჭოთა ხალხისადმი სახალწლო მიმართვაში, — უნდა დავლაშქროთ კიდევ მეტი მაღალი მიჯნები ეკონომიკაში, განვახორციელოთ საწარმოთა ფართო მასშტაბის გადასვლა მეურნეობის გაძლიერების ახალ მეთოდებზე, მკვეთრად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი საბჭოთა სოციალიზმის ცხოვრების ყველა სფეროშიც. კარგად ვიცით — ჩვენს საქმეს სხვა არავინ გავეყვითებს, არავინ გადაგვიწყვეტს ჩვენს ამოცანებს, ჩვენს პრობლემებს, ყველაფერი ჩვენთვის უნდა გადავკეთოთ. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უთუოდ უნდა მოუმატოს მუშაობას, ხაფუძვლიანად მოუმატოს, მხოლოდ ასე შევძლებთ უზრუნველყოფით დაჩქარება და მნიშვნელოვანი ზრდითი მიღწევებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი“. მართლაც, დადგა დრო კრიტიკულად შევაფასოთ მიღწეული.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეულ რეგიონებში, ასევე სამინისტროებში, გაერთიანებებში და საწარმოებში ჯერ კიდევ ვერ გარდაიქმნა მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, ადგილი აქვს ჩამორჩენას სახელმწიფო გეგმებისა და სხვა ძირითადი მაჩვენებლების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

სანამ გვიან არ არის, ენერგიულად უნდა მოვეკიდოთ ხელი ამ საქმეს. საჭიროა ყოველი დონისძიებით ავამაღლოთ სახალხო დემოკრატია ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების კომპლექსური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. ამ მუშაობაში უფრო ფართოდ უნდა ჩაებან მუდმივი კომისიები, დემოკრატია საგუშაგოები და ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში ათასობით დემოკრატია გაერთიანებული. უპირველესი სიტყვა კი, ბუნებრივია, უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ეკუთვნის.

ფართო და მრავალმხრივია მუდმივი კომისიების სადღეისო ამოცანები. ქ. ი. პატიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტ-ახალგაზრდობასთან შეხვედრისას თქვა: „წინ დიდი და დაძაბული მუშაობა მოგველის. მეთორმეტე სტუდენტი უნდა იქცეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვან ეტაპად. ამან, რასაკვირველია, თავისებურად უნდა განსაზღვროს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ხვალისდელი დღე, ხოლო ამ ეკონომიკისა და ხვალისდელი დღის განსაზღვრაში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია“. სწორედ ამ ასპექტში განიხილეს ამ შეხვედრაზე ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ორანიზაციის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საქმიანობის, უმაღლესი სასწავლებლების უდიდესი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების, კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შეხვედრაზე ითქვა, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმებით სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის შემდგომი განვითარების, სტუდენტთა და მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. პარტიული კონტროლის კომიტეტმა განიხილა შემოწმების შედეგები და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მნიშვნელოვანი პოტენციალი ჯერ კიდევ არ ხმარდება სპეციალისტებზე. სახალხო მეურნეობის სწრაფად მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტას. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დასახა ხანგრძლივი მოქმედების პროგრამა, რომლის შესრულებაში უდავოდ დიდი სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის (თავმჯდომარე აკადემიკოსი თ. ლოლაძე) როლი, რომელმაც, თავის მხრივ ჩამოაყალიბა მომავლის სამოქმედო პროგრამა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს, რომ სერიოზულ მიხედვას საჭიროებს სამართლის სამართლის განვითარებისა და სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა საშუალო სკოლაში. სხვა სირთულეებთან ერთად შემჩნევა სათანადო კვალიფიკაცია შორის პედაგოგიური კადრების უმარისობა. უთუოდ ამის შედეგად ის, რომ მოსწავლეთა შორის არ მცირდება სამართალდარღვევები, რაც თავის მხრივ, მემკვიდრეობის სახით გადაეცემა უმაღლეს სკოლას. საგანგებოდ შესასწავლია ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში. ეს საკითხები ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის მუდმივი ყურადღების საგანი უნდა იყოს.

სერიოზული პროგრამები აქვთ დასახული და ნაყოფიერად მუშაობენ მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია (კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოსი ე. სენაიაშვილი) და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია (თავმჯდომარე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მ. ხანანაშვილი). საკითხი მისი ძირითადი გაუმჯობესების დონისძიებათა შესახებ, რომელიც ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიასთან ერთად იქნა შესწავლილი, მოხსენდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, შემუშავებული იქნა რეკომენდაციები მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელოვანი კურორტების სამართლებრივ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სახელმწიფო საგებმო კომიტეტის, სახალხო დემოკრატია საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა უწყების მიმართ, რომელთა შესრულება ბევრ სარგებლობას მოუტანს ბავშვთა დახვეწების საქმის ორგანიზაციას.

მეტად აქტუალურია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიდების განყოფილებასთან ამ კომისიის ერთობლივი მუშაობა. განხილულია რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებში სამკურ-

ნაღო-პროფილაქტიკური დახმარების თაობაზე შესულ მოქალაქეთა მიმართების განხილვის მდგომარეობის საკითხი, რომელიც შარშან, წლის დამდეგს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა. დეპუტატებმა ბონდო გიორგაძემ, ნინა პანკოვამ, ნელი ზუთხუშმა, პავლე ბარათელმა, მარო იმერლივილიმა და სხვებმა მნიშვნელოვანი საშუალო ჩაატარეს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. პრეზიდიუმზე წარდგენილ მოხსენებით ბარათაში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, მისდამი დაქვემდებარებულ სამკურნალო დაწესებულებებში შესული წერილებიდან და განცხადება-საჩივრებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებაში ჯერ კიდევ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებია. მართოთბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოში შესული 2988 განცხადება-საჩივარი მეტყველებს სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე. ისინი ეხება მედიცინის ზოგიერთ მუშაკთა საქმიანობაში უწყურადღებო, უსულგულო, ფორმალურ დამოკიდებულებას, არადროულ და არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას. მშრომელთა ყველაზე მეტ გულისწყრომას იწვევს ექიმთა მიერ ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში დაშვებული შეცდომები, აღინიშნა აგრეთვე სამშობიარო სახლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც, რომელთა მიზეზითაც ზოგან კვლავ მაღალია ბავშვთა ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი. არასწორი დიაგნოსტიკისა და არადროული ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები აღმოჩნდა ბავშვთა რესპუბლიკურ და ცენტრალურ კლინიკურ-ინფექციურ, თბილისის კლინიკურ, მცხეთის, გორის, ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის, ზესტაფონის, რუსთავის მეორე, თბილისის მეორე, ოცდამეექვსე და ზოგიერთ სხვა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში.

უაღრესად ქმედით საქმიანობას ეწევა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისია, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ს. დურმიშიძე. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დღეისათვის გარემოს გასუფთავებისა და გაჯანსაღების პრობლემა მთელი მსოფლიოს გადაუდებელი საზრუნავია. ჩვენში ამ საქმეს ემსახურება ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ჯანმრთელობის დაცვისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროები, სახაგრომრეწვი, საქართველოს „საქსავსჯდათეზუმშენის“ სამმართველო, ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველო, გეოლოგიის სამმართველო და კიდევ ბევრი სხვა.

ბუნების დაცვითი ორგანოების ასეთი დაქსაქსული სისტემა სრულად ვერ პასუხობს გარდაიღვ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, უწყებრიობა, როგორც იტყვიან არას რგებს და მხოლოდ ვნებს საერთო საქმეს.

შექმნილ სიტუაციაში გადაწყვეტი მიიღვენელობა ენიჭება ბუნების დაცვითი საქმიანობის ხელმძღვანელობის კონკრეტაციას მართვის ერთიან ორგანოში, როგორც ეს სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ივლისის ცნობილი დადგენილებით არის გათვალისწინებული.

ყველა ჩვენგანის საპატიო ვალია ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო ვაერთიანება „აზოტის“, ქიმიური ზოგჯერების ქარხნის, ცემენტის ქარხნების და სხვა მრავალი ობიექტის ხელმძღვანელებს მრავალჯერის მიეთითათ ამ პრობლემების დროული გადაჭრისათვის, გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით კვლავ ბინძურდება მდინარეები, გამოწვლიკვებით იწამლება ატმოსფერო, ნადგურდება ტყე და ნადირ-ფრინველი.

აღნიშნულმა კომისიამ სხვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხებიც წამოწია. კერძოდ, საინტერესოა გეოლოგიურ-საძიებო საშუალებების დაჩქარება თერმიული წყლების გამოყენების მიზნით (უზარმაზარი სითბური ენერჯია იკარგება, გამოყენება კი პოტენციურ შესაძლებლობებთან შედარებით ნულია). აღსანიშნავია ისიც, რომ კომისია შეფობს სატელევიზიო გადაცემათა ციკლს — „დრო, გარემო და ჩვენ“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ტელევიზიაში მიერწყო კომისიის გამსვლელი სხდომა. ყოველივე ეს საჭაროობის სამაგალითო ნიშნულია.

სამანდატო კომისიის მუშაობაშიც არის ერთგვარი სიახლე. გარდა ტრადიციული საკითხებისა, გარდა და გამოიკვთა კონტროლის ელემენტი. ფიქრობთ, მომავალშიც ყოველდღიური ყურადღების ცენტრში იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის ამომრჩეველთა განწესების ცხოვრებაში გატარება, დეპუტატთა სტატუსის დაცვა, მათ მიერ დაყენებულ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირება და ა. შ.

ცხადია, საფურნაღე სტატიაში ვრცლად ვერ მიმოვიხილავთ თვრამეტყვე კომისიის მუ-

შაობის უველა მხარეს, მაგრამ საერთო დასკვნა ერთია: დრო მოითხოვს გარდაქმნის დაჩქარებას, მუშაობის სტილისა და ფორმების შემდგომ სრულყოფას, უოველმხრივ კონკრეტული-ბას, კომპეტენტურობას, ქმედითობას და, რაც მთავარია, თითოეული დეპუტატის მაღალ პასუხისმგებლობას.

დღისათვის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში 50 ათასზე მეტი დეპუტატია. მართო ადგილობრივ საბჭოებში მოქმედებს 6114 მუდმივი კომისია, რომელთა შემადგენლობაში 28 ათასი დეპუტატია. ახლა ჩვენს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საცხოვრებელ ადგილას 4 ათასზე მეტი დეპუტატთა ჯგუფი და საგუშაგოა, რომელთა შემადგენლობაში 20 ათასზე მეტი დეპუტატი მოღვაწეობს. ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა ეს დიდო არმია დიდად უწყობს ხელს მოსახლეობასთან, შრომით კოლექტივებთან საბჭოების კავშირის განმტკიცებას, ეხმარება აღმასკომებს გადაწყვეტილებათა მიღებას და განხორციელებაში, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციაში, მომსახურების სფეროს გამართულობაში და სხვა მრავალფეროვან სამუშაოთა შესრულებაში. ამ მხრივ საყურადღებო მუშაობას ეწევიან თბილისის საავიაციო ქარხნის, ცხიმკომბინატის, ქარელის რაიონის სოფ. დვანის და სხვა ქალაქებისა და რაიონების დეპუტატთა ჯგუფები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამასწინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეისწავლა, განიხილა და მიიღო დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“. ეს დადგენილება ჩვენი საბჭოების საქმიანობის დიდი შეფასებაა, ამასთან უდიდეს მოვალეობასაც აკისრებს მათ.

ერთი სიტყვით, არ არსებობს ჩვენი ცხოვრების არცერთი სფერო, არცერთი დარგი, არცერთი უბანი, რომ დეპუტატებს ხელი არ მიუწვდებოდეთ, მით უმეტეს, სამწუხაროა, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ვაწყდებით მიწერების, თვალისახვევის, მომხვეჭელობის, მუქთახორობის ფაქტებს, საზოგადოებრივი მართლწესრიგის უხეშ დარღვევებს და სხვა მანინჯ გამოვლინებებს.

ცნობილია ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფის, თვალის ახვევისა და წამატების ამოძირკვისათვის პარტიის ახმეტის რაიკომის არაადაპტაციუფიციური მუშაობის საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პრტიის ახმეტის რაიკომს, რაიონის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს (მათ შორის იგულისხმება რაიონული და სასოფლო საბჭოები) სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ სადირექტივო ორგანოების მითითებებიდან, რომლებიც საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობაში მკაცრი წესრიგისა და დისციპლინის უზრუნველყოფას, თვალის ახვევისა და სახელმწიფოს მოტუების ფაქტების აღკვეთას მოითხოვდა. ამის შედეგად, საქმის ფაქტობრივი ვითარების დამახინჯების, წამატებითა და სხვა უკანონო საშუალებებით მისი შეღამაზების პრაქტიკა რაიონში ფართოდ გავრცელდა. მეტ წილ შემთხვევებში მას საფუძვლად ედო გარკვეული წრის თანამდებობის პირთა მისწრაფება უშრომელი შემოსავალი მიეღოთ სახელმწიფო სახსრების დატაცებით, სხვადასხვა მანიპულაციის გზით. რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ჯ. მანიუაშვილი, რა თქმა უნდა, გაირიცხა პარტიიდან. იგი გასულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობიდანაც. საყურადღებო აქ ის არის, რომ რაიონში უმაღლესი საბჭოს 4, რაიონულის — 75, საქალაქო — 50 და სასოფლო საბჭოს 518 დეპუტატი მოქმედებს და ეს ფაქტი მაინც მხედველობის მიღმა დარჩა.

განა საგალალო არ არის ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში სამარცხვინო დანაშაულებრივი მოქმედებისათვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობიდან გაწეული იქნენ სახიშველი, ბადურაშვილი, ქისტაური, მაღაწონია.

აქვე უნდა გავიხსენოთ ამას წინათ გამოვლენილი ფაქტები, რომლებზედაც მკაცრი პასუხისმგებლობა დაეკისრა რიგ სამშენებლო ორგანიზაციათა და ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკებს იმისათვის, რომ დაუშვეს კაპიტალურ მშენებლობაში მიწერები. სტატანგარიშიდან მოიხსნა დაუმთავრებელი ობიექტები: 178 ათას კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი, აგრეთვე ორი სასკოლო შენობა, ერთი საავადმყოფო, ორი პოლიკლინიკა, ორი ბავშვთა ბაღი. მშენებელთა უპასუხისმგებლობას, სამწუხაროდ, ზოგიერთი დეპუტატის გულგრილობაც ემატება. თვითონ განსაჯეთ, სახელმწიფო მიღების აქტს, როგორც წესი, ხელს აწერს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი — დეპუტატი. სერიოზულ შემსუოთებას იწვევს მშენებლობის ხარისხი, საცხოვრებელი ბინების განაწილების და ჩასახ-

ლების პრაქტიკაში დაშვებული ხარვეზები. ამ მიმართებით მეტი მუშაობა მართებს მშენებ-
ლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუდმივ კომისიის.

მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატებმა, ყურადღება უნდა გაამახვილონ სახელმწიფოებრივ
დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობაზე, რადგან მიმდინარე წლის იანვრიდან სახელ-
მწიფოებრივ ვალდებულებათა შესრულება უკვე ძირითადი მაჩვენებელი გახდა.

ადგილობრივი საბჭოები და მათი კომისიები მუდმივ კონტროლს უნდა უწყვეტდნენ აგრეთ-
ვე საფინანსო, საანგარიშგებო, საკასო დისციპლინის საკითხებს, ღოთობის, ალკოჰოლიზმის,
ნარკომანიის, არასრულწლოვანების შემოსავლების და სხვა დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ
ბრძოლის პრობლემებს.

საბჭოების, დეპუტატების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს აგრეთვე სათბობ-ენერგეტი-
კული რესურსების რაციონალურად ხარჯვის, პურის, წყლის მომჭირნეობის, სახაფხვო და
სამედიცინო დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის, რკინიგზის ვაგონების მოცდენის აღკვე-
თის და სხვა მრავალი საკითხი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: უკანასკნელ ხანს ცენტრალურ ორ-
განოებში გაიზარდა რესპუბლიკიდან გაგზავნილი განცხადება-საჩივრების რიცხვი. ხშირ შემ-
თხვევაში გამოთქმულია უკმაყოფილება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და აღ-
მინისტრაციული ორგანოების მიმართ. და ეს ხდება იმიტომ, რომ ადგილებზე ზოგჯერ უწყუ-
რადღებობას იჩენენ მოქალაქეთა სამართლიანი მოთხოვნებისადმი. ამ მდგომარეობას გულდინ-
ჯი ანალიზი და მეტი პასუხისმგებლობა სჭირდება.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მისი აპარატი
მნიშვნელოვან დახმარებას უწყვეტ მუდმივ კომისიებს ორგანიზაციული თუ მეთოდური ხასია-
თის საკითხების მოგვარებაში, მაგრამ, უდავოდ მეტი ზრუნვა არის საჭირო. კონკრეტული,
ყოველდღიური დახმარების გარეშე მუდმივ კომისიებს გაუჭირდებათ მუშაობის ფორმებისა
და მეთოდების შემდგომი სრულყოფა, მათში გაერთიანებული დეპუტატების შემოქმედებითი
ინიციატივისა და აქტივობის შემდგომი ამაღლება.

დეპუტატი — ხალხის რჩეული, მათი ნდობით აღჭურვილი პირია, იგი ვალდებულია მუდამ
იყოს ცხოვრების ფერხულში, აქტიურად იღწვოდეს ხუთწლედის დავალებათა წარმატებით
შესრულებისათვის, თავის სამოქმედო უბანზე წესრიგისა და სამართლიანობისათვის. მას ამის
მორალური უფლებაც უნდა ჰქონდეს.

ღრმად გვწამს, რომ საბჭოები, მათი კომისიები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანე-
ლობით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს წინამძღოლო-
ბით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად ატარონ ხალხის მსახურის საპატი-
სახელი.



კაფუკანდუეის ხანაა, მისი როლი და ანიშნალობა

ბრიგადულ პარტიში,

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

დემოკრატიულ უფლებებს საბჭოთა ხალხი ანხორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით ან უშუალოდ. უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ფორმა კი საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა (კენჭისყრა) ანუ რეფერენდუმია.

სკკპ XXVII ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებაში ნათქვამია: „ჩვენი კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ იმართებოდეს საყოველთაო-სახალხო განხილვა, კენჭისყრა ქვეყნის ცხოვრების დიდ საკითხებზე, ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების გამო, უნდა დავაჩქაროთ კანონის მომზადება ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ“.¹

რეფერენდუმს სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია აკანონებს, მისი მე-5 მუხლით „სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის)“.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კონსტიტუცია იცნობს როგორც „საყოველთაო-სახალხო განხილვას“ ისე „საყოველთაო-სახალხო გამოკითხვას“ (რეფერენდუმს). ეს არის მოსახლეობის (ამომრჩეველთა) მიერ თავისი აზრის გამოთქმის ორი ურთიერთგანსხვავებული ფორმა.

მნიშვნელოვანი დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვა საბჭოთა წყობილების ჭეშმარიტი დემოკრატიულობის მკაფიო გამოხატულებაა.

კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს ეს დოკუმენტი (პროექტი) ქვეყნდება პრესაში, გადაეცემა ტელევიზიითა და რადიოთი, თავიანთ სესიებზე იხილავენ მას სახალხო დებუტატთა საბჭოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო კრებები, შრომითი კოლექტივები (საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები) სამხედრო ნაწილები, ცალკეული პირები. ისინი საჯაროდ გამოთქვამენ თავიანთ აზრს დასახელებული პროექტის ამა თუ იმ მუხლის შესახებ, მოითხოვენ შესწორებებს, დამატებებს; სათანადო კომისია ამ წინადადებებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებს, დააზუსტებს პროექტს და შემდგომ წარადგენს დასამტკიცებლად ხელისუფლების შესაბამის ორგანოში.

¹ მ. ს. გობაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, 1986, გვ. 102.

პოლიტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში მილიონთა საქმე გახდა. პარტია თავის მოვალეობად თვლის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე აუცილებლად მოითათბიროს მასებთან და სწორედ ასეთი მოთათბირების მნიშვნელოვანი ფორმაა — კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოში პოლიტიკის ფორმირების ძლიერი ფაქტორია, ხოლო კანონპროექტის გამოქვეყნება, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის მნიშვნელოვანი საშუალება. შეიძლება იგი მთელი კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარდეს, მაგრამ ასევე შესაძლებელია მან მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოიცვას.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივლისის დადგენილებაში („სახალხო დემუტატების საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“) არის მითითებული „მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, როგორც წესი, მოსახლეობაში პროექტების წინასწარი განხილვის შემდეგ“².

განხილვისაგან განსხვავებით რეფერენდუმი არის გამზადებული, დაზუსტებული კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა, ან საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა. რეფერენდუმის წესით დამტკიცების შედეგად კანონპროექტს ენიჭება კანონის ძალა, მას აღარ ესაჭიროება კიდევ სადმე დამტკიცება და სავალდებულო ხასიათი ეძლევა.

რეფერენდუმის ნაირსახეობაა პლემბისციტი. იგი ტერიტორიის ან სხვა კონკრეტულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე ეწყობა და არა კანონპროექტზე. მათი ჩატარების წესი თითქმის ერთი და იგივეა, დანიშნულება კი ერთგვარად განსხვავებული.

როგორც წესი, რეფერენდუმი ტარდება მხოლოდ კანონპროექტების დამტკიცების ან უარყოფის მიზნით, პლემბისციტი კი — უმთავრესად ტერიტორიის გამოყოფის ან მისი შემოერთებისათვის. რადგანაც ჩვენს სახელმწიფოს არავისთან არ აქვს რაიმე პრეტენზია ტერიტორიის გამო, სკკპ პროგრამაში და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში საერთოდ არაფერია ნათქვამი პლემბისციტის შესახებ.

ბურჟუაზიული სახელმწიფოების კონსტიტუციები, ივალისწინებენ რა პლემბისციტს, მას იყენებენ პატარა ხალხების დამორჩილების საშუალებად. ასე გამოიყენა მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ პლემბისციტი ფაშისტურმა გერმანიამ საარის ოლქის დასაპყრობად (1935 წ.) და ავსტრიის შემოსაერთებლად (1938 წ.). ბურჟუაზია სხვათა ტერიტორიის იძულებით შემოერთებაზე მომხდარ ფაქტს ისეთ გარეგნულ ელფერს აძლევს, თითქოს ეს თვით ხალხის ნება-სურვილი, მისი სანქცია იყოს. სინამდვილეში კი ესაა იძულებითი ზემოქმედების შედეგი.

სიტყვა „რეფერენდუმი“ („refero“) ლათინური სიტყვიდანაა და ნიშნავს — „მოგახსენებთ“, „გაცნობებთ“, აქედან წარმოსდგება მისი შინაარსიც — „საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა“, „საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა“.

„პლემბისციტი“ ლათინური სიტყვაა და „plebs“ ნიშნავს უბრალო ხალხს,



² ვაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 31 ივლისი.

„actum“ კი — გადაწყვეტას, მაშასადამე პლებისციტი ნიშნავს ხალხის მიერ საკანონმდებლო გადაწყვეტას.

რეფერენდუმი ტარდება არა მარტო მიმდინარე საკანონმდებლო აქტების პროექტთა საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის² დროს, არამედ იგი შეიძლება მოეწყოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დროსაც, ახალი კონსტიტუციის მიღებისას, კონსტიტუციური ხასიათის რეფორმის ჩატარებისას და ა. შ. ცნობილია, რომ საფრანგეთში 1946 და 1958 წლებში რეფერენდუმის წესით დაამტკიცეს მე-14 და მე-15 კონსტიტუციები. რეფერენდუმით დამტკიცდა აგრეთვე თურქეთის 1982 წლის კონსტიტუცია³.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ეტაპის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება. ამიტომ სასვებოთ გასაგებია საბჭოთა მოქმედი კონსტიტუციით რეფერენდუმისათვის მნიშვნელოვანი ადგილის მიზნება.

ამით საბჭოთა ხალხს შესაძლებლობა ეძლევა უშუალოდ გამოხატოს თავისი ნება-სურვილი და იგი სავალდებულო გახადოს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და მოქალაქისათვის.

რეფერენდუმი არის ხალხის მიერ თავისი ნება-სურვილის უშუალო გამოხატვა, კონტროლი თვით საკანონმდებლო ორგანოს მიმართ, მაგრამ რადგან შეუძლებელია ყველა საკითხის რეფერენდუმის წესით გადაჭრა, ჩვენს ქვეყანაში იქმნება ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო — უმაღლესი საბჭო.

საერთოდ რეფერენდუმი ორი სახისაა: სავალდებულო რეფერენდუმი, როდესაც კონსტიტუციით დადგენილია თუ რა საკითხზე უნდა მოეწყოს საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა და ფაკულტატური რეფერენდუმი, როდესაც წინასწარ დაუდგენელია ამა თუ იმ საკითხზე რეფერენდუმის სავალდებულო მოწყობა და საჭიროების დროს იგი ტარდება ხელისუფლების შესაბამისი უმაღლესი ორგანოს ინიციატივით.

ჩვენი კონსტიტუციით დღეს დადგენილია მხოლოდ ფაკულტატური რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა, მაგრამ მომავალში ალბათ საჭირო გახდება აგრეთვე სავალდებულო ხასიათის რეფერენდუმის მოწყობაც.

სწორედ ამაზე მიუთითებს სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 48-ე მუხლი: „სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში.“

ამ უფლებას უზრუნველყოფს შესაძლებლობა... მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სახალხო განხილვასა და კენჭისყრაში“... (ხაზი ყველგან ჩემია — გ. ე.).

თუ კონსტიტუციით კანონპროექტი საყოველთაო-სახალხო კენჭისსაყრელად უმაღლეს საბჭოს გამოაქვს ანალოგიურად გადაწყვეტილების პროექტიც შესაბამისმა ადგილობრივმა საბჭომ უნდა გამოიტანოს. პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში მითითებულია, რომ „ყველაზე დიდმნიშვნელოვანი კანონ-

³ ვაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 12 ივნისი; ვაზ. „პრავდა“, 1982 წლის 9 ნოემბერი.

პროექტები და გადაწყვეტილებანი გამოქვეყნდება საყოველთაო-სახალხო განხილვისა და კენჭისყრისათვის“.⁴

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით რეფერენდუმის მოწყობის უფლება ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თავის ინიციატივით ან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით (მუხ. 49). ასეთივე უფლება ჰქონდათ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს თავიანთი კონსტიტუციებით.

მართალია სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით შეიძლებოდა რეფერენდუმის ჩატარება, მაგრამ, ამ კონსტიტუციის მოქმედების ოთხი ათეული წლის მანძილზე იგი ერთხელაც არ მოწყობილა. უფრო მეტიც, ამავე ათწლეულებში არ მიგვიღია კანონი ან დებულება რეფერენდუმის ჩატარების წესის შესახებ.

ამჟამად მოქმედი სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციით რეფერენდუმის მოწყობა შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის 108-ე მუხლით „სსრ კავშირის კანონები მიიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ან საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა“. შინაარსობრივად იგივე აზრია ამავე კონსტიტუციის 115-ე მუხლში. თუ კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქმედების ყველა პირობა ამოიწურა და პალატები მაინც ვერც შეთანხმდნენ, მაშინ „საკითხს გადაიტანენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემდგომი სესიის განსახილველად ან უმაღლესი საბჭო გადასცემს ამ საკითხს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის“.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“ განსაზღვრავს რეფერენდუმის მოწყობის წესს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სსრ კავშირის კანონთა პროექტებსა და სახელმწიფოს ცხოვრების სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებს შეიძლება საყოველთაოდ ეყაროს კენჭი (რეფერენდუმი). რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას“.⁵

ასევე წყვეტს ამ საკითხს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“ (მუხლი 48).

საყოველთაო-სახალხო განხილვა შეუძლია არა მარტო უმაღლეს საბჭოს, არამედ მის პრეზიდიუმსაც. აქ მხედველობაში გვაქვს სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით... შეიძლება გამოტანილ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის“.

რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მოქმედი კონსტიტუციებითაც.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის 137-ე მუხლით „მოკავშირე რესპუბლიკის კანონები მიიღება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა“.

სსრ კავშირის ამავე კონსტიტუციის მე-5, 48-ე, 108-ე, 115-ე, 137-ე მუხ-

⁴ „სკკპ პროგრამა“ (ახალი რედაქცია), 1986, გვ. 72.
⁵ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1979, № 17, მუხ. 272.

ლებით და საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის მე-5, 46-ე, 104-ე მუხლებით დაკანონებულია რეფერენდუმის მოწყობის პრინციპი.

საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციით „საქართველოს სსრ კანონები მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა“ (მუხლი 104).

ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები მართალია ზოგადად აკანონებენ რეფერენდუმს, მაგრამ კანონთა და სხვა აქტთა მიღებისას რეფერენდუმის მოწყობაზე არაფერია ნათქვამი. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ მოქმედი კონსტიტუციის 98-ე მუხლით „აფხაზეთის ასსრ კანონები, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები მიიღება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობით.“

აფხაზეთის ასსრ კანონების პროექტები და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის“. მაშასადამე, აქ ლაპარაკია არა „სახალხო კენჭისყრაზე“ არამედ „სახალხო განხილვაზე“.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციებით კანონები მიიღება უმაღლესი საბჭოს მიერ ან საყოველთაო სახალხო კენჭისყრის გზით. რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონი მიიღება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს მიერ. ამის შესახებ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაშიცაა მითითებული, რომ „ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს იღებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო“ (მუხ. 143).

სსრ კავშირის 1977 წ. კონსტიტუციის 48-ე, საქართველოს სსრ 1978 წ. კონსტიტუციის 46-ე და აფხაზეთის ასსრ 1978 წ. კონსტიტუციის 42-ე მუხლები აკანონებენ სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებას, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაში. მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციიდან აღარ ჩანს, თუ ვის აქვს უფლება როგორ ან რა პირობებში განახორციელოს პრაქტიკულად რეფერენდუმის მოწყობა. ეს ხარვეზია, რაც უნდა გამოსწორდეს.

რეფერენდუმის ჩატარებაში ჩვენს ქვეყანაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მხოლოდ ის მოქალაქენი, რომელთაც აქვს საარჩევნო ხმის უფლება.

უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი ჩვენს ქვეყანაში არ სარგებლობენ არც საარჩევნო და არც რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებით. კანონში „სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ჩაწერილია, რომ „სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს არ შეუძლიათ აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სხვა არჩევითს სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე მიიღონ მონაწილეობა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაში“⁶ (რეფერენდუმში) (მუხ. 22).

რეფერენდუმის მოწყობამდე დათქმულ ვადაში სსრ კავშირის მოქალაქეთა სია უნდა შედგეს იმავე წესით, როგორც ეს არჩევნების დროს ხდება. აქ საჭირო არ იქნება საარჩევნო ოლქების შექმნა. ხმის მისაცემად შეიქმნება საარჩევნო უბნები, საარჩევნო უბნების ტერიტორიული ერთეულებისა და ცენტრალური ხმის დამთვლელი კომისიები.

კანონი დამტკიცებულად ჩაითვლება მაშინ თუ მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილეობის მქონე, სიებით გათვალისწინებული ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ცენტრალური ხმის დამთვლელი კომისია კენჭისყრის შედეგებს გადასცემს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც აქვეყნებს ხალხის მიერ დამტკიცებულ კანონს.

ჩვენი რეფერენდუმისათვის დამახასიათებელია კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ეს განხილვა პროექტის ყოველ მუხლს და ყოველ პუნქტს შეეხება. ხალხი თვითონ ჩაასწორებს კანონპროექტს და თვითონვე

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 22 ივნისი.

დამტკიცებს მას კენჭისყრის საფუძველზე. პროექტის ჩასწორებაც და მისი დამტკიცებაც მშრომელთა ნების გამოხატულების საშუალებაა. ამიტომ ჩვენს პარტიას, ჩვენს სახელმწიფოს არ გაუძნელდება ამ ნაბიჯის გადადგმა.

ლაპარაკობდა რა მენშევიკებისა და ესერების შესახებ, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ვერასოდეს ვერ ვაბედლავენ ისინი შეეკითხონ მასას, მოაწყონ რეფერენდუმი ან თუნდაც კენჭისყრა ყველა ადგილობრივ საბჭოში“.⁷

საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ბურჟუაზია მხარს უჭერდა დამფუძნებელი კრების მოწვევას და რეფერენდუმის ჩატარებას. ისინი რასაკვირველია ცდილობდნენ ემოქმედათ არა მშრომელთა, არამედ მქონებელთა კლასის სახელით.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერს: „მე უნდა აღვნიშნო, რომ დამფუძნებელი კრება და რეფერენდუმი აგებულია ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ძველი ნიმუშების მიხედვით, და სახალხო კენჭისყრა, კაპიტალის ბატონობის მეოხებით, იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს და ევაჭროს. საბჭოთა ხელისუფლება კი არ იძლევა ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც ფარეკაობენ პარლამენტში... ძველი ყაიდის დამფუძნებელი კრება და ძველი ყაიდის რეფერენდუმები, ამოცანად ისახავდნენ გაეერთიანებინათ მთელი ერის ნება და შეექმნათ შესაძლებლობა მეგობრულად ეცხოვრათ მგლებსა და ცხვრებს, ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს. არა, ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ ყოველივე ეს გადავიტანეთ და გამოვცადეთ. ჩვენ მოგვებურდა ყოველივე ეს“.⁸

თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ რეფერენდუმის ჩატარებას წინ უნდა უსწრებდეს კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რეფერენდუმი მარტო კენჭისყრა არ ყოფილა, იგი მოიცავს განხილვასაც. ამით ჩვენ ვცილდებით „ძველ ნიმუშს“, ანუ ბურჟუაზიულ რეფერენდუმს და ვამკვიდრებთ ახალი ტიპის, სოციალისტურ რეფერენდუმს.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში ვ. ი. ლენინს საჭიროდ არ შიანდა რეფერენდუმის ჩატარება. იგი თვლიდა, რომ კლასობრივ ძალთა მაშინდელი თანაფარდობა ისეთი იყო, რომ რეფერენდუმის ჩატარება არ გაამართლებდა. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციამ არ ცნო რეფერენდუმი.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციამ, გაითვალისწინა რეფერენდუმის ჩატარება. ეს უფლება კონსტიტუციით მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მაგრამ იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფაქულტატური რეფერენდუმის მოწყობით. თუმცა, მისი ჩატარება ამ კონსტიტუციის მოქმედების პერიოდში საჭირო არ გამხდარა.

რეფერენდუმი სახელმწიფო მართვაში ხალხის მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა. კანონთა დამტკიცების ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის მოწყობილი საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა (კენჭისყრა) ეს არის დემოკრატიული პრინციპების განვითარება. განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე ალბათ აუცილებლად მოგვიწევს რეფერენდუმის ჩატარება და ამიტომ დგას დღის წესრიგში კანონის მიღება რეფერენდუმის ჩატარების წესის შესახებ. ეს საკითხი ჯერ დამუშავების პროცესშია, მაგრამ მალე იგი დადებითად გადაწყდება.



7 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 100.

8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 585.

სასამართლო პრაქტიკის განვითარება

დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

გიორგი ყოლაია,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ანგარებითი დანაშაულობებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა არის ამ საქმეებისათვის სისხლის სამართლის სამართალწარმოების სპეციფიკური ამოცანა, რაც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ სსსკ 30-ე მუხლში. ეს გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სხვა ნორმების, კერძოდ, საქართველოს სსრ სსსკ 59-ე, 174-ე მუხლების, 230-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 232-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალიზიდანაც.

საქართველოს სსრ სსკ 91-96-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებათა საქმეებზე სამართალწარმოების მითითებული სპეციფიკური ამოცანა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოძიების დასაწყისიდანვე და პროცესის მომდევნო სტადიებზე დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხები ისეთსავე ადგილს იკავებენ, როგორც პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის გამოკვლევა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფით ლენინური მოთხოვნის შესრულება იმის თაობაზე, რომ სხვათა ხელში არასწორად მოხვედრილი ასმანეთიანი უსათუოდ დაუბრუნდეს სახელმწიფო ხაზინას!

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის სისტემატური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალისტური ქონებისადმი დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ამოცანებს სამართალწარმოება არადაამაკმაყოფილებლად წყვეტს. ეს დასკვნა უფრო სარწმუნო გახდება, თუ მივმართავთ სავამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ ჩატარებული მუშაობის სტატისტიკურ მონაცემებს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების საქმეში. მაგალითად, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მთლიანად რესპუბლიკაში სოციალისტური ქონებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებამ საშუალოდ შეადგინა 46,3 პროცენტი. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა მიხედვით ანალოგიური მაჩვენებელი 30 პროცენტს შეადგენს.

ამ საკითხზე ანალოგიური არადაამაკმაყოფილებელი სურათი მოგვცა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ ამას წინათ ჩატარებულმა სასამართლო პრაქტიკის განვითარებამ: სასამართლო პრაქტიკის განვითარებით მოცემულ საქმეთა მიხედვით დანაშაულობებით მიყენებული მატერიალური ზიანის რეალურად ანაზღაურებამ შეადგინა 10 პროცენტი, ხოლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით აღწერილი ბრალდებულთა ქონება შეადგენდა ამ ზიანის მხოლოდ 49 პროცენტს.

ვფიქრობთ, ეს არის საკმაოდ სარწმუნო მაჩვენებელი იმისა, რომ სოციალისტური ქონებისადმი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები სახარბიელო არ არის. ამიტომ აუცილებელია იმ კონკრეტული ხარვეზების გაშუქება, რომლებიც განაპირობებენ ამ არასახარბიელო მდგომარეობას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში მოხვედრილ ყოველ მესამე საქმეზე ბრალდებულთა ქონება დიდი დაგვიანებით დაყალიბდა. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინით ნ. თ. კაპეტიაძე და ა. დ. ბაბუნაშვილი ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 961 მუხლით. ამ საქმეზე კაპეტიაძის ქონებას ყადაღა დაედო მისთვის ბრალდების წარდგინიდან ერთი თვის შემდეგ.

სასამართლო პრაქტიკის განვითარების დროს შესწავლილ ყოველ მეოთხე საქმეზე საგამოძიებო ორგანოებს არ შეუძლონ შემანახველი სალაროები ბრალდებულთა სახელზე ფულადი დანაშაულების აღმოჩენის მიზნით. მაგალითად, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1986 წლის 15 ივნისისა და 26 თებერვლის განჩინებით გ. შ. პერსელიძე და მ. ს. მახარაძე ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 961 მუხლით და დაეკისრათ ზარალის ანაზღაურება, მაგრამ აჭარის ასსრ შსს საგამოძიებო განყოფილების უფროს გამომძიებელს ნ. შ. მაღალაძეს, რომელმაც ორივე საქმე გამოიძია, პერსელიძისა და მახარაძის სახელზე ანაზღაურების აღმოჩენის მიზნით შემსალაროები არ შეუძლონ.

სასამართლო პრაქტიკის განვითარების დროს შესწავლილი საქმეებიდან სახელმწიფო ავტონისაჟექციის მეშვეობით ყველა საქმეზე არ შემოწმებულა, ხომ არ ირიცხებოდა ბრალდებულებზე მსუბუქი ავტომანქანები.

საერთოდ, არსებითი ნაკლია ის, რომ ბევრი გამომძიებელი ძირითადად აღწერაში მოსახვედრი ქონების დასაძებნად ბრალდებულთა საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკით კმაყოფილდება და როგორც უკვე ითქვა, ძალიან იშვიათად ამოწმებენ ანაზღაურებას და ავტომანქანებს.

ბრალდებულთა და ექვმიტანილთა ქონების დაძებნის ხერხების არსენალი მხოლოდ უკვე დასახელებულით ჩიდი განისაზღვრება, მაგრამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა გვჩვენებს, რომ გამომძიებლები თითქმის სრულიად უგულებელყოფენ სოციალისტური ქონების დატაცების საქმეებზე პრაქტიკაში უკვე გამართლებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა: ბრალდებულთა ფულადი შენატანების შეწოვება ურთიერთდამხმარე სალაროებში; პრემიის სახით მისაღები თანხების გარკვევა ბულატერიაში სამუშაო ადგილის მიხედვით; სახლავლევის ორგანოების მიერ გასაცემი თანხების შემოწმება; ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების, საცხოვრებელ-საფარგზო-სააგარაკო კომპლექსების და სანაოსნო ინსპექციების მეშვეობით იმის გარკვევა, აქვთ თუ არა ბრალდებულებს საკუთარი სახლები, ფარხები, წყლის სატრანსპორტო საშუალებანი და საბაიო შენატანები.

ზოგჯერ პირები, რომლებიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საშუალებებით ცხოვრობენ, არიან სამონადირეო კავშირის წევრები, იძენენ ძვირადღირებულ, მათ შორის უცხოური წარმოების სანადირო თოფებს, მაგრამ არც ერთ შესწავლილ საქმეზე არ არის გამოთხოვილი მონადირეთა კავშირიდან და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ცნობა იმის შესახებ, აქვს თუ არა ბრალდებულს სანადირო თოფი.

ზოგჯერ სოციალისტური ქონების დატაცებაში მონაწილენი მცირე შეძლების პირებად, უფრო მეტიც — დარბეზადაც კი გვაჩვენებენ თავს. თუმცა ხშირად არა, მაგრამ ასეთი აღმანიები ამ მიზნით ლომბარდშიც კი აგირავენ ძვირფას ნივთებს. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკის განვითარების დროს შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ გამომძიებლებს არც ერთ საქმესთან დაკავშირებით არ მიუმართავთ შეკითხვით ლომბარდისათვის.

როგორც განვითარების მასალებიდან ჩანს, სოციალისტური ქონების დატაცების შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში გამომძიებლები არ მიმართავენ სანოტარო კანტორებს, თუმცა იქიდან შეიძლება ცნობების მიღება — ხომ არა აქვთ ბრალდებულებს (ექვმიტანილებს) დადებული ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების ხელშეკრულებები აღსაწერი ქონების ვადამაღვის მიზნით.

სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ბრალდებულთა ქონების აღწერისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობს წინასწარი გამოძიების დროს: გამოძიება იწყება მაშინვე, როგორც კი თავს იჩენს დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნები, გამომძიებელს შეუძლია გააყვეს ცხელს კვალს, ეს კი დაინტერესებულ პირებს შეუზღუდავს ქონების გადაძალვის შესაძლებლობას; ოპერატიულობა, რომელიც ასე აუცილებელია ამ საქმეში, განპირობებულია არა მარტო იმით, რომ გამოძიება მიმდინარეობს „ცხელ კვალზე“, არამედ გამომძიებლის მიერ ერთპიროვნულად წარმოებული გამოძიების მობილურობითაც. ამიტომ გამომძიებლის უეგრავილობა და მის მიერ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად დროული ღონისძიებების მიუძღვრობა ზოგჯერ სასამართლოსათვის შეუძლებელს ხდის აღმოაჩინოს

ბრალდებულის ქონება, რომელზედაც შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. მაგრამ ნათქვამიდან სრულებითაც არ გამოძინარებობს, თითქოს სასამართლოს არ შეეძლოს ზომების მიღება მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველსაყოფად საქმეებზე, რომელთა გამოძიების დროსაც ასეთი ღონისძიებები არ ყოფილა გატარებულნი.

შემთხვევითი არ არის, რომ კანონში (საქართველოს სსრ სსსკ 230-ე მუხლის მე-10 პუნქტი) იმ საკითხთა შორის, რომელთა გამოკვეთაც სავალდებულოა ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს, მითითებულია: „მიღებულია თუ არა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ დანაშაულის მიყენებულ მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და ქონების შესაძლებელ კონფისკაციას“. ამასთან, სასამართლო ამ შემთხვევაში სრულებითაც არ გამოდის პასიური სტატისტიკის როლში. თუ დადგინდა, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში ასეთი ღონისძიებანი არ იყო გატარებული, მოსამართლე ან სასამართლო საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით ვალდებულია გადაწყვიტოს საკითხი ქონებაზე, ფულად შენატანებაზე და სხვ. ყადაღის დადების შესახებ. სასამართლოს ეს მოვალეობა პირდაპირ არის ჩაწერილი „ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 29 ნოემბრის № 8 დადგენილების მე-12 პუნქტში.²

ქონებაზე და ფულად შენატანებაზე ყადაღის დადების შესახებ სათანადო დადგენილების (განჩინების) გამოტანით, ცხადია, საქმე არ მთვარდება. ამ პროცესუალური აქტების მოთხოვნათა რეალობისათვის აუცილებელია საჭირო ზომების გატარება. თუ მითითებული აქტების მოთხოვნები ქონებაზე და ფულად შენატანებაზე ყადაღის დადების შესახებ ადვილად შეიძლება იქნეს რეალიზებული ამ აქტების „სახშრომსალაროების“ სამმართველოში გადაზავებით, იგივე არ შეიძლება ითქვას სხვადასხვა ორგანიზაციებში გაბნეულ ქონებაზე, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ამ დოკუმენტების გადაგზავნა ერთ ან ორ დაწესებულებაში აშკარად არასაკმარისია. ამიტომ განსასჯელის იმ ქონების დაქვინების მიზნით, რომელზედაც შეიძლება მიექცეს გადახდევინება, დადგენილება (განჩინება) ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ უნდა გადაიგზავნოს ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ ორგანიზაციაში. სასამართლო ვალდებულია ასეთი ინიციატივა გამოიჩინოს როგორც იმ შემთხვევებში, როცა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების სტადიებზე საერთოდ არ იყო მიღებული ზომები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ისე იმ შემთხვევაში, როცა პროცესის მითითებულ სტადიაზე ამ მიზნით მიღებული ზომები ფორმალურ ხასიათს ატარებდა (მაგალითად, ქონების დაყადაღების შესახებ დადგენილება მიღებულია, მაგრამ ქონების, ფულადი ანაზღაურებისა და ჟ. შ. აღმოსაჩენად ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა).

კანონი (საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის მე-3 ნაწილი) ითვალისწინებს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის სხვა, შუალობით საშუალებსაც სასამართლოში შესულ საქმეებზე: იმ შემთხვევაში, როცა მოკვლევის ორგანოს ან გამოძიებელს არ მიუღია ზომები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებების ან ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველსაყოფად, თუ ასეთ ზომებს უშუალოდ სასამართლო ვერ მიიღებს, მოსამართლე ან სასამართლო დამატებით გამოძიებისათვის საქმის დაუბრუნებლად თავისი დადგენილებით ან განჩინებით ავალდებს სათანადო ორგანოს განახორციელოს უზრუნველყოფის ჭეშოვანი ღონისძიებანი.

სასამართლომ შეიძლება მიიღოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება თუ წინასწარი გამოძიების დროს ზარალის ასანაზღაურებლად ზომები არ იყო მიღებული: დააბრუნოს საქმე დამატებით გამოძიებისათვის. ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მაშინ, თუ შესაბამის ღონისძიებათა გატარება თვით სასამართლოს არ შეუძლია. ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებათა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილების 27-ე პუნქტით. მაგრამ სამწუხაროდ სასამართლო პრაქტიკის განვითარების დროს შესწავლილ საქმეთა შორის არ აღმოჩნდა არც ერთი მაგალითი იმისა, რომ უშუალოდ სასამართლოს მიერდის ზომები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ან სხვა ორგანოებისთვის დევალდების ასეთი ღონისძიებების გატარება. სასამართლო პრაქტიკა არც იმის მაგალითებს იძლევა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით საჭირო ღონისძიებების გასატარებლად სისხლის სამართლის საქმე დამატებით გამოძიებას დაბრუნებოდეს.

დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ეს კი მიგვანიშნებს იმ პირთა დაბალ პროფესიულ დონეზე, რომლებიც მოწოდებულნი არიან მიიღონ ენერგიული ზომები დატაცებით სოციალისტური ქონებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. დაბალი პროფესიონალიზმის მაჩვენებელია ისიც, რომ შემსაღაროებს, სახელმწიფო ავტონისპექციას და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ტექნიკური ინვენტარიზაციების ბიუროებს მიმართავენ შეკითხვებით მხოლოდ ბრალდებულთა სახელზე აღრიცხული ფულადი ანაზღაურების, ავტომანქანების ან სახლების დასადგენად, თუმცა, ცნობილია, რომ სახალხო დოვლათის ბევრი დამტაცებელი, იმისათვის, რომ ვერ ამხილონ და გაუძნელონ სამართალდამცველ ორგანოებს არაშრომითი შემოსავლების აღმოჩენა, სახლებს, მანქანებსა და ფულად ანაზღაურებს აფორმებენ ახლობლებზე.

ხშირად ბრალდებულთა ქონების აღმოსაჩენად ღონისძიებათა გატარებაში გამოჩენილი პასიურობის, უფრო მეტიც, ასეთი ღონისძიებების მიუღებლობის გამართლების მიზნით, ასეთი მოსაზრებები მოჰყავთ: მთელი დატაცებული ქონება დეკლარაციაზე ან ამოვიღეთ მათი გადაძალვის ადგილიდან; ბრალდებულის ქონება აღწერილია იმ რაოდენობით, რაც საკმარისია ზარალის დასაფარავად, ზოგჯერ კი მეტიც, ასეთი მოსაზრებები უსუსურია. ჯერ ერთი, ტრანსპორტირების დროს ან გადაძალვის ადგილიდან ამოღებული ქონება შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილი ბრალდებულის მიერ დატაცებული ქონებისა. მაგალითად, დაკავებულთა სამშენებლო ობიექტიდან სამუშაოთა მწარმოებლის მიერ დატაცებული დეფიციტური სამშენებლო მასალები და მოწყობილობა. მაგრამ გამოირიცხული არ არის, რომ ეს სამუშაოთა მწარმოებელი მსგავს დატაცებებს სხადიოდა სისტემატურად და თუ გამოძიებელი არ დაკმაყოფილდება დაკავებული დატაცებული ქონებით და აქტიურად დაუწყებს ძებნას ბრალდებულის (ექვმიტანილის) ქონებას, შეუძლია გახსნას მოცემული პირის დანაშაულებრივი საქმიანობის სხვა ეპიზოდებიც. მეორეც, ზოგჯერ განსხვავება გამოძიებლის მიერ აღწერილ ქონებასა და იმ ქონებას შორის, რომელზედაც რეალურად შეიძლება მიექცეს გადახდევინება, ძალზე დიდი აღმოჩნდება ხოლმე: ხშირად, აღწერაში შეაქვთ ისეთი საგნები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობით არ შეიძლება ყადაღა დაედოს; ბევრი რამ იქიდან, რაც აღწერილია, შეიძლება არ ეკუთვნოდეს ბრალდებულს და მესამე პირთა განცხადებით შეიძლება მოეხსნას გამოძიებლის მიერ დადებული ყადაღა.

მაგრამ, დაუშვათ, რომ ამოღებული ან აღწერილი ქონებით შეიძლება დაიფაროს დანაშაულით მიყენებული ზიანები, ბრალდებულის მთელი ქონების დაქვინის ღონისძიებების გატარებაში გამოჩენილი პასიურობა, მით უმეტეს ასეთი ღონისძიებების საერთოდ გაუტარებლობა, არ შეიძლება გამართლებულად ჩათვალოს ისეთ შემთხვევებში როცა სასამართლოს განაჩენით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქონების კონფისკაცია. სად მსჯელობაზე დაფუძნებული ეს დასკვნა განმტკიცებულია კანონით. საქართველოს სსრ სსსკ 174-ე მუხლში მითითებულია, რომ წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის ან ექვმიტანილის ქონებას ყადაღა დაედება სამოქალაქო სარჩელის, სატრანსპორტო საშუალებათა მოსალოდნელი ჩამორთმევისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს სსრ სსსკ 230-ე მუხლის მე-10 პუნქტი მოსამართლის ან სასამართლოსაგან მოითხოვს გამწესრიგებელ სხდომაზე შეამოწმოს, მიღებულია თუ არა ზომები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და ქონების მოსალოდნელი კონფისკაციის უზრუნველსაყოფად, ხოლო საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის მესამე ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა მოექცეს მოსამართლე ან სასამართლო განსაცხელის სამართალში მიცემის დროს იმ შემთხვევაში, როცა მოკვლევის ორგანოს ან გამოძიებლის მიერ გატარებული არ არის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების, ან ქონების მოსალოდნელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამრავად ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგამოძიებო ორგანოები და სასამართლო ვალდებულნი არიან მიიღონ მოსალოდნელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომებიც. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ რესპუბლიკური კანონმდებლობა, რომელიც ამ საკითხს აწესრიგებს, საჭიროებს სრულყოფას.

საქართველოს სსრ სსსკ ანალოგიური ნორმისაგან განსხვავებით, რსფსრ-ის სსსკ 30-ე მუხლი მთლიანად მიდევნილია უკვე გაცხადებული ან მომავალში გასაცხადებელი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი. ძალზე განსხვავდება რსფსრ სსსკ 30-ე მუხლი, რომელიც მოკვლევის ორგანოებს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს უყენებს მოთხოვნას თანაბრად უზრუნველყონ დანაშაულით მიყენებული მატერიალური

ზიანის ანაზღაურებაც და განაჩენის აღსრულებაც ქონების კონფისკაციის ნაწილში, რაც უფრო ხელსაყრელია. საქართველოს სსრ სსსკ აღნიშნული ხარვეზი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გამოსწორდეს, ეს ხელს შეუწყობს გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მუშაობის გააქტიურებას როგორც სამოქალაქო სარჩელების, ისე ქონების მოსალოდნელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარებაში.

ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში ჩანს კანონის მოთხოვნათა არასათანადო, ფორმალური შესრულება გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში სოციალისტური ქონებისათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საქმეში. მაგრამ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ ჩატარებულმა სასამართლო პრაქტიკის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მთელ რიგ საქმეებზე საქართველოს სსრ სსსკ 30-ე მუხლის მოთხოვნები გაცხადებული ან მომავალში გასაცხადებელი სამოქალაქო სარჩელების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შესახებ მთლიანად უგულებელყოფილი იყო. მაგალითად, კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 9 იანვრის განაჩენით გ. ს. ოქროვეი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსსკ 91-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და დაეკისრა დატყუებული ნივთების ღირებულების ანაზღაურება. ამ საქმეზე კასპის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა გამოძიებელმა გ. ა. გეჯაძემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად არაავითარი ზომები არ მიიღო, ხოლო რაიონის პროკურორმა ისე დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა, რომ ამ აშკარა დარღვევაზე რაიმე რეაგირება არ მოუხდენია. მესტიის რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 17 იანვრის განაჩენით საქართველოს სსრ სსსკ 94-ე მუხლის მესამე და 186-ე მუხლის მეორე ნაწილებით მსჯავრდებულ შ. ა. დავითიანს დაეკისრა მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ამ საქმის გამოძიებელმა, რაიონის პროკურორის თანაშემწემ შ. გ. კვიციანმა საბრალდებო დასკვნა ისე შეადგინა, რომ არაავითარი ზომები არ მიუღია სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სსსკ 91-ე მუხლის მეოთხე და 94-ე მუხლის მესამე ნაწილების სანქციებით ქონების კონფისკაცია სავალდებულოა. მიუხედავად ამისა, არც ერთ საქმეზე ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომები არ იყო მიღებული. მეორე შემთხვევაშიც პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნა დამტკიცებულ იქნა კანონის ამ უბეშ დარღვევაზე ყოველგვარი რეაგირების გარეშე.

მაგალითები შეიძლება გაგვეგრძელებინა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია სხვა რამეც. სამოქალაქო სარჩელისა და ქონების მოსალოდნელი კონფისკაციის უზრუნველყოფის შესახებ კანონის მოთხოვნათა არასათანადოდ შესრულებაში ან სრულ უგულებელყოფაში მართლ საგამოძიებო ორგანოები როდი სცოდავენ. საქართველოს სსრ სსსკ 30-ე მუხლის მოთხოვნებს უხეშად არღვევენ სასამართლოებიც. ზემოთ დასახელებულ ორ საქმეში სასამართლოებმა არ გაარკვიეს, მიღებული იყო თუ რა ზომები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალისა და ქონების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად, თუმცა ისინი საქართველოს სსრ სსსკ 230-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად ვალდებული იყვნენ გაეკეთებინათ ეს. მათ არც საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები შეასრულეს, არც თვითონ განახორციელეს ასეთი ღონისძიებები და არც შესაბამის ორგანოებს დაავალეს ამის გაკეთება. რა თქმა უნდა არ ყოფილა მსჯელობა სამოქალაქო სარჩელისა და ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად დასახელებული საქმეების დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებაზე.

ამით სრულებითაც არ ამოიწურება ის დარღვევები, რომლებსაც ადგილი აქვს სასამართლოებში სამოქალაქო სარჩელისა და ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის საქმეში. მაგალითად, ორივე ზემოაღნიშნულ საქმეში, ისევე როგორც განზოგადების დროს შესწავლულ საქმეთა უმრავლესობაში, შესრულებული არ არის საქართველოს სსრ სსსკ მე-80 მუხლისა და „დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 23 მარტის № 1 დადგენილების მე-19 პუნქტის მოთხოვნები. საგამოძიებო ორგანოების მიერ საქართველოს სსრ სსსკ 30-ე მუხლის მოთხოვნების უგულებელყოფა გატაცებებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ზომების მიღების შესახებ ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვებული.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სრულყო თავისი საქმიანობა სოციალისტური ქონების გატაცების შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ორივე ინსტან-

ციაში, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე საზედამხებველო წარმოებაში დანერგილია სპეციალურ სქემა, რომელიც საქმესთან ერთდროულად ბარდება წევრებს და კონსულტანტებს, რომლებიც საქმეებს იხილავენ პირველი ინსტანციით, ახსენებენ კასაციაში ანდა ზედწესით სწავლობენ პროტესტსა და საჩივარს. საქმის განხილვის (შესწავლის) პროცესში მოსამართლე ან კონსულტანტი ვალდებულია გულდასმით გამოიკვლიოს იმ ღონისძიებების სისრულე და ეფექტიანობა, რომლებიც მიღებულია პროცესის წინა სტადიებზე ზარალის ანაზღაურებისათვის. ამ საქმიანობაში ფორმალისმს გზას უკეთავს ზემოაღნიშნული სპეციალური სქემის დეტალურად შემუშავებული გრაფები, რომლებიც შევსებული უნდა იყოს. შევსებული საქმეები თავს იყრის თავმჯდომარის მოადგილესთან, რომელიც კურიერებას უწევს ამ საქმეს, შემდეგ კი გადაეცემა იმ მუშაკს, რომელიც ამ პრობლემის თაობაზე განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას. ასეთი წესი საშუალებას იძლევა, პირველ რიგში, თვით უმაღლესმა სასამართლომ მიიღოს ზომები მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის (იმ საქმეებზე, რომლებსაც ის იხილავს პირველი ინსტანციით) და მეორეც, უზრუნველყოფს ამ მნიშვნელოვან საკითხზე სისტემატურ კონტროლს, ზეგავლენას სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაზე.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგებზე ინფორმაცია გაეგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურას და იუსტიციის სამინისტროს. საქართველოს სსრ პროკურატურა ენერგიულად გამოეხმაურა ამას და საკითხი განიხილეს საგამოძიებო სამმართველოს მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე, აგრეთვე პროკურატურის და გამოძიების მუშაკების ზონალურ მეთოდურ სემინარებზე, ყველა ქვემდგომ პროკურატურას გაეგზავნა მითითება, რომლითაც მათ მოეთხოვათ მკაცრად მიადევნონ თვალყური ამ გარემოებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც გატაცების შედეგად სოციალისტური ქონებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები მოსმენილი იქნება იდგილებზე, სახალხო მოსამართლეებისათვის საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად გამართულ მოკრიგ ზონალურ სემინარებზე.

და ბოლოს, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები განხილულ იქნა 1986 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე. აქ მიღებული დადგენილება და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შედგენილი მიმოხილვა დაეგზავნა ყველა ქვემდგომ სასამართლოს. ყოველივე ამან, ვფიქრობთ, ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური ქონებისათვის გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სასამართლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.



სამართლებრივი აღზრდის საღაისო მოთხოვნები



კონფერენციის პრეზიდიუმი

1987 წლის 27-28 აპრილს თბილისში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე, „სამართლებრივი აღზრდა, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და სამართალდაცვითი ორგანოები“. კონფერენცია გაიმართა საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოსა და სსრ კავშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის ინიციატივით.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა ვ. რაზმაძემ. ამ შეხვედრამ, თქვა მან, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელების საქმეში, რადგან გარდაქმნის კურსმა, საჯაროობამ, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებამ და დე-

მოკრათიის შემდგომმა განვითარებამ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაზე ფართო საზოგადოებრიობის ზეგავლენის არნახული შესაძლებლობები შექმნა; სამართლებრივი აღზრდის, ასევე საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გამოყენების საქმეში რესპუბლიკამ დიდი გამოცდილება დააგროვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამრათლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამოკვლევებმა გამოავლინეს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის მიმართ მშრომელების დამოკიდებულების რეალური სახე, რამაც საშუალება მოგვცა იმ დონისძიებათა მთელი სისტემის შემუშავებისა, რომლებიც მიმართულია დანაშაულისა და სხვა

ნეგატიურად მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთაქტიურობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ამ დიდწინაშეწევლოვან საქმეში, აღნიშნა შემდგომ ვ. რაზმაძემ, ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რადგან მათ საზოგადოებრივი აზრის მართვის ფაქტორებს შესაძლებლობანი გააჩნიათ. საჭიროა ამ შესაძლებლობების მთელი ძალით ამოქმედება.

დასასრულს, ვ. რაზმაძემ ნაყოფიერი მუშაობა უსურვა კონფერენციის მონაწილეებს და გამოთქვა რწმენა, რომ ასეთი შეხვედრები ერთნაირად სასარგებლო იქნება როგორც მეცნიერი ლტოლნიკების, ასევე პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

ქ. მოსკოვის პროკურორი გ. ი. სკარედოვი გამოვიდა მოხსენებით: „შრომითს კოლექტივებში პროკურატურის ორგანოების მიერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის გამოცდილება“. მომხსენებელმა გააანალიზა შრომით კოლექტივებთან პროკურატურის ორგანოების ურთიერთობის კონკრეტული ფორმები: პრესაში გამოსვლა, სისტემატური ანგარიშგება შრომითი კოლექტივების წინაშე, წარმოება-დაწესებულებებში საინფორმაციო ბიულეტენების გაგზავნა, მოსახლეობასთან პირდაპირი სატელეფონო კავშირი, სამრეწველო საწარმოებში ღია წერილის დღე, შეხვედრები შრომითი კოლექტივებში წარმომადგენლებთან და სხვ. გამოკვლევებმა, თქვა მან, ცხადყო, რომ მოსახლეობამ ცუდად იცის თუ რა ფუნქციები აკისრიათ პროკურატურის ორგანოებს. უფრო მეტიც, ბევრს მიაჩნია, რომ პროკურატურას უფლება აქვს დასაჯოს, განახორციელოს მართლმსაჯულება და სხვ. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ჭერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გაგვაჩნია მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავჯულიძემ ილაპარაკა სამართლებრივი აღზრდის, საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების თეორიისა და პრაქტიკის ძირეულ საკითხებზე. ჩვენი საზოგადოების გარდაქმნისა და დემოკრატიზაციისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება მოთხოვს სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი პროპაგანდის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას, თქვა მომხსენებელმა. მოსახლეობის მაღალი მართლშეგნების ფორმირების საქმეში სამართლებრივი აღზრდა წარმომადგენს დანა-

შეულისა და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის წინაპირობას. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია არამართო მთლიანად სოციალისტური სამართლის სოციალური ღირებულების, არამედ კონკრეტულ კანონთა, თითოეული სამართალდაცვითი ორგანოსა და მათი წარმომადგენლების სოციალური პრესტიჟის ამაღლება.

ბელორუსიის სსრ პროკურორი გ. ს. ტარნავსკის მოხსენების თემა იყო „საპროკურორთა ზედამხედველობა და სამართლებრივი აღზრდა შრომითს კოლექტივებში“. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ სამართლებრივი აღზრდის წარმართვის ახალი ფორმების პრაქტიკაში დანერგვის სასიკეთო ტენდენციებზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ გზით მიღებული შედეგების ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობა, რომ იქ, სადაც საჭაროობამ ფრთხილად გაშალა, მთელი ძალით ამოქმედდა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ამოუწურავი შესაძლებლობანი, საგრძნობლად იკლო სამართალდარღვევებმა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფრთხილე და ტაქტი. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის პროკურატურის ორგანოები ეყრდნობიან მშრომელთა განცხადებებისა და წერილების ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ეს კი უტყუარი ორიენტორია სამომავლო საქმიანობის წარმართვისათვის.

სამართლებრივი აღზრდისა და იუსტიციის ორგანოების ამოცანებზე კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. რატაიანი. ჩვენი წლების მანძილზე, თქვა მან, წარმატებით ფუნქციონირებს სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი პროპაგანდის საკოორდინაციო საბჭო. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ამ ორგანოს მუშაობის გამოცდილებას დიდი ინტერესით ეკიდებიან სხვა რესპუბლიკებშიც. ამ საბჭოს თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მიაჩნია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ორმხრივი, მტკიცე კონტაქტების დამყარება, ამიტომ სისტემატურად იმართება შეხვედრები პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტებთან, ხოლო სამართლებრივი საკითხებზე მომუშავე ყურანლისტებს კი შეუძლია მიიღონ მათთვის საჭირო ცოდნა თუ ინფორმაცია, სამინისტროსთან არსებულ მუდმივმოქმედ ყურსებაზე. ამჟამად, თქვა დასასრულს მომხსენებელმა, დასმულია



ო. პ. ტუმბუშვილი

საკითხზე საყოველთაო სამართლებრივი სწავლების შემოღების თაობაზე.

სსრ კავშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგე, პროფესორი ა. ი. დოღვაჯია გამოვიდა მოხსენებით: „სამართლებრივი აღზრდის როლი დამანაშავეობასთან ბრძოლის საქმეში“. ამ საკითხზე იმდენი ლიტერატურა არსებობს, თქვა მან, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ საქმის რეალური ვითარების შესწავლა ცხადყოფს, რომ ეს ასე როდია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გავგაჩნია მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მართლშეგნების, სამართლებრივი აქტიურობის ამაღლების საქმეში. მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ანგარებითი დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თავიდან აცილებისათვის აუცილებელია ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ქმედითად ჩაბმის ახალი ფორმებს ძიება და დაინერგვა.

„სამართლისა და სამართალდაცვითი ორგანოების პრესტიჟი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით“ — ამ თემაზე ისაუბრა სსრ კავშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგემ, პროფესორმა ა. რ. რატიონოვმა. მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მთლიან სისტემაში, თქვა მან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლებრივ აღზრდას. ამიტომ ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა სტიქიურად, უამიდან უამამდე კი არ უნდა ხდებოდეს, რამედ მიზანმიმართულად,

გეგმაზომიერად და სისტემატურად. შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა სსრ კავშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის მიერ ზუსტის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ რეგიონში დანაშაულის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიური კვლევის შედეგები.

მოსახლეობისათვის სამართლებრივი ცოდნის მიწოდების ახალ ფორმათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა უფროსი „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მართლშეგნების ამაღლებისათვის, თქვა მან, სულ უფრო აუცილებელი ხდება სამართლებრივი აღზრდის ახალ-ახალი, ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიება. ამ მიმართულებით უფროსის რედაქციას მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა. კერძოდ, გასული წლის პირველი ნომრიდან გაგრძელებებით იბეჭდება ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის მხატვრული პოპულარული ნაწარმოები „ქმნა მართლისა სამართლისა...“, რომელმაც ფართო მასებისათვის სამართლებრივი ცოდნის მიწოდების თვალსაზრისით უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. ამაზე მეტყველებს ის მრავალი გამოხმაურება, რომელიც რედაქციამ მიიღო. ამ წერილების ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აღნიშნული პუბლიკაციები ღიდად უწყობენ ხელს სასწავლებელში სამართლის საფუძვლების შესწავლის საქმეს, რომ ახალგაზრდები ახლა უფრო მეტ ინტერესს იჩენენ სამართლის მეცნიერების მიმართ. პუბლიკაციათა ბეჭდვა ჯერ კიდევ გრძელდება და ამდენად, საბოლოო შედეგებზე, ცხადია, ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ახლაც შეგვიძლია დაბეჭდვით ვთქვათ, რომ სამართლებრივი აღზრდის ამ სრულიად ახალმა ფორმამ გაამართლა და საჭიროა მისი განვითარება, დახვეწა და შემდგომი სრულყოფა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ა. ნოსკოვას მოხსენების თემა იყო „სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის ზოგიერთი საკითხი“. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ეფექტიანობა, თქვა მან, პირდაპირ არის დაკავშირებული მისადმი მოსახლეობის ფართო ფენების დამოკიდებულებაზე. ამიტომაც ღიდად მნიშვნელოვანია აქვს სისხლის სამართლის კანონის შემუშავებისა და მიღების სტადიაზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლასა და მისი შედეგების გათვალისწინებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფა. შემდეგ მომხსენე-

ბლებმა მრავალ კონკრეტული მიგალითის საფუძველზე წარმოაჩინა საზოგადოებრივი აზრის კომპეტენტურობა.

„სამართლებრივი აღზრდა: გარდაქმნის გზები“ — ამ პრობლემაზე კონფერენციის მონაწილეებს თავისი მოსახრებები გაუზიარა სსრკ ვეშირის იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდის განყოფილების უფროსმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ა. ტრეპკოვმა. ამჟამად, თქვა მან, შემზადებულია პირობები ქვეყნის მასშტაბით საყოველთაო სამართლებრივი სწავლების შემოღებისათვის. ამ მიზნით ხორციელდება სამართლებრივი თემებზე მომუშავე ურნალისტთა სპეციალიზაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიეცათ მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში აქტიური მონაწილეობის ფართო შესაძლებლობანი, მზადდება საკავშირო ყოველკვირეული იურიდიული გაზეთის გამოცემის საკითხი, იზრდება კოდექსებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოცემის ტირაჟები... მიუხედავად ყოველივე ამისა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, სამართლებრივ პროპაგანდაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებანი, კერძოდ, სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის თაობაზე არასაკმარისი დასახულებული მეცნიერული რეკომენდაციები, გვაქვს შეცდომები ამ მუშაობის კოორდინაციაში და დაგეგმვაში.

„საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნების ფორმირებისას შეკავების მექანიზმის დაძლევა“ — ამ პრობლემაზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის კათედრის ხელმძღვანელის მოადგილემ, პროფესორმა ტ. მ. შამბამ. მომხსენებელმა განიხილა ის ფაქტორები, რომლებიც ამუხრუჭებენ მოქალაქეთა სოციალისტური მართლშეგნების ფორმირებას. ამ უაღრესად მავნე ფაქტორების აღმოფხვრისათვის საჭიროა თეორიისა და პრაქტიკის დაახლოება, სამართლებრივი აღზრდის სისტემის სრულყოფა, მოსახლეობის საერთო და პოლიტიკური კულტურის ამაღლება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაცია და სხვ.

აზერბაიჯანის სსრ პროკურორმა ა. ა. ისმაილოვმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სამართლებრივი აღზრდის უპირველეს ამოცანებს — მოსახლეობის მაღალი სოციალურ-სამართლებრივი კულტურის ფორმირებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებისა და წესებისადმი პატივისცემას, რადგან როგორც ენ-ჟაკ რუსომ თქვა, კანონთა შორის უპირველესი კანონი კანონისადმი პატივისცემის კანონი უნდა იყოს. შემდეგ მომხსენებელ-



ნ. ა. გმელიანოვი

მა აღნიშნა, რომ მართალია, პრაქტიკოს მუშაკებს მეცნიერება დიდ დახმარებას გვიწევს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალი პრაქტიკული საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია თეორიულად, რაც ცხადია, ხელს გვიშლის ამა თუ იმ კონკრეტული საქმის მოგვარებაში.

„საზოგადოებრივი აზრის დინამიკა დამანაშავეობაზე და სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაზე“ — ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა სსრკ ვეშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ქ. ვურემოვა. ერთი მხრივ, თქვა მან, სამართალდაცვითი ორგანოები ცლას არ აკლებენ. რათა ღირსეულად შეასრულონ მათზე დაკისრებული საპატიო მოვალეობა, მაგრამ, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სტატისტიკა, სამწუხაროდ, მეტყველებს, რომ მათი საქმიანობით მოსახლეობა ყოველთვის კმაყოფილი როდია. ესე იგი, იქმნება თავისებური პარადოქსი. სიდ ვეძებოთ მისი სათავე? ჩემი აზრით, აუცილებელია ყველაფერი ვიღონოთ, რათა ძირეულად ამაღლდეს სამართალდაცვითი ორგანოების ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში; ეს კი, უწინარესად, თვით ამ ორგანოთა წარმომადგენლების საქმეა.

სოციალისტური მართლშეგნების აღზრდელობით როლზე ილაპარაკა სსრკ ვეშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგემ, პროფესორმა ა. დ. ბოიკოვმა. თუ სახალხო მოსამართლე წერს შრომებს, აქვეყნებს სტატიებს და გამოდის რადიო-ტელევიზიით,



ვ. დ. ულიმონოვი

ზოგიერთს მიაჩნია, რომ ასეთი მუშაი აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში. ყოველივე ეს თავისთავად კარგია, მაგრამ თუ იგი ყოველდღიურ საქმიანობაში ვერ ამეღვანებს პროფესიონალიზმს, პატიოსნებას, პუნქტუალობას, არ იძლევა სანიმუშო ბირად მაგალითს, ვფიქრობთ, ასეთი მუშაი მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენს საერთო საქმეზე. სწორედ ამის შედეგია, რომ გამოკვლევათა ანალიზის მიხედვით უკანასკნელ ხანს მოსახლეობის თვალში რამდენადმე დაეცა სასამართლო ორგანოების ავტორიტეტი. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ სოციალისტური მართლმსაჯულების აღმზრდელი როლის ამღლება.

კონფერენციის მონაწილეებს სამართლებრივი პრობაგანდის ფეფქტიანობაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის ზოგიერთი შედეგი გაცნო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგემ, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა ა. გაბიაშვილმა.

მოხსენებით — „სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის მიმართ მოსახლეობისა და სამართალდევითი ორგანოების სწორი დამოკიდებულების ფორმირება“ — გამოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კათედრის უფროსი, პროფესორი გ. შ. შინკოვსკი. თანამედროვე ვითარებამ, თქვა მან, დაგვარწმუნა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობას გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რაც გათვალისწინებული იქნება კოდექსის ახალ

პროექტში. უნდა ითქვას, რომ სახალხო მოსამართლეთა დიდი ნაწილი მოითხოვს სისხლის-სამართლებრივი სანქციების გამკაცრებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს კადრების მომზადების საკითხი. მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის არასაკმარის დონეს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შრომით კოლექტივში ვერ გარკვეულან თავიანთ უფლება-მოვალეობებში, რის გამოც ხშირად მოითხოვენ ისეთი საკითხების გადაწყვეტასაც, რომლებიც აღმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციაში შედიან.

„სასამართლოს როლი სამართლებრივ აღზრდაში“ — ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პრობაგანდის განყოფილების უფროსი, იურიდიულ მეცნიერეთა დოქტორი თ. პ. ტემუშკინი. სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უკავია სამართალდევით ორგანოთა შორის, ამდენად მისი, როგორც სამართლებრივი აღზრდის ინსტიტუტის როლი მეტად დიდია, მაგრამ ამ შესაძლებლობებს ყოველთვის სათანადოდ როლი ექცევა ყურადღება. მაგალითად, რომელ მართლმსაჯულებაზე და აღმზრდელით როლზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზოგჯერ სახალხო მოსამართლეს პროკურორის აზრი უფრო აინტერესებს, ვიდრე სახალხო მსაჯულებისა, ისიც ხდება, რომ სახალხო მსაჯულები დერეფანში დასეირნობენ, სახალხო მოსამართლე კი კარებს იქით პროკურორს ეთათბირება. საჭიროა, რომ სასამართლო პროცესის ყველა ატრიბუტი, თვით უმნიშვნელოც კი, ამაღლებულ განწყობილებასა და მოქალაქეებში ურყევი რწმენის დამკვიდრებას ემსახურებოდეს.

სისხლის სამართლის პოლიტიკაზე საზოგადოებრივი აზრის გავლენის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ლეჟავამ. დანაშაულთან ბრძოლის სფეროში საზოგადოებისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობასა და „დილოგში“ უპირატესობა, „საბოლოო სიტყვა“ ყოველთვის საზოგადოებას რჩება. შემდეგ მომხსენებელმა ამ თეზისის დასაბუთებისათვის მოიყვანა მრავალი არგუმენტი;

რსფს რესპუბლიკის პროკურორმა ს. ა. ეშენლიანოვმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში მთელი მუშაობის დაგეგმვისა და კოორდინაციის დიდმნიშვნელობას. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებების მისაღწევად, თქვა მან, საჭიროა საზოგადოებრიობის სრული მხარდაჭე-

რა. მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტზე რომ იურიდიული განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებანი, საბოლოო ანგარიშით, უარყოფით გავლენას ახდენს სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის ხარისხზე, რაც საფრთხეს უქმნის სამართლისა და იურისტის პრესტიჟს.

მოხსენებით — „სამართლებრივი აღზრდა დამნაშავეობის თავიდან აცილების საშუალებათა სისტემაში“ — გამოვიდა ტომსკის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ვ. დ. ფილიმონოვი. დანაშაულის თავიდან აცილებისთვის თქვა მან, განსაკუთრებული ადგილი უკავია სამართლებრივ აღზრდას, ეს უკანასკნელი კი ბევრად არის დამოკიდებული მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების სწორ და მიზანმიმართულ საქმიანობაზე. სამწუხაროდ, ცოტა როდია შემთხვევები, როცა პრესა, რადიო თუ ტელევიზია ჯეროვნად ვერ ასახავენ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობას, რაც ზოგჯერ მცდარი საზოგადოებრივი აზრის შექმნის საფუძველი გამხდარა. სამართლებრივი აღზრდის საქმეში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, თქვა დასასრულს მომხსენებელმა, რომელიც ამ კონფერენციაზე თვალნათლივ წარმოჩინდა, დროულად უნდა დაინერგოს მთელი კავშირის მასშტაბით.

„სამართლებრივი აღზრდა დამნაშავეობის თავიდან აცილების საშუალებათა სისტემაში“ — ამ თემაზე მოხსენება აკაკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. თორღამ. მომხსენებელმა განიხილა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ზოგიერთი თეორიული პრობლემა და ნეგატიური სოციალური გადაზრების წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი აზრის გავლენა საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოს ურთიერთმოქმედების სტრატეგიაზე.

ამვე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. დათეშიძე გამოვიდა მოხსენებით — „სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის პროცესში“. მართლშეგნების ფორმირებისთვის, თქვა მან, უწინარესად, საჭიროა გამოვავლინოთ მასში არსებული დეფექტები და მთელი ძალისხმევა წარვმართოთ მათი აღმოფხვრისათვის, გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ სამართლებრივი სოციალიზაციის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია უფროსი მოზარდი ასაკი.

ლიტვის საბჭოთა კანონმდებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა



ნ. ი. სტაჩკეასი

ნ. ი. სტაჩკეასმა ილაპარაკა სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის პრობლემებზე. გარდაქმნის განხორციელება და საჯაროობის განვითარება სამართლებრივი პროპაგანდის წინაშე ახალ შესაძლებლობებს სახავს, საჭიროს ხდის პროპაგანდის მოძველებული სტერეოტიპების გადახალისების აუცილებლობას. მართალია, სამართლებრივი პროპაგანდის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკლავ ლექციურ პროპაგანდას უკავია, მაგრამ საჭიროა მისი ხარისხის შევითრად ამაღლება, უნდა დისყვას საკითხი სამართალმცოდნე პროპაგანდისტთა მზადების თაობაზე.

კამათში გამოვიდა გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი ნ. ნ. ბოდერსკოვა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ტყეშელაძე.

სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები გადაწყვედა მოხსენებებისა და გამოხსენებების ცალკე კრებულად გამოცემა.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ნ. შოშიაშვილმა.

გელა გურული

სასამართლო ექსპერტიზა: სიხლენი და პრაქტიკა

ნიეთიარაგაზის, გასალაზისა და ნაკითოზაზის კრიმინალისტური ექსპერტიზის ზოგირათი საკითხი

მუშუნა ხოვასურიძე,

სქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დანაშაულის გახსნის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოძიების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია სასამართლო ექსპერტიზას. სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მოითხოვს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებას, საკვლევი ობიექტების ყოველმხრივ შესწავლასა და მიღებული შედეგების სწორ და ღრმა შეფასებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ნივთიერებების, მასალებისა და ნაკეთობების კრიმინალისტური ექსპერტიზის განყოფილება, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალურ რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. განყოფილება აღჭურვილია უახლესი ტექნიკის, როგორც სამაშულო, ისე უცხოური აპარატურით. მათზე მუშაობენ ფიზიკოსები, ქიმიკოსები და ბიოლოგები. განყოფილებაში მრავალფეროვანი გამოკვლევები ტარდება — კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთიერება, ნახევარფაბრიკატი და ნაკეთობა, აგრეთვე ნებისმიერი დანაშრევები იარაღებზე, შემთხვევის ადგილზე, რომლებიც შეიძლება დარჩეს მკვლელობის, ძალადობის, ქურდობის, გაუბათიურების, ავტო-საგზაო შემთხვევის დროს და სხვ. ამდენად განყოფილებაში ტარდება სულ მცირე 14 სხვადასხვა სახის ექსპერტიზა: ბოჭკოების, ლაქ-ქაღებავების, ნავთობპროდუქტების, ნიადაგის, მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიური ობიექტების, მინის, კერამიკისა და მათი ნაწარმის, ნარკოტიკული ნივთიერებების, ფარმაცოლოგიური პრეპარტების, შხამქიმიკატების, უალკოლო და სპირტიანი სასმელების, პოლიმერული მასალების, ლითონებისა და მათი შენადნობების და სხვ.

ობიექტების კრიმინალისტური კვლევა უმეტესად მიკრო-ობიექტებზე ტარდება. პირობითად მიკრო-ობიექტად ითვლება ის ობიექტი, რომელთა ზომა არ აღემატება 2 მმ, ხოლო მასა 1 მგ-ს. ასეთი მცირე ზომის ობიექტების

კვლევა მოითხოვს ძალიან ზუსტი და უნივერსალური მეთოდების გამოყენებას და, ცხადია, მაღალკვალიფიციურ კადრებს.

განყოფილებაში გამოყენებული კვლევის მეთოდები დაყოფილია სამ ჯგუფად: ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ქიმიური.

ფიზიკური კვლევისას გამოიყენება მიკროსკოპული მეთოდები, რომელიც უნივერსალურია და მას მიმართავენ თითქმის ყველა მიკრო-ობიექტის შესწავლის დროს; აგრეთვე ატომური ემისიური სპექტრალური ანალიზის მეთოდი, რომელიც ერთ-ერთი ძირითადია ნივთმტკიცების მინერალური შედგენილობის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. იგივე მიზანს ემსახურება ატომურ-აბსორბციული სპექტრალური ანალიზი, რომელიც გაცილებით უფრო ზუსტია, ვიდრე ემისიური სპექტრალური ანალიზის მეთოდი. მოლეკულურ-სპექტრალური ანალიზის მეთოდი ხილულ, ულტრაიისფერ, ინფრაწითელ არეში, რენტგენოსტრუქტურული მეთოდი და ზოგიერთი ფიზიკური კონსტანტების განსაზღვრის მეთოდები.

ნივთმტკიცებათა ფიზიკურ-ქიმიური კვლევის დროს ვიყენებთ ქრომატოგრაფიულ მეთოდს, ხოლო ქიმიური კვლევის დროს — თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მიკრო და მაკრო მეთოდებს.

დასახელებული მეთოდების კომპლექსური გამოყენება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ გამოსაკვლევი ობიექტის ბუნება, მისი იდენტიფიკაცია მოცილებული ნაწილაკებით. მაგალითად მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა — ქალს დაეჯახა მანქანა, იგი ადგილზე გარდაიცვალა, ავტომანქანა კი მიიშალა. გამოძიებამ წარმოადგინა დაზარალებულის ტანსაცმელი, ეჭვმიტანილი მანქანის საღებავი და მანქანის წინა ქარამრიდიდან აღებული გახუნებული მწვანე ფერის ძაფის პატარა ნაწყვეტი. ტანსაცმლის და ძაფის ნაწყვეტის, პალტოზე დაზიანების ადგილის კომპლექსური, ტრასოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ ავტომანქანიდან აღებული ძაფის ნაწყვეტი მიეკუთვნებოდა დაზარალებულის პალტოს.

თუ გამოსაკვლევად წარმოდგენილი შესადარებელი ობიექტები სერიული წარმოებისაა უნდა გადაწყდეს მათი გვარობრივი და ჯგუფური კუთვნილება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის დამტკიცებისათვის. მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვის გაუპატიურების ფაქტზე ეჭვმიტანილი, კატეგორიულად უარყოფდა შემთხვევის ადგილზე ყოფნას და აცხადებდა, რომ იგი იმ დროს იმყოფებოდა სულ სხვა ადგილას. გამოსაკვლევად წარმოდგენილი იყო ეჭვმიტანილის მიერ მითითებული ადგილის ნიადაგის ნიმუშები. დადგინდა, რომ ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე შემორჩენილი ნიადაგი და შემთხვევის ადგილიდან აღებული ნიადაგი ერთნაირი გვარობრივი და ჯგუფური კუთვნილების იყო და განსხვავდებოდა ეჭვმიტანილის მიერ მითითებული ადგილიდან აღებული ნიადაგისაგან. ამით დამტკიცდა, რომ ეჭვმიტანილი იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და არა მის მიერ მითითებულ ადგილას. დასკვნის გაცნობის შემდეგ დამნაშავე იძულებული გახდა ელიარებინა დანაშაული.

გამოძიებისათვის ყველაზე სრულყოფილ პასუხს იდენტიფიკაცია (კონტაქტის დადგენა, დანაშრეების მიკუთვნება შესადარებლად წარმოდგენილ ობიექტზე) იძლევა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ექსპერტის დასკვნა იყოს ერთადერთი მტკიცება დანაშაულის აღიარებისათვის. მაგალითად, შემოვიდა მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართ-

ლის საქმე. გამომძიებელმა წარმოადგინა გვამის აღმოჩენის ადგილიდან აღებული გატეხილი ბოთლი და ეჭვმიტანილი პირის ბინიდან ამოღებული სისხლიანი პირსახოცი, რომელსაც მინის ნამსხვრევები შემორჩენოდა. ამ ნამსხვრევებისა და გატეხილი ბოთლის კომპლექსური კვლევით დადგინდა, რომ პირსახოცზე არსებული მინის ნამსხვრევები მიეკუთვნებოდა გამოსაკვლევად წარმოდგენილ ბოთლს. დასკვნის გაცნობის შემდეგ ეჭვმიტანილი, რომელიც ადრე კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულს, იძულებული გახდა ეღიარებინა დანაშაული. ამ საქმეში ექსპერტის აღნიშნული დასკვნა ერთადერთი მტკიცება იყო ქდანაშაულისა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკულ ნივთიერებათა კვლევის საკითხს. თუ წინა წლებში ნარკოტიკულად აქტიური ოპიუმის ალკალოიდების შემცველი ყაყაჩოს თავები (დაფხვნილი, დამტვრეული, მთლიანი) ითვლებოდა ნარკოტიკული ნივთიერების მისაღებ მასალად, 1985 წლის 1 იანვრიდან ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიის ჩამონათვალში ყაყაჩოს ყველა სახე, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულად აქტიურ ოპიუმის ალკალოიდებს (მორფინს, კოდეინს, ტებანს ან ერთერთ მათგანს), განურჩევლად მათი რაოდენობრივი შემცველობისა, მთელი თავისი მასით მიეკუთვნება ნარკოტიკულ ნივთიერებას. ამიტომ ნარკოტიკულად აქტიური ნივთიერებების შემცველობის დადგენას გამოძიებისა და სასამართლოსათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.



მოზარდი და სამართლებრივი აღზრდა

სიასლა სამართლებრივი სოღნის პროკაგანდაში

შოთა ნაცვლიშვილი,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის
მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

სამართლებრივი აღზრდა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია ადამიანებში ჩამოაყალიბოს მაღალი სოციალისტური მართლშეგნება, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მართლზომიერი ქცევის განხორციელებას.

სამართლებრივი აღზრდის საფუძველს წარმოადგენს სამართლებრივი ცოდნა, რადგან სწორედ მას და ცხოვრებაში საქართლის მოთხოვნათა ფაქტიურ რეალიზაციას ეფუძნება ადამიანთა წარმოდგენები სამართალზე, კანონიერებასა და მართლწესრიგზე. სამართლებრივი ცოდნა და წარმოდგენა კი არის სამართლის მოთხოვნათა ობიექტური აუცილებლობისა და ცხოვრებაში მისი განუხრებლად გატარების მიზანშეწონილობის რწმენის საფუძველი, რაც თავის მხრივ განპირობებულია სამართლის, სამართალდამცავი ორგანოებისა და მისი მუშაკებისადმი დამოკიდებულებით.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ გამოუმუშაოს პიროვნებას მაღალი მოქალაქეობრიობა, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემა, სოციალისტური კანონების ყოველგვარი დარღვევის შეუწყნარებლობა, მზადყოფნა აქტიურად მონაწილეობდეს მართლწესრიგის დაცვაში“¹.

სამართლებრივი აღზრდის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკპ XXVII ყრილობამ, რომლის რეზოლუციაშიც აღნიშნულია: „მაღალი მოქალაქეობრიობის ჩამოყალიბება, საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდა უნდა გახდეს მათი სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარების, ნაკლოვანებებისა და სამართალდარღვევებისადმი შეურიგებლობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება“².

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათ მართლშეგნებაში ზოგჯერ შეინიშნება შეუსაბამობა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა: უფლებების შემეცნებასა და მოვალეობათა შემეცნებას შორის; სამართლებრივ უფლება-მოვალეობათა ცოდნასა და პირადი პასუხის-

¹ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები“, თბ., 1986, გვ. 256.

² იქვე, გვ. 170-171.

მგებლობის შემეცნებას შორის; სამართლებრივი ნორმების ცოდნასა და კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების გაანალიზებაში მათი გამოყენების უნარს შორის; სამართლებრივი ნორმების შესრულების საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაგებასა და მათთან პირად დამოკიდებულებას შორის; სამართლებრივი ნიშნულების და ღირებულებების ცოდნასა და პირად ქცევაში მათი რეალიზაციისაკენ სწრაფვას შორის.

მოზარდთა მართლშეგნების დამახინჯების მიზეზების გამოვლენის მიზნით შევისწავლეთ სამართლებრივი აღზრდის თვალსაზრისით, მიმდინარე მუშაობა სკოლებში და ოჯახებში, ყურადღება გავამახვილეთ აღზრდის ორივე ინსტიტუტის ურთიერთმოქმედებებზე. გამოვლენილი ნაკლოვანებები თითქმის ერთნაირი ხასიათისაა: მასწავლებელთა და მშობელთა ნაწილის სამართლებრივი კულტურის დონე, დაუინტერესებლობა; სუსტი კავშირი როგორც სამართლებრივ სწავლებასა და აღზრდას, ასევე საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო სამართალმშრდელობით მუშაობას შორის; სამართლებრივი სწავლებისა და აღზრდის პროცესში მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებების გაუთვალისწინებლობა.

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ამიღიდეს პედაგოგებისა და მშობლების სამართლებრივი კულტურა, მოზარდთა სამართლებრივი აღზრდისათვის ურთიერთმოქმედებაში მათი დახელოვნების დონე. საფუძვლიანად უნდა გაერკვნენ ისინი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის მნიშვნელობაში, შინაარსში, ფორმებსა და მეთოდებში. ესე იგი „აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს“³ იმდენად, რომ შეძლოს კონკრეტული აღმზრდელობითი მიზნის დასახვა და მოზარდზე ზემოქმედების მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება, მოზარდისათვის დახმარების დროს კი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები და მოთხოვნილებანი, სამართლებრივი ურთიერთობისადმი მისი მისწრაფების დაკმაყოფილება, ერთობლივი საქმიანობა.

მიზანშეწონილია პედაგოგმა და მშობელმა ზედმიწევნით შეისწავლონ მოსწავლის ყველა რეაქცია გარეზემოქმედებათა მიმართ, გამოავლინონ, თუ როგორ იჩენს თავს კონკრეტულად თითოეულ მათგანში ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებანი.

სკკპ XXVII ყრილობამ განათლების დარგის მუშაკებს დაუსახა, რომ „გულმოდგინედ იღვაწონ სწავლებისა და აღზრდის ეფექტიანობის ზრდისათვის“⁴. ამიტომაც, საჭიროა მთელი აღმზრდელობითი მუშაობა წარვემართოთ ცოდნის, რწმენისა და მოქმედების, სიტყვისა და საქმის განუყოფელი ერთიანობის საფუძველზე. მოსწავლეებს გამოვუშუშოთ მოთხოვნილება რომ იცხოვრონ და იმოქმედონ კომუნისტური მორალის პრინციპებით, განუხრებლად დაიცვან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, საბჭოთა კანონები⁵.

მოზარდთა სამართლებრივ აღზრდაში წარმატების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად გაითვალისწინებს მასწავლებელ-

3 კ. მარქსი, ფ. ენგელსი რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 492.

4 „სკკპ XXVII ყრილობის მასალები“, გვ. 154.

5 ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შესახებ დოკუმენტების კრებული, თბილისი, 1985, გვ. 29.

ლი სხვადასხვა კატეგორიის მშობელთა სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებებს, მათ ინტერესებსა და მართლშეგნების დონეს.

სამართლებრივი აღზრდის ფორმების შერჩევისას აუცილებელია სიტყვიერი და საქმიანი ღონისძიებების ერთობლიობა, ვინაიდან სამართლებრივი აღზრდის პროცესი მოიცავს მოსწავლეთა მიერ სამართლებრივი ცნებების დაუფლებას, მათი წარმოდგენების ჩამოყალიბებას, რწმენის ფორმირებას და მართლზომიერი ქცევის უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

სამართლებრივი ცოდნის ათვისება და მართლზომიერი ქცევების შესახებ წარმოდგენების ფორმირება ხდება გრძნობასა და ემოციებზე დაყრდნობით. კარგია, როცა მოსწავლე უბრალოდ კი არ გაიგებს და გაიაზრებს იმას, რის შესახებაც მას ეუბნებიან, არამედ იგრძნობს, განიცდის მას. საჭიროა მოსწავლეებში გავაძლიეროთ ზიზღი და სიძულვილი სამართალდამრღვევებისადმი, ხოლო სიყვარული და მიბაძვის სურვილი სამართლის დამცველებისადმი.

სამართლის სწავლების პროცესში მოსწავლეებს უნდა შთაეუნერგოთ სამართლებრივი ხასიათის იდეები და განვუვითაროთ ემოციები, განცდები, რომლებიც დაკავშირებულია ამ იდეებისადმი მათი დამოკიდებულების გამოხატვასთან, სტიმული მიეცეთ მისწრაფებას, რომ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობასა და ქცევაში იხელმძღვანელონ ამ იდეებით. აღმზრდელობითი გაკვეთილი არ შეიძლება იყოს მშრალი, ცივი და უფერული, იგი საჭიროა აღძრავდეს სათანადო გრძნობებს, განცდებს.

გრძნობისა და ემოციის აღმოცენება ხელს უწყობს შესასწავლი სამართლებრივი ნორმებისა და მართლზომიერი ქცევის ფორმებისადმი პირადი დამოკიდებულების შემუშავებას. მოსწავლეს არ შეუძლია ისე ათვისოს ქცევის ახალი ფორმა, რომ არ ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება სამართლის ნორმათა მოთხოვნებსა და ქცევის წესების შესრულებაზე. ეს კი სამართლებრივი რწმენის საფუძველია.

სამართლებრივ რწმენად ითვლება მტკიცე, საბჭოთა სამართლის პრინციპებსა და მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული შეხედულება.

სამართლის ნორმათა მოთხოვნების სისტემატური შესრულება კი იმის პირობაა, რომ იგი მოზარდს ჩვევად და ბოლოს მოთხოვნილებად გადაექცეს. მართლზომიერ ქცევაში დიდი ადგილი უჭირავს ემოციებს. ადამიანს გრძნობები ამოძრავებს და ის განსაზღვრავს მის მოქმედებასაც, სწორედ რწმენა და სამართლის ნორმების შეცნობა აძლევს მას იმის ძალას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს უცხო გავლენას და ზემოქმედებას, იმას, რაც საბჭოთა სამართლის ნორმებს არ შეესაბამება.

სამართლებრივი ცოდნის შეძენისა და ემოციების გამომწვევი ერთ-ერთი უპირველესი საშუალება სამართლებრივი ხასიათის მხატვრული ლიტერატურაა. როგორც გ. პ. დავილოვი აღნიშნავს: რადგანაც სამართლებრივი მატერია აბსტრაქტულია, ამიტომ მოსწავლეთათვის იგი მშრალი და უაღრესად ფორმალურია და დგება პრობლემა, რომ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში სამართლებრივი მასალა გავაჯეროთ მხატვრული ლიტერატურიდან აღებული ემოციური მაგალითებით. ამ პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით მეტად სასარგებლო საქმე წამოიწყო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სამართლის მეცნიერულ-პრაქტიკულმა ჟურნალმა „საბჭოთა სამართალი“, რო-

ცა იგი თავის ფურცლებზე ბეჭდავს ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის სამართლებრივი ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებს „ქმნა მართლისა სამართლისა...“⁶.

ამ ნაწარმოების პირველ თავში „დაბრუნება“, ავტორები მხატვრული ფორმით გვაცნობენ ისეთ იურიდიულ საკითხებს, როგორიცაა: ორგანო, რომელიც კანონებს იღებს; კანონის მიღებიდან მისი გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის ვადები; კანონს მხოლოდ უკუქცევითი შემამსუბუქებელი ძალა აქვს და არა დამამძიმებელი; კაცს ბრალდება თუ არ დაუმტკიცე, ვერ დასჯი; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი და სხვ.

ნაწარმოების მეორე თავში, — „ძალის სისხლი“ ასევე მხატვრულადაა განხილული საკითხები: ბრალი, განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული; ქმედუნარიანობა; სიმთვრალე დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა და სხვ.

აღნიშნული ნაწარმოების მომდევნო თავში გაშუქებულია აუცილებელი მოგერიების საკითხი, რომელსაც მეტად დიდი აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

მეოთხე თავში — „ობერაცია „ინტელიგენტი“, მხატვრულადაა აღწერილი ბინაში შეღწევით ქურდობა; ცეცხლსასროლი იარაღის ტარება და გამოყენება; მრავალსახოვან დანაშაულობათა შემთხვევაში სასჯელის ვადის დადგენა. აქვე განსაზღვრულია ისეთი ცნებები, როგორიცაა „რეციდივისტი“, „თანამონაწილეობა“, „დამხმარე“, „დანაშაულის ორგანიზატორი“, „დანაშაულის აღმსრულებელი“, „წამქეზებელი“ და სხვ.

მომდევნო თავი „თვითმკვლელობა“ ეთმობა განზრახ მკვლელობას, მკვლელობას დამამძიმებელ პირობებში; ნასამართლობას, დანაშაულის ხანდაზმულობას და სხვ.

თავში „მამაპაპურ ბუხართან“ ავტორები მკითხველს განუმარტავენ, რომ კანონის არცოდნა არ ხსნის პასუხისმგებლობას, ქურდის დამფარავი დამნაშავეა; ქურდი მეგობრად არ უნდა გაიხადო, კანონი მეგობრობას კი არ კრძალავს არამედ დანაშაულს ებრძვის; ცილისწამება ისჯება, მექრთამეობა ძირს უთხრის საბჭოთა სამართლისადმი რწმენას და სხვ.

საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების გაკვეთილებზე თუ არასაკმარისი სამართალაღმზრდელობითი მუშაობის პროცესში ამ ნაწარმოების გამოყენებამ დაგვარწმუნა, რომ განცდილი უფრო უკეთ ამასხვრდებთ მოსწავლეებს, მტკიცედ ითვისებენ მას და ცოდნასაც მეტად განიმტკიცებენ ამისათვის საჭიროა არ შემოვიფარგლოთ მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო ქცევის მხოლოდ სამართლებრივი დახასიათებით და აუცილებელია გაავაშუქოთ მათი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მხარე, ვადიაროთ მართლზომიერი ქცევის უპირატესობა. ამიტომ საჭიროა კონკრეტული მაგალითებით ვაჩვენოთ სულიერი სიმშვიდე, კმაყოფილება, სიხარულის გრძნობა, სიამაყე, რომელსაც ადამიანი განიცდის ნორმალურ პირობებში და განსაკუთრებით მძაფრ, კონფლიქტურ სიტუაციაში — მართლწესრიგის, პიროვნების, ქონებისა და სხვა ფასეულობათა დაცვისას. ამავე დროს უნდა ვუჩვენოთ, რამდენი მწუხარება, უბედურება, მძიმე განცდები მოაქვს მართლსაწინააღმდეგო ქცევებს.

⁶ უტრნ. „საბჭოთა სამართალი“, 1986, № 1-6, 1987, № 1.

სამართლის გაკვეთილზე, როცა ამ ნაწარმოებს ვიყენებდით, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ შემდეგ მეთოდურ ხერხებს: მოსწავლეებთან შემეცნებით-აღმზრდელობითი ხასიათის საუბარი; მშობლის თხრობა თავისი მუშაობის გამოცდილებიდან, რომელსაც ერთვოდა ფაქტები ამ ნაწარმოებიდან. თხრობა არაიშვიათად მთავრდებოდა მოსწავლეთა შეკითხვებით და მათზე მთხრობელის პასუხით, ზოგჯერ კი მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მიერ ერთობლივად გამოტანილი დასკვნებით. შემეცნებითი ამოცანები, რომელიც სამართლებრივ ხასიათს ატარებდა, ხშირად იგებოდა პრინციპით: „როგორ უნდა მოქცეულიყო?“ ამ ამოცანების გადაწყვეტის პროცესში ცოდნით გამდიდრებულ მოსწავლეთა სახეც ჩნდებოდა და თანდათან აქტიურდებოდნენ პასიური მოსწავლეებიც.

გაკვეთილი, რომლის თემაც იყო, „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი სახეობის დანაშაულისათვის“, ჩაატარა მოწვეულმა მშობელმა-იურისტმა (გამომძიებელმა). მან მოიყვანა პედაგოგიურად დასაშვები ბევრი ფაქტი თავისი გამოცდილებიდან და აქვე განმარტა ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის დასახელებულ ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემები. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გაკვეთილი ბევრად საინტერესოდ ჩატარდა. მოსწავლეები უფრო აქტიურნი და ამავე დროს მოკრძალებულნი იყვნენ, არ დარღვეულა დისციპლინა.

ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის ნაწარმოები გამოვიყენეთ აგრეთვე ისეთი თემების სწავლების დროს, როგორიცაა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები; დანაშაული ყველაზე საშიში სამართალდარღვევა; გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, სასჯელი და მისი მიზანი.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“ საუკეთესო მასალა აგრეთვე მასწავლებლის, მოსწავლეების და მშობლებისათვის სამართლის წრესა და კლასის საათზე გამოსაყენებლად.

გაკვეთილებზე და არასაგაკვეთილო სამართალმზრდელობითი მუშაობის დროს ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის ნაწარმოების გამოყენებამ გააუმჯობესა მოსწავლეების მიერ სასწავლო მასალის გააზრებულად ათვისება, იურიდიული ლიტერატურით დაინტერესება, მათი მართლშეგნების ამაღლება, სამართლისადმი დადებითი დამოკიდებულების ფორმირება და მართლზომიერი ქცევა.



აღმოსავლეთით ბინების თვითნებურად დაკავების მიზეზები

გიორგი გულედანი,

ქ. თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე
ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

1985 წლის 20 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბინის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების წესის შესახებ. საკითხი ეხება იმ პირების ბინიდან ადმინისტრაციულ გამოსახლებას, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, ან ცხოვრობენ ისეთ სახლებში, ჩამოქცევის საფრთხე რომ ემუქრებათ.

ამ დადგენილებამდე მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ ერთიანი ნორმატიული აქტი არ არსებობდა და ეს გარემოება ზოგ შემთხვევაში ერთგვარ გაუგებრობას იწვევდა.

ახალი კანონით კი განისაზღვრა და დაზუსტდა იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ საქმე აღძრან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლებაზე. საქმეები თვითნებურად დაკავებული ან ჩამოქცევის საფრთხის ქვეშ მყოფი ბინებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ აღიძვრება ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მათი საბინაო სამმართველოების (ტრესტების), საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განცხადებების საფუძველზე. ამ მიზნით პროკურორს შეუძლია მიმართოს, აგრეთვე, დაინტერესებულმა მოქალაქემაც.

როგორც წესი, ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საქმე თავისი ინიციატივით შეიძლება აღძრას პროკურორმაც.

დადგენილებაში ზუსტადაა გარკვეული ამ საქმეთა განხილვის ტერიტორიული ქვემდებარეობა. ვანცხალება გამოსახლებაზე გადაეცემა იმ რაიონის ან ქალაქის პროკურორს, სადაც სახლი მდებარეობს, ხოლო თუ სახლი სატრანსპორტო ან სამხედრო ორგანიზაციას ეკუთვნის, მაშინ — შესაბამისად ტრანსპორტის პროკურორს ან სამხედრო პროკურორს.

დადგენილებით 15 დღემდე შეიზღუდა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საქმეთა განხილვის ვადები, რაც ცხადია, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა თვითნებობისა და სახლის ჩამოქცევის საფრთხით გამოწვეული შესაძლო საშიშროების დროულად აღკვეთას. პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული წესით გამოსახლებაზე სანქციის გაცემისა და უარის თქმის დადგენილება გამოაქვს მხოლოდ პროკურორს (მის მოადგილეს). ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორის თანაშემწეებს სანქციის გაცემის და საერთოდ, დადგენილებებზე ხელმოწერის უფლება არ აქვთ.

პროკურორი ვალდებულია გაარკვიოს არსებობს თუ არა ბინიდან ადმი-

ნისტრაციული წესით გამოსახლების კანონიერი საფუძველი, ახსნა-განმარტებები ჩამოართვას გამოსახლებულ ყველა სრულწლოვან პირს, ხოლო არასრულწლოვანთა და არაქმედუნარიან პირთა გამოსახლების შემთხვევაში მათ კანონიერ წარმომადგენლებს, გამოითხოვოს აქტები ბინის ნებაყოფლობით განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ (ცალკეულ შემთხვევაში ბინის ნახაზი) და სხვა დოკუმენტები, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

სიახლეა ის გარემოება, რომ ასეთი საქმეების განხილვის დროს პროკურორს უფლება აქვს გაითვალისწინოს შრომითი კოლექტივებისა და საბინაო საკითხებზე საზოგადოებრივი კომისიების აზრი. კანონის ამ მოთხოვნის დაცვა შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულყოფილად შევისწავლოთ განსახლებული საკითხი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება იყოს ობიექტური და სამართლიანი. მაგრამ შრომითი კოლექტივებისა და საბინაო კომისიების აზრი გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეესაბამება საქმის ფაქტიურ გარემოებებსა და კანონს: როდესაც მოქალაქეებს ასახლებენ იმ სახლებიდან, რომლებსაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრებათ, დადგენილებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოსახლებულ პირთათვის მისაცემი საცხოვრებელი სადგომი, ახლადმიცემული სადგომი კი უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარული და ტექნიკური ნორმების მოთხოვნებს. ასეთ მოქალაქეთა გამოსახლების საქმეთა განხილვის დროს საჭიროა გამოვიტხოვოთ საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნა, დამტკიცებული აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხოლო სახლი დათვალვირდეს ადგილზე. ამ წესის დაცვის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ზოგჯერ საბინაო ორგანოები უსაფუძვლოდ, სახლის ჩამოქცევის საფრთხის საბაბით, გამოსახლებას ითხოვენ ისეთი სახლებიდან, რომლებიც მხოლოდ კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ. ეს კი მოქალაქეთა საბინაო უფლებების უხეში დარღვევაა, რადგან კაპიტალური რემონტის დროს სულ სხვა სამართლებრივი რეჟიმი დაწესებული, ეს რეჟიმი დეტალურად არის რეგლამენტირებული საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 94-ე და 150-ე მუხლებით.

პროკურორის დადგენილება ბინიდან გამოსახლების ან გამოსახლებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომ პროკურორს შეუძლია დატოვოს დადგენილება უცვლელად, შეცვალოს ან გააუქმოს იგი, საქმე გადაუგზავნოს ქვემდგომ პროკურორს დამატებითი შემოწმებისათვის, ან თვითონ მიიღოს საქმე წარმოებაში.

შემოწმების დროს ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს შეაჩეროს დადგენილების აღსრულება. გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში კი ადმინისტრაციული წესით გამოსახლების ან გამოსახლებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამომტან პროკურორს, დანტერესებული პირებისა და ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე, ან პირადი ინიციატივით შეუძლია გააუქმოს დადგენილება და ხელახლა გამოიტანოს იგი. კანონის ეს სიახლე იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დადგენილების გამომტან პროკურორს, ზემდგომი პროკურორის ჩარევის გარეშე ეძლევა საშუალება თვითონვე გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

დადგენილება ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ ექვემდებარება იძულებითი წესით სისრულეში მოყვანას მისი ჩაბარებიდან 7 დღის

შემდეგ. იმ შემთხვევაში კი როცა შექმნილი გარემოების გამო არ შეიძლება მისი გადადება, იგი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

დადგენილება სისრულეში მოჰყავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით. ეს მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა. ამ წესის შემოღებამდე, პროკურორის დადგენილებათა აღსრულება, როგორც შემოწმებით გაირკვა, საბინაო ორგანოებს, მართლაც ქაოსურ მდგომარეობაში ჰქონდათ, არ იყო სათანადო აღრიცხვა, წლობით ჭიანჭურდებოდა აღსრულება, იყო შემთხვევები, როდესაც რაიონული საბჭოების აღმასკომები სრულიად უკანონოდ უფორმებდნენ ბინებს იმავე პირებს, ვის მიმართაც დადგენილებები იყო გამოტანილი თვითნებურად დაკავებული ბინებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ. ახალი კანონით ვიდრე ძალაშია პროკურორის დადგენილება, საბინაო ორგანოებს უფლება არა აქვთ მიიღონ მისი საპირისპირო გადაწყვეტილება. თუ გარემოება შეიცვალა და მაგალითად, ბინის მიღების რიგმა მოუწია თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეს, ვის მიმართაც გამოტანილია გამოსახლების დადგენილება, საბინაო ორგანოებმა ასეთ დროს ჯერ უნდა იშუამდგომლონ პროკურორის წინაშე დადგენილების კანონიერების გადასინჯვის შესახებ.

თუ გამოსახლებელი პირი სააღსრულებო მოქმედებათა ჩატარების დროს წინააღმდეგობას უწევს აღმასრულებელს, დადგენილება სისრულეში მოიყვანება იძულებით, მილიციის მუშაკთა დახმარებით. სააღსრულებო მოქმედებებს, როგორც მოსამზადებელ სტადიაზე, ისე უშუალოდ აღსრულების პროცესში, აღმასრულებელი უკეთებს ორგანიზაციას და მისი მოთხოვნაც სავალდებულოა, მაგრამ აქ უდავოდ დიდი მოვალეობა აკისრიათ საბინაო ორგანოს წარმომადგენლებსა და მილიციის მუშაკებს.

თუ არსებობს საპატიო მიზეზები, დაინტერესებული პირების ან აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე დადგენილების გამომტან ან ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს დროებით განუვადოს მოქალაქეს დადგენილების აღსრულება.

კანონით დადგენილია, რომ თვითნებურად დაკავებული ბინებიდან იძულებითი წესით გამოსახლებულებმა უნდა აანაზღაურონ გამოსახლებასთან დაკავშირებული ხარჯები. მატერიალური ხასიათის სანქციების გამოყენება თვითნებობის ჩამდენი პირების მიმართ აუცილებლად შეუწყობს ხელს როგორც ბინების თვითნებურად დაკავების პროფილაქტიკას, ისე მათ ნებაყოფლობით განთავისუფლებას. ამიტომ იქნებ უკეთესი იყოს ამ დროს გავითვალისწინოთ აგრეთვე თვითნებურად დაკავებული ბინის კომუნალური ხარჯების გადახდევინებაც.

იმ სახლებიდან გამოსახლება, რომლებსაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრებათ, წარმოებს საბინაო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯზე. სიახლეა ისიც, რომ თუ დადგენილება გაუქმდა გამოსახლების სისრულეში მოყვანის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს მოქალაქეთა დარღვეული უფლებები. დავას ასეთ დროს კი სასამართლო განიხილავს.

თვითნებურად დაკავებული ბინებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახულებისას აუცილებელია გადაწყდეს მისი ქვემდებარეობის სა-

კითხი, ე. ი. ვინ უნდა განიხილოს დავა, სასამართლომ თუ პროკურატურამ? ასეთ დროს უნდა გაირკვეს ბინის დაკავებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა ხასიათი. თუ ამ ურთიერთობას სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათი აქვს, მაშინ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით დავის განხილვა სახალხო სასამართლოს ექვემდებარება, ხოლო თუ ეს ურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლებრივი ხასიათისაა, იგი ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით გადაწყდება.

მაგალითად, თუ მოქალაქენი საცხოვრებელ ოთახს თვითნებურად იკავებენ იმ მოტივით, რომ იგი მათი ბინის მომიჯნავეა, წარმოშობილი ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა, რადგანაც საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 56-ე მუხლით თუ ბინაში, სადაც დამქირავებელი ცხოვრობს გათავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისაგან და მისი მომიჯნავეა, სარგებლობაში უნდა გადაეცეს დამქირავებელს, თუ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი თავისუფლდება ბინაში, რომელშიც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, იგი მიეცემა ბინაში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე ან რომლებსაც აქვთ აღრიცხვაზე აყვანის უფლება.

იბადება კითხვა: თუ განთავისუფლებული მომიჯნავე ოთახი ან საერთო ბინაში განთავისუფლებული იზოლირებული ოთახი კანონით იქვე მცხოვრებ ბინის დამქირავებელს უნდა მიეცეს, მაშ რატომ ხდება ასეთი ბინების თვითნებურად დაკავება? ეს იმიტომ, რომ უკიდურესად ჭიანჭურდება ბინების განაწილება, ზოგჯერ კი ერთიმეორეს უპირისპირდებიან მოქალაქეები.

არის მოსაზრება, რომ გამოსახლება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდის ბინებიდან უნდა წყდებოდეს სასამართლო წესით (ჟურნალი „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტი“, № 6, გვ. 46). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნულ დადგენილებაში კი საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ბინებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლებაზე კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. მიგვაჩნია, რომ ამ ბინების თვითნებურად დაკავების შემთხვევაში, ან იმ დროს, როცა ასეთ სახლებს ჩამოქცევის საფრთხე ემუქრებათ, გამოსახლების საკითხი უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული წესით, პროკურორის სანქციით, რადგან ამ ფონდის სახლების სხვა სამართლებრივ რეჟიმში ჩაყენება არაფრით არ არის გამართლებული. ალბათ დროა ეს საკითხი საკანონმდებლო წესით მოწესრიგდეს.

ბინის თვითნებურად დაკავება კანონის უხეში დარღვევაა, ამ ფაქტებს მკაცრი და პრინციპული შეფასება უნდა მისცენ არა მარტო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არამედ იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმაც, სადაც ასეთი პირები მუშაობენ. ბინების თვითნებურად დაკავების აღსაკვეთად აუცილებელია ადმინისტრაციული ზემოქმედების გარდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რეაგირების მიზნით ინფორმაციები უნდა გაეგზავნოთ ასეთ პირთა პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სწორედ ასეთ გარდაქმნებს გულისხმობს და მისი განუხრელი შესრულება ხელს შეუწყობს ბინების თვითნებურად დაკავების პროფილაქტიკას.

პირველი ნახიჯები მაცნიარებაში

საქართველოს სსრ პროკურატურის შექმნის საკითხისათვის

ირინე ავაშარდია

პროკურატურა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე არ შექმნილა. ეს გარემოება უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ რევოლუციის პირველ წლებში, როცა გაფორმებული ბრძოლა წარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, ჯერ კიდევ არ იყო სათანადო გამოცდილება, არ არსებობდა შესაფერისი საკანონმდებლო ბაზა. ამიტომ პროკურატურის შექმნის აუცილებლობა შედარებით მოგვიანებით დადგა დღის წესრიგში.

1921 წელს ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროკურატურის შესახებ დებულების პროექტი და განსახილველად შეიტანა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-8 სესიაზე. პროექტი ითვალისწინებდა პროკურატურის ცენტრალიზებულ აგებას და პროკურორთა დამოუკიდებლობას ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

ცაკ-ის წევრთა ერთმა ჯგუფმა კანონპროექტი მკაცრად გააკრიტიკა. ისინი პროკურატურის ორმაგ დაქვემდებარებას მოითხოვდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გუბერნიის პროკურორი დაქვემდებარებულა, ერთის მხრივ, ცენტრს, რესპუბლიკის პროკურორს და, მეორეს მხრივ, გუბერნიის აღმასკომს. ზოგიერთები საერთოდ იყვნენ პროკურატურის შექმნის წინააღმდეგნი, რასაც იმით ასახულებდნენ, რომ ვითომ პროკურატურა განდებოდა „ყოველმისამომცველი ხელისუფლება“ და იგი კონტროლს გაუწევდა ყველაფერს, პროექტი წარმოადგენდა ცდას ადგილებზე სახელმწიფო მმართველობა გამოეყოს თვითმმართველობას და ადმინისტრაციული ხელისუფლება სასამართლო ხელისუფლებას, პროკურატურის შექმნით შეიქმნებოდა „მეორე იურიდიული სახელმწიფო“ და ა. შ. ბოლოს კი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ თუ ხუთი წელი არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება პროკურატურის გარეშე, იარსებებდა იგი ამგვარად შემდგომშიც. მათი აზრით პროექტი გამოხატავდა უნდობლობას გუბერნიის აღმასკომებისადმი და სხვა².

პროექტის გამო ისეთი დავა წარმოიქმნა, რომ ვ. ი. ლენინმა, რომელიც მაშინ გორკაში იმყოფებოდა, 1922 წლის 20 მაისს სპეციალური წერილი გაუგზავნა ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროზე განსახილველად და გადასაწყვეტად. ეს იყო მისი წერილი „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“.

წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“, ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ შეუძლებელია თითოეულ გუბერნიაში არსებობდეს თავისი საკუთარი კანონიერება, პროკურატურის ცენტრისადმი და ადგილობრივი აღმასკომისადმი „ორმაგი“ დაქვემდებარებით არ შეიძლება ქვეყანაში კანონიერების უზრუნველყოფა“. „კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი, სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვისაც კი“³.

1 ა. ი. ფალიაშვილი, საბჭოთა პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1982, № 3, გვ. 14.

2 III сессия Всероссийского Центрального исполнительного комитета IX созыва, бюллетень, № 3, издательство ВЦИК, М., 1922 г.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 428.



ვ. ი. ლენინმა, ამ წერილში ნათლად გამოკვეთა საპროკურორო საქმიანობის არსებითი განსხვავება ყოველგვარი ადმინისტრაციული საქმიანობისაგან. „...ყოველგვარი ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან განსხვავებით საპროკურორო შედამხედველობას არავითარი ძალაუფლება არა აქვს და არც ერთ ადმინისტრაციულ საკითხში არავითარი გადაწყვეტილებით არ სარგებლობს. პროკურორის უფლება აქვს და ვალდებულიცაა ერთი რამ გააკეთოს: თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგენას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა“⁴.

ვ. ი. ლენინმა მხარი არ დაუჭირა პროექტის მოწინააღმდეგებს იმაშიც, რომ პროკურორებს არ ჰქონოდათ აღმასკომების გადაწყვეტილებათა გაპროტესტების უფლება. ეს გადაწყვეტილებები მუშგლები უნდა განიხილოს — ამბობდნენ ისინი. „მუშგლები საქმეს განიხილავს, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, არა მარტო კანონიერების თვალსაზრისით, არამედ მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც. პროკურორი პასუხს აგებს იმის გამო, რომ არც ერთი ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ უხვევდეს კანონს და პროკურორი ვალდებულია მხოლოდ ამ თვალსაზრისით გააპროტესტოს ყოველგვარი უკანონო გადაწყვეტილება“⁵.

წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“, ვ. ი. ლენინმა პრინციპულად დაასახუთა ჩვენს ქვეყანაში საპროკურორო შედამხედველობის შექმნის აუცილებლობა. მართლაც, 1922 წლის 28 მაისს ცაკ-ის მე-8 სესიამ მიიღო დადგენილება საპროკურორო შედამხედველობის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინის წინადადებისა და რკპ (ბ) ცაკ-ის პოლიტიბუროს გადაწყვეტილებების მიხედვით იყო რედაქტირებული. ამავე წლის 28 მაისს დადგენილებას ხელი მოაწერეს ცაკ-ის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა და ცაკ-ის მდივანმა ა. ს. ენუქიძემ. ეს იმას ნიშნავდა, რომ დებულება საპროკურორო შედამხედველობის შესახებ კანონი გახდა.

საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის ლენინურმა იდეებმა გაუძღეს დროის გამოცდას. მათ საქანონმდებლო განმტკიცება და ასახვა პპოვეს აგრეთვე 1955 წლის დებულებაში სსრ კავშირში საპროკურორო შედამხედველობის შესახებ, 1977 წლის კონსტიტუციაში და 1979 წლის კანონში პროკურატურის შესახებ.

როგორც ცნობილია, პროკურატურა საქართველოში 1922 წლის 11 ნოემბრამდე არ შექმნილა. მანამდე კანონთა შესრულებაზე შედამხედველობას ანხორციელებდნენ ხელისუფლებისა და მმართველობის სხვადასხვა ორგანოები: რევოლუციური კომიტეტი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისარათა საბჭო, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი (ყოფილი სახელმწიფო კონტროლი), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, მათი ადგილობრველი ორგანოები და ა. შ. აქედან იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, სხვა საშედამხედველო-მაკონტროლებელ ორგანოებთან შედარებით, შეეძლოთ უფრო მეტი და შესაფერისი ღონისძიებები განეხორციელებინათ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საგამოძიებო ნაწილი მთელს რესპუბლიკაში ანხორციელებდა კონტროლს გამოძიებაზე, ხოლო სასამართლოს მომწიფებ განყოფილებას კონტროლი უნდა გაეწია კანონიერებისათვის სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს, ეზრუნა მათ მიერ დეკრეტების სწორ და ერთგვაროვან გამოყენებაზე, რაც შეეჩება დასჯა-განსჯის ორგანოების განყოფილებას, მას ევალებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაქვემდებარებაში მყოფი გამასწორებელი ადგილებისა და რესპუბლიკის დამცველ-მხლებელთა რაზმის გამგებლობა და კონტროლი.

აღმასკომების იუსტიციის განყოფილებების (როგორც იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს) კოლეგია უზრუნველყოფდა საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული დეკრეტების ცხოვრებაში გატარებას და აღკვეთავდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი დაწესებულებების არამართლზომიერ მოქმედებას. ამასთან ერთად, იუსტიციის განყოფილებას შეეძლო სისხლის სამართლის დევნა

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 429.

5 იქვე, გვ. 430.

ადეძრა და დაენიშნა გამოძების წარმოება უკანონო მოქმედების შემთხვევაში ან იმ დროს, როდესაც თანამდებობის პირის ან კერძო პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გასახსნელად მიღებული არ იყო სათანადო ზომები.

მრავალმხრივი გახდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის საქმიანობა, რადგან მისი უფლებამოსილება სხვადასხვა ფუნქციებით დაიტვირთა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებდა მის მიერ განხორციელებული კონტროლის სისრულეზე.

კონტროლი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობაზე რევიზიების ჩატარების გზით ევალებოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს. მასვე უნდა უზრუნველყო შეურწმობისა და მმართველობის სფეროში მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების განუხრელი შესრულება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ევალებოდა ბრძოლა ბიუროკრატისმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ამოწმებდა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობას, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამეურნეო მმართველობებში, მეთვალყურეობდა საწარმოებსა და დაწესებულებებში შემოსული საჩივრებისა, და განცხადებების მიღების ორგანიზაციასა და მათ სწორ მოძრაობას.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ რევკომის უფლებამოსილებათა გაურკვევლობას, აღრევას. მაგალითად, ქუთაისში 1921 წლის მაისში ინსპექციები გამოსცემდნენ ბრძანებებს, იძლეოდნენ მოწმობებს ქონების ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანისათვის, თვითონვე წყვეტდნენ საკითხს კონფისკაციაქმნილი ქონების უკან დაბრუნებაზე და სხვ⁶.

ჩინიც არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე რევოლუციური წესრიგის დაცვას მკაცრად მოჰკიდეს ხელი მასებმა და მშრომელებმა, უშუალოდ მათ იკისრეს ზედამხედველობა კანონიერების დაცვაზე, რადგან სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური ფორმა მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

და რადგანაც კანონიერების აღსრულებაზე მეთვალყურეობა იწვევდა სხვადასხვა ორგანოების უფლებამოსილებათა არე-დარევას, ხელს უშლიდა სოციალისტური კანონიერების ერთგვაროვან გაგებას და არ პასუხობდა მისი ყოველმხრივი განმტკიცების მოთხოვნებს, აუცილებელი გახდა შექმნილიყო ისეთი ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც დაძლეოდა ადგილობრივ ტენდენციებს და უზრუნველყოფდა რესპუბლიკაში ერთიანი კანონიერების განხორციელებას.

სწორედ ასეთი ორგანო გახდა პროკურატურა, რომელიც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 11 ნოემბერს № 19 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა. 4



⁶ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 295, აღწერა 1, ს. 76, ფ. 62.

დიდი ილიას სახელობის...



კანონიერებისა და სოციალური სამართლისადმი სადარაჯოზე ცენტრალური ადგილი მართლმსაჯულებას, სასამართლოს ეკუთვნის. მართალია, ყველა პროფესიის ადამიანს მოეთხოვება მაღალი პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მოსამართლეობა განსაკუთრებული პროფესიაა და იგი ყველასაგან გამორჩეულია თავისი არსითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით...

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების ორგანიზაციული სრულყოფის, მართლმსაჯულების გაუმჯობესებისა და პრესტიჟის ამაღლების მიზნით ამ ოთხიოდე წლის წინ დააწესა დიდი ილიას სახელობის საპატიო სიგელი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა წლის საუკეთესო მოსამართლეს.

გასული წლის მაჩვენებლების მიხედვით ეს უაღრესად საპატიო ჯილდო დამსახურებულად

მიეკუთვნა მიაკოვსკის რაიონის სახალხო მოსამართლეს **ნუგზარ ჩინჩალაძეს**.

— არ მეგულება სახალხო მოსამართლე, რომელიც ამ სიგელზე არ ოცნებობდეს, — თქვან. ჩინჩალაძემ და დასძინა, — მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იგი მეტსაც გვავალებს... ფლობდე ამ დიდ ჯილდოს, ნიშნავს ყველგან და ყოველთვის ამართლებდე ხალხის დიდ ნდობას, გამოჩრჩეულად მსახურობდე საბჭოთა მართლმსაჯულების მაღალ ინტერესებს.

და მართლაც, ნუგზარ ჩინჩალაძის, როგორც სახალხო მოსამართლის სრული პორტრეტის საჩვენებლად მისი იურიდიული განათლება, პროფესიული დონე და თუნდაც სტატისტიკური მონაცემები როდი კმარა, მთავარია წლების მანძილზე შექმნილი მისი ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელსაც ყველაზე ჩახლართულ საქმეშიც კი შეუმცდარად მიჰყავს იგი ერთადერთ ჭეშმარიტებასთან... ეს სიბრძნე კი თანდათან დაუგროვდა სახარატო ჩარბთან, უნივერსიტეტის აუდიტორიებში, პედაგოგის კათედრასთან, და ბოლოს, სახალხო მოსამართლედ მუშაობის ათწელზე მეტი ხნის მანძილზე შექმნილი მდიდარი გამოცდილებით...

— რას იტყვით თქვენ საქმიანობაზე, პროფესიაზე? — ვეკითხები ნუგზარ ჩინჩალაძეს. ის კი უყოყმანოდ მპასუხობს: — უწინარესად მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გაგაჩნდეს, რადგან სახალხო მოსამართლეს უფლება არა აქვს თქვას „შეცდომებზე გსწავლობო“, შეცდომა გამოირიცხულია, შეცდომა დაუშვებელია... ჩვენმა თუნდაც ერთმა შეცდომამ შეიძლება ნაცარტუტად აქციოს ადამიანთა რწმენა, ფსიქიკა... როგორც იტყვიან, ღმერთმა დაგვიფაროს...

უყვართ და აფასებენ რაიონის მშრომელები ნუგზარ ჩინჩალაძეს, ამიტომაც იყო, რომ მას კვლავ გამოუტყდადეს დიდი ნდობა და ახალი ვადით აირჩიეს სახალხო მოსამართლედ...

ველა გერმენივილი.



დანიშვნა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. ა. შარაშენიძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად
დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 მაისი.

* * *

ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძე დაიბადა 1937 წელს, სკკპ წევრია 1960 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით სამართალმცოდნე იურისტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვ. ა. შარაშენიძე მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჩივრებისა და პრეტენზიების ინსპექტორად. 1962-1963 წლებში იყო საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის უფროსი კონსულტანტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1963-1967 წლებში სწავლობდა საბ-

ჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1967 წლიდან ვ. ა. შარაშენიძე იყო საქართველოს პროფსაბჭოს ლექტორთა ჯგუფის გამგე, ხოლო შემდეგ — იურიდიული კონსულტაციის გამგე.

1975-1978 წლებში ვ. ა. შარაშენიძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად. 1978 წლიდან იყო საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე — კადრების განყოფილების უფროსი.

1985 წლიდან დღემდე ვ. ა. შარაშენიძე საქართველოს სსრ პროკურორის პირველ მოადგილედ მუშაობდა.



პეტიციური რეკლამაციები

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის შესახებისად სოციალისტური საკუთრების დაცვის შესრულების შემომავლის ჩატარებისათვის

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის შესრულებაზე შედამხედველობის განხორციელების დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კანონის სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

1. შემოწმების ჩატარების დროს აუცილებელია დადგინდეს:

როგორია შესამოწმებელ ობიექტზე სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და კანონიერების სხვა დარღვევათა დონე და დინამიკა.

— ხდებოდა თუ არა კანონის დარღვევა მატერიალურ პასუხსაგებ თანამდებობაზე კადრების შერჩევის დროს (პირების მიღება, რომლებმაც მოხიდადეს სასჯელი ანგარებითი დანაშაულისათვის ან ადრე სამსახურიდან დათხოვნილი იყვნენ გაფლანგვისა და ბოროტმოქმედებისათვის, აგრეთვე პირები, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილებით ეკრძალებათ ასეთი თანამდებობის დაკავება). თუ ასეთ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, განიხილავდნენ თუ არა მათ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) და თუ განიხილავდნენ, რატომ აღმოჩნდა არაეფექტიანი ჩატარებული ღონისძიებები;

— იყო თუ არა მფლანგველებისა და დამტაცებლების ნებაზე მიწვევის შემთხვევები, მატერიალურ პასუხსაგებ თანამდებობაზე იმ პირების დატოვება, რომლებმაც დაუშვეს გაფლანგვა (დიდი ოდენობით და არაერთჯერადი დანაკლისები, ბოროტმოქმედება და ა. შ.); როგორია შრომითი კოლექტივების დამოკიდებულება ასეთი შემთხვევების მიმართ, მხარს უჭერენ თუ არა ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანოები კოლექტივის წევრებს, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ დატაცებებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების სხვა დარღვევების წინააღმდეგ;

— ჰქონდა თუ არა ადგილი დატაცების, გაფლანგვის, დანაკლისის, მატერიალური ფასეულობების გაფუჭების შემთხვევებს; საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივი რამდენად აქტიურად ცდილობენ გაერკვნენ ასეთ შემთხვევებში;

— ირღვეოდა თუ არა კანონები საკონტროლო-სარევიზო მუშაობის ჩატარების დროს (ინვენტარიზაციისა და რევიზიის ჩატარების ვადები, დაბალი ხარისხი, შედეგების მიხედვით ღონისძიებების გაუტარებლობა და სხვ.); ინფორმირებულია თუ არა შრომითი კოლექტივი ჩატარებული ინვენტარიზაციისა და რევიზიის შედეგების თაობაზე; სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის, მატერიალური რესურსების ეკონომიკური ხარჯვის, შრომითი, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხები აისახა თუ არა დოკუმენტურად მმართველობის შემდგომი ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებებისა და რევიზიის აქტებში;

— ირღვეოდა თუ არა სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონები წვრილმან დატაცებებთან ბრძოლაში; უნდა გაირკვეს: ობიექტის დაცვისა და საშუა რეჟიმის მდგომარეობა, დაწესებულების მეთვალყურეობის წესების დაცვა, წარმოების დაცვისათვის საქმიანობის კანონიერება, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ იმ პირთა დაკავების შემთხვევები, რომლებიც ცდილობენ ფასეულობათა შემოტანას (გატანას); დამნაშავეთა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემის, მათ შესახებ ამხანაგურ სასამართლოში მასალების გადაგზავნის, პრემიის ჩამორთმევის სისწორე; ამხანაგური სასამართლოების აქტიურობა და კანონიერი მოქმედება, ამხანაგური სასამართლოების მიერ დამნაშავეებზე დაკისრებული ჯარიმის გადახდის რეალობა; ხშირია თუ არა სიგნალები შრომითი კოლექტივის წევრებისაგან; იყენებს თუ არა შრომითი კოლექტივი საზოგადოებრივი წახალისების ღონისძიებებს იმ წევრების მიმართ, რომლებიც აქტიურად იბრძვიან მტაცებლობის წინააღმდეგ, მხარს უჭერენ თუ არა ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შრომითი კოლექტივების ასეთ წევრებს.

— წარმოებდა თუ არა უფარგისი საქონლის, აგრეთვე ვალების, დანაკლისის, მატერიალური ფასეულობათა გაფუჭების გამო დანაკარგის ბალანსიდან ჩამოწერა კანონების მოთხოვნათა



შესახამისად (იხ. თავი IV. სახელმწიფო აღრიცხვისა და ბალანსების შესახებ დებულება დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივლისის დადგენილებით).

წარმოებდა თუ არა სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონიერების დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება, როგორია ამ ანაზღაურების რეალობა;

— სპეციალისტების მონაწილეობით უნდა გაირკვეს: იყო თუ არა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უხარისხო შეტრულების შემთხვევები, თუ ჰქონდა ადგილი სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის გაწვევტას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუკომპლექტების, მზა პროდუქციის გაფუჭების, უყარათობისა და სხვა ფაქტებს; დადგინდეს, რა გავლენა დარღვევათა აღმოფხვრისათვის, დამნაშავეთა დასაჯებლად, მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად;

— რამდენად აქტიურად, სისტემატურად და ეფექტიანად მიმდინარეობს ბრძოლა მატერიალურ ღირებულებათა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, საწვავ-საპოხი მასალების უყარათო ხარჯვის შემთხვევებთან, დადგინდეს შრომითი კოლექტივის როლი ამ სამართალ-დარღვევათა პროფილაქტიკაში;

— იყო თუ არა დაზღვევისა და მოწყობილობების დაუმონტაჟებლობის შემთხვევები, ნედლეულისა და სხვა მასალების ზენორმატიული მარაგების შექმნის ფაქტები; დადგინდეს შრომითი კოლექტივების როლი ამ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. სახელმწიფო დისციპლინის დაცვის კანონების შესრულების შემოწმების დროს აუცილებელია:

— იურიდიულ განყოფილებაში ჩაირკვეს უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის რეკლამაციათა მიღებისა და გადაწვევების საქმის მდგომარეობა, თუ რეკლამაციები უარყოფილია, რატომ, ხოლო თუ დაკმაყოფილებულია, დაკისრებული აქვთ თუ არა პასუხისმგებლობა დამნაშავეებს, ანაზღაურებულია თუ არა მათგან მიყენებული ზარალი;

— გაირკვეს, ხომ არ მზადდებოდა უხარისხო პროდუქცია თვის დამლევს და წარმოების არარტიკულობა და იერიშობანა გავლენას ხომ არ ახდენდა პროდუქციის ხარისხზე;

— სპეციალისტების დახმარებით გაირკვეს (შიდასაქარხნო საამქროების მიხედვით), წუნის წარმოშობის მიზეზები, შემოწმდეს დადგენილია თუ არა მისი წარმოშობის მიზეზები, ნაზღაურდება თუ არა მუშების მიზეზით მიყენებული ზარალი; დადგინდეს აგრეთვე შრომითი კოლექტივის როლი შიდასაქარხნო წუნის წინააღმდეგ ბრძოლაში;

— სპეციალისტების დახმარებით გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მიწერებს და ანგარიშგების სხვა დამახინჯებებს;

— დადგინდეს, სათანადოდ სრულდება თუ არა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 20 თებერვალს № 158 დადგენილება „სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მტაცებლობისა და უყარათობის წარმოშობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“;

სპეციალისტების დახმარებით გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი დაწესებულების მიერ პროდუქციის მიწოდების სახელმეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტებს; წარედგინათ თუ არა მათ საჭარიშო სანქციები სახელმეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, ნაზღაურდებოდა თუ არა დამნაშავეთაგან მიყენებული ზარალი, დადგინდეს შრომითი კოლექტივის როლი სახელმეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

— გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი ვაგონების მოცდენის ზენორმატიულ შემთხვევებს, რა ღონისძიებებს მიმართავდა აღმინისტრაცია ამ მიზეზთა აღმოსაფხვრელად; დადგინდეს შრომითი კოლექტივების როლი ვაგონების მოცდენის ზენორმატიულობასთან ბრძოლაში;

— სახბანკის მუშაკების მონაწილეობით შემოწმდეს საფინანსო და საშტატო დისციპლინის დაცვის მდგომარეობა, დაწესებულების ბუღალტერიისა და სახბანკის საშუალებით დადგინდეს რა რაოდენობით იხდიდა ქარიმას დაწესებულება გადასახადის გადანდის დავიანების, ნავაჭრის ჩაუბარებლობის და საშტატო დისციპლინის დარღვევისათვის, ანაზღაურებულია თუ არა დამნაშავეთა ხარჯზე ამის შედეგად მიყენებული ზარალი.

რეკომენდაციები მოამზადა საქართველოს სსრ კრეპირების უფროსმა თანახმად ვამ, იუსტიციის უფროსმა მირიამამ მარამა ძოსაშვილმა.



სანოტარო პრაქტიკა

მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ავტომანქანა წარმოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას. მეუღლეებს აქვთ აღნიშნული ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება. ავტომანქანაზე თანასაკუთრების უფლებას ადასტურებენ სანოტარო კანტორები მეუღლეთათვის საკუთრების უფლების მოწმობის გაცემით და მართვის მინდობილობის დამოწმება ამ შემთხვევაში სავალდებულო არ არის.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას. მეუღლეებს აქვთ ამ ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 106-ე და 111-ე მუხლების თანახმად სახელმწიფო სანოტარო კანტორა მეუღლეების ერთობლივი წერილობითი განაცხადების საფუძველზე ორივეს ან ერთერთ მათგანს აძლევს მოწმობას ქორწინების განმავლობაში შექმნილ საერთო ქონების წილზე საკუთრების უფლების შესახებ. თუ საერთო საკუთრების ობიექტი ავტომობილს, სატრანსპორტო საშუალებას, საკუთრების უფლების მოწმობა რეგისტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო ავტორისპექციის ორგანოების მიერ საკუთრების მოწმობის გაცემიდან 3 თვის განმავლობაში, სახელმწიფო ნოტარიუსმა ეს უნდა განუმარტოს საკუთრების უფლების მოწმობის მიმღებ მოქალაქეს.

* * *

საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურების დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს განუმარტოს საცხოვრებელი სახლის კონკრეტული ნაწილებით სარგებლობის წესის ხელშეკრულებაში აღნიშვნის მიზანშეწონილობა. მხარეების თანხმობის შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსმა საჭიროა წინასწარ დაადასტუროს საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთა შეთანხმება სახლის სარგებლობის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 52-ე მუხლის შესაბამისად საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულების ტექსტში აღინიშნება არითმეტიკული წილი და არა სახლის კონკრეტული ნაწილები. იგივე ინსტრუქციის 53-ე მუხლი საშუალებას იძლევა საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულებაში აღინიშნოს აგრეთვე სახლის კონკრეტული ნაწილებით სარგებლობისა და მიწის ნაკვეთებით სარგებლობის წესი.

სახლის კონკრეტული ნაწილებით (განცალკევებული სადგომებით, ბინებით, ოთახებით) და მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესი უნდა განისაზღვროს თანამესაკუთრეთა ურთიერთ შეთანხმებით. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი).

ასეთი ურთიერთშეთანხმება შეიძლება გაფორმდეს სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დამოუკიდებელი დოკუმენტის შედგენით. მისი დადასტურების დროს კი საჭიროა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა და მიმოხილვისათვის სახლზე უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტები.



„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ელეონორა ყიფიანი, თამაზ შავაშვილი

ჩვეულებრივი დანაშაული

მეორე საღამოს ისევ მამაპაპურ ბუხარს მიუსხდნენ. საუბარი მასპინძელმა წამოიწყო:

— კითხვა გარკვეულია: რატომ ჩადის კაცი დანაშაულს? ჩვენი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად პასუხი გავცეთ მას. ადამიანი, მოგვხსენებთ რთული არსებაა. მივარეუბნებთ, შექმნა ურთულესი კიბერნეტიკული მანქანები, გენური ინჟინერია, სასწაულებს ახდენს... მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, საოცარი მიღწევებია მეცნიერების ყველა დარგში, ხოლო თვით ადამიანის საბოლოოდ შეცნობა, ცოტა არ იყოს გართულდა... რა არის ადამიანი? მისი ხატი ვერ მოგვცა ვერც ფსიქოლოგიამ, ვერც — სოციოლოგიამ და ბიოლოგიამ.

— რატომ, მერე? — იკითხა მამიამ.

— იმიტომ, რომ კაცი არ არის არც მხოლოდ ბიოლოგიური არსება, არც მხოლოდ სოციალური და არც მხოლოდ ფსიქოლოგიური. იგი არ არის არც მათი უბრალო მექანიკური ჯამი. იგი თვისობრივად განსხვავდება ამ ჯამისგან. კაცს აქვს რაღაც მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ფენომენი; შეუძლებელიც არის მის სახელი მოუძებნო. პირობითად დავარქვათ, ვთქვათ „სული“, რასაც მეცნიერებამ ჭერჯერობით ვერაფერი გაუგო. ყველაზე კარგად ეს ხელოვნებამ შეძლო, განსაკუთრებით, მწერლობამ. არსად არ არის დახატული ადამიანის სული ისე, როგორც, ვთქვათ, დოსტოვესკის, ტოლსტოის ან ჰიუგოს შემოქმედებაში. ეს იმით არის განპირობებული, რომ მწერალი ადამიანს დანაშაულებულად კი არ აღიქვამს, არამედ მთლიანად. მწერალი „სულს“ ხატავს ინტუიციით, ალღოთ. მეცნიერებისაგან განსხვავებით, მწერალს არ სჭირდება თავისი მოსაზრება, ალღო, წვდომა თუ... რაც გინდა, ის უწოდებ, დაამტკიცოს. მეცნიერმა ყველა ვარაუდი, მიგნება თუ მოსაზრება ექსპერიმენტულად უნდა დასაბუთოს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ტოლს-

ტოისთვის მოეთხოვათ დაემტკიცებინა, ვთქვათ, ნატაშას მართლაც ისეთი სულიერი მდგომარეობა ჰქონდა თუ არა პირველი მეჯლისის წინ... მთელი დღე ვიფიქრე, რითი დამეწყო საუბარი. რა დასაბაღია და, კარგად არც მე მაქვს გააზრებული ყველაფერი, — ბიძინამ მაგიდიდან საქალაღდე აიღო, — სასამართლო პროცესი მაქვს ჩაწერილი. ნამდვილი პროცესი. დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის შესწავლა მინდოდა. იქნებ სადისერტაციო თემად გამოვიყენო-მეთქი. არ გამომაღდა; მტკიცება არ მეყო, მეცნიერული, ექსპერიმენტული მტკიცება. ეს საქმე განიხილა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ. მე ერთ-ერთ სასამართლოში მიცემულს ვიცავდი... ასე რომ, ვიწყებთ სასამართლო პროცესს:

მოსამართლემ დინჯად ჩაიკითხა საბრალდებო დასკვნა და ერთ-ერთ სასამართლოში მიცემულს მიმართა:

- თქვენი გვარი?
- სამართალში მიცემული ფეხზე წამოდგა:
- გრძელიძე მიხეილ ილიას ძე.
- დაბადების დრო და ადგილი!
- 1956 წელი, 7 ივნისი. თბილისი.
- სად მუშაობდით დაპატიმრებამდე?
- სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეშვიდე ტრესტის მეოთხე მოძრავი მექანიზებული კოლონის ექსპედიტორად.
- საბრალდებო დასკვნას გაეცანით?
- დიახ.
- ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?
- არა.
- დაქვით; სამართალში მიცემულ ბაბელო!

ახლა მეორე სამართალში მიცემული წამოდგა.

- თქვენი გვარი? — ჰკითხა მოსამართლემ.
- ბაბეური ვანო ვახტანგის ძე.
- დაბადების დრო და ადგილი!

— 1964 წელი, ოცი მაისი. სოფელი კლდე.
 — საღ მუშაობთ?
 ბაბუტურმა შიშით შეხედა მოსამართლეს და
 ბავი დახარა, — არსად, — ჩაილულღულა მან.
 — საბრალდებო დასკვნას გაეცანით?
 — დიახ.
 — ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?
 — დიახ.
 — დაჯექით! სუხიაშვილი!
 — სუხიაშვილი მკვირცხლად წამოდგა.
 — თქვენი გვარი!
 — სუხიაშვილი ირაკლი დავითის ძე.
 — დაბადების დრო და ადგილი!
 — 1966 წელი, თხუთმეტი იანვარი. თბილისი.
 — თქვენი საქმიანობა!
 — მეათე კლასის მოსწავლე.
 — საბრალდებო დასკვნას გაეცანით?
 — დიახ.
 — ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?
 — ნაწილობრივ.
 — დაჯექით!
 — გრძელიძე, — მიმართა მოსამართლემ ერთ-
 ერთ მათგანს, — რატომ არ თვლით თავს დამნა-
 შავედ?
 გრძელიძე ზღაზღანით წამოიმართა:
 — იმ ღამეს, ათ საათზე შინ ვიყავი, მარტო.
 მუსიკას ვუსმენდი. არ ვიცოდი ყაჩაღობას თუ
 ამკიდებდით, თორემ მოწმეს დავისწრებდი. და-
 ნაშაულში მონაწილეობა არ მიმიღია.
 — ვინმე ხომ არ გესტუმრათ იმ საღამოს, მე-
 ზობელი ან ნაცნობი?
 — არა, არავინ.
 — იქნებ, ტელეფონით დაელაპარაკეთ ვინმეს?
 — კი, ტელეფონით ველაპარაკე.
 — რამდენ ხანს?
 — ორმოც-ორმოცდახუთ წუთს.
 — ვის ელაპარაკეთ?
 — ახალგაზრდა ქალს.
 — ვინ იყო ის ქალი?
 — არ ვიცი.
 — უცნობია?
 — დიახ.
 — უცნობს ამდენ ხანს როგორ ელაპარაკეთ?
 — მთლად უცნობი არ არის.
 — მაშ, ვინ არის?
 — ერთხელ მითხრა, ქეთინო მქვიაო. მგონი
 სწორი არ თქვა.
 — პირადად არასდროს გინახავთ?
 — არა.
 — რას ელაპარაკებოდით?
 — რა ვიცი, სისულელეს.
 — რატომ?
 — ლაპარაკი მინდაო. მეც გავუსწორე.
 — მისი ტელეფონის ნომერი არ იცით?
 — არა, არ მიკითხავს.

— რატომ?
 — რატომ უნდა მეკითხა! თუ უნდოდა, თვი-
 თონ მეტყოდა.
 — იმ ღამეს შინიდან სულ არ გამოსულხართ?
 — არა.
 — მამათქვენი არ იყო სახლში?
 — არ ვიცი.
 — არ იცით მამა შინ იყო თუ არა?!
 — მას თავისი ოთახი აქვს, მე — ჩემი.
 — თქვენს ბინაში ნახეს „სონის“ ტიპის მაგ-
 ნიტოფონი. დაზარალბულთა ჩვენებით, იგი მათ
 ეკუთვნოდათ და თავდასხმისას გაიტაცეს. რო-
 გორ აღმოჩნდა იგი თქვენთან?
 — იმ მაგნიტოფონის გარდა, მე კიდევ ხუთი
 მაქვს, სხვადასხვა დროს შექმნილი.
 — პატივცემულო მოსამართლე! — წამოდგა
 ფეხზე გრძელიძის დამცველი, — აღნიშნული
 მაგნიტოფონი ხუთი წლის წინ შეიძინა გრძე-
 ლიძის მამამ, ილია გრძელიძემ საკომისიო მაღა-
 ზიაში. საბუთი საქმეს თან ერთვის.
 — დიახ, საბუთი საქმეს ერთვის. სამართალ-
 ში მიცემული გრძელიძე, მოახსენეთ სსამართ-
 ლოს, რა ურთიერთობა გქონდათ სამართალში
 მიცემულ ბაბუტურთან და სუხიაშვილთან?
 — არცერთს არ ვიცნობ. ესენი პირველად
 ვნახე გამოძიების დროს.
 — კიდევ ერთი კითხვა: რა ურთიერთობა
 გაქვთ დავლაშვილებთან?
 — არაფერი. ამოცნობისას ვნახე პირველად.
 მოსამართლემ გრძელიძეს ანიშნა დამჯდა-
 რიყო და სუხიაშვილს მიმართა:
 — რას ნიშნავს თქვენი ნათქვამი, ნაწილობ-
 რივ ვთვლი თავს დამნაშავედო? აგვისხენით!
 — მე მართლაც შევედი დავლაშვილებებთან,
 ფული და მაგნიტოფონები წამოვიღე, მაგრამ
 მარტო ვიყავი.
 — არავინ გახლდა თან?
 — არა.
 — გარეთ ხომ არ გელოდა ვინმე?
 — არა, არც გარეთ.
 — რატომ აღმოჩნდა ის მაგნიტოფონები
 გრძელიძესთან და ბაბუტურთან?
 — გრძელიძის მაგნიტოფონის შესახებ არა-
 ფერი ვიცი, ბაბუტურს კი მე ვაჩუქე.
 — რატომ აჩუქე?
 — მე არ მჭირდებოდა.
 — ფულიც მას მიეცი?
 — თხუთმეტი მანეთი დავიტოვე.
 — დანარჩენი?
 — ბაბუტურს მივეცი.
 — რატომ მიეცი მიანცდამაინც ბაბუტურს?
 — სოფლიდან ჩამოსული ბიჭია... უჭირდა.
 — ამიტომ გაძარცვე დავლაშვილებები?
 — არა, ჯერ წავართვი და მერე გადავწყვიტე
 მეჩუქებინა.

— რა ურთიერთობა გქონდა გრძელძიძისთან?
 — გამოძიების დროს პირველად ვნახე.
 დაკითხვაში პროკურორი ჩაერთო:
 — ბაბუტრმა არ იცოდა, რა გზით გქონდა ნა-
 შოვნნი ფული და ნივთები?
 — არა.
 — რატომ? ნუთუ არ უკითხავს, საიდან გაქვ-
 სო?
 — მკითხა.
 — რა უპასუხე?
 — რა შენი საქმეა, გაძლევენ, აილე და მოიხ-
 მარე-მეთქი.
 პროკურორს და მოსამართლეს კითხვები ამო-
 ეწურათ. მოსამართლემ მსაჯულებს გადახედა.
 ისინი დუმდნენ.
 სუხიაშვილის დამცველმა წამოიწია:
 — რატომ დაიტოვეთ მხოლოდ თხუთმეტი
 მანეთი, ხომ შეგეძლოთ, სულ თქვენ დაგეტოვე-
 ბინათ?
 — დიახ.
 — რატომ არ დაიტოვეთ?
 — მეტი არ მჭირდებოდა.
 — კარგი, ის თხუთმეტი მანეთი რაღაში
 გჭირდებოდა? — არ მოეშვა დამცველი.
 — ვალი მქონდა.
 — ვისი?
 — მამაჩემის.
 — დაუბრუნეთ?
 — დიახ.
 — მამას არ უკითხავს, საიდან გაგიჩნდა ის
 ფული?
 — არა.
 — ვინ არის, რა კაცია მამაშენი? — ჩაერთა
 მსაჯული.
 — ეჭიმი.
 მოსამართლემ სუხიაშვილი დასვა. ახლა ბა-
 ბუტრს დაუწყეს დაკითხვა.
 — ბაბუტრო! მონაწილეობდი თუ არა, ყა-
 ჩაღურ თავდასხმაში?
 ბაბუტრი წამოდგა. კარგა ხანს ვერ დაძრა
 სიტყვა.
 — დიახ.
 — კიდევ ვინ იყო შენთან ერთად?
 — სუხიაშვილი.
 — კიდევ? კიდევ?
 — მეტი არავინ.
 წამოდგა მისი დამცველი:
 — იცნობდი თუ არა ადრე გრძელძიძის?
 — არა.
 — შენ დავემუქრე დანით დავლაშედიძის?
 — მე? არა.
 — მე დავემუქრე! — წამოიძახა სუხიაშვილმა.
 — საერთოდ ვინ წამოიწყო ეს საქმე?
 — მე არ წამომიწყია, — ძლივს იღებდა ხმას

ბაბუტრი.

— მე წამოვიწყე! — ისევ წამოიძახა სუხია-
 აშვილმა.
 — ადასტურებ თუ არა, რომ საქმე სუხიაშ-
 ვილმა წამოიწყო? — იკითხა პროკურორმა.
 — დიახ, ვადასტურებ.
 — გასაღები რომელმა იშოვეთ?
 — სუხიაშვილმა.
 — კარი ვინ გააღო?
 — სუხიაშვილმა.
 — რატომ დათანხმდი, ვაპყლოდი, — გან-
 აგრძობდა დაკითხვას პროკურორი, — ხომ იცო-
 დი, რომ დანაშაულს ჩადიოდი?
 — ფული მჭირდებოდა... ჩვენ არ გვეგონა,
 თუ სახლში დავგვდებოდნენ ისინი...
 — ვინ ისინი? გარკვევით სთქვი!
 — დავლაშედიძეები.
 — რატომ გვეგონა ასე?
 — სუხიაშვილმა თქვა, შინ არ არიანო.
 — ესე იგი, სუხიაშვილმა დათქვა მისგლის
 დრო?
 — დიახ.
 — საიდან იცნობ სუხიაშვილს, რა გაქვთ სა-
 ერთო?
 — მის უბანში მაქვს ოთახი დაჭირავებული,
 ბავშვობიდან ვიცნობ, ზაფხულობით სოფელში
 ჩამოდის ხოლმე. სახლი აქვთ იქ.
 — ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს?
 — დიახ.
 — შეიძლება? — წამოიწია ბაბუტრის დამ-
 ცველმა.
 — ბრძანეთ! — ნება დართო მოსამართლემ.
 — თბილისში ჩაწერილი თუ ხარ?
 — არა.
 — მაშ, სად ხარ ჩაწერილი?
 — სოფელში, კლდე ჰქვია.
 — აქ რატომ ჩამოხვედი?
 — მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი პოლი-
 ტექნიკურ ინსტიტუტში.
 — მერე რა ქენი?
 — ვერ მოვეწყვე.
 — დასწრებულზე აბარებდი?
 — დიახ.
 — კარგი, ვერ მოეწყვე, რატომ მუშაობა არ
 დაწყე?
 — მინდოდა, მაგრამ... არ მიმიღეს, ჩაწერილი
 არ ხარო.
 — რატომ არ ჩაეწერე თბილისში?
 — არ ჩამეწერეს, არ მუშაობო.
 დამცველმა დაკითხვა დაამთავრა, ისევ პრო-
 კურორი ჩაერთო:
 — რატომ შინ არ დაბრუნდი, სოფელში?
 — მშობლებს ჩემ გარდა კიდევ ხუთი შვილი
 ჰყავთ სარჩენი.
 — რადიოები და მაგნიტოფონები გინახეს,
 ფული რა უყავი?
 — დავხარჯე.

- იქნებ, სულაც არ მოუციათ შენთვის?
- არა, დაეხარჯე.
- რაში დაეხარჯე?
- არ მახსოვს.

სამართალში მიცემულთა დაკითხვა დამთავრდა. მოსამართლემ დაზარალებული გამოიძახა. დარბაზში ხანშიშესული ქალი შემოვიდა.

— თქვენი გვარი! — მიმართა მას მოსამართლემ.

- დავლაშელიძე ქსენია დავითის ასული.
- დაბადების დრო და ადგილი!
- თბილისში.
- როდის?

ქსენიამ ხელჩანთა გახსნა, ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩებზე მოისვა. უაზროდ გაიღიმა:

- 1923 წელი, ბირველი მაისი.
- საქმიანობა!
- დიასახლისი.
- მოგვიყვით ზუსტად, რა მოხდა იმ დღეს.

— იმ დღეს, რაღაც ვერ ვიყავი კარგად. თითქოს ავს მიგრძობდა გული. გარეთ არც კი გავსულვარ. საღამოს ტელევიზორს ვუყურებდით მე და ჩემი მეუღლე, მალე „ვრემია“ უნდა დაწყებულყო. ერთოთახიანი ბინა გვაქვს, ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობთ...

— კარგი, რა ქსენია! — არ აცალა სიტყვა სუხიაშვილმა, — არ გრცხვენია?!

— ვინაა მაგის ქსენია! — სული ძლივს მოიბრუნა ქალმა, — ხალხი უბატონოდ ხმას არ მცემს!... ეს... ეს ბანდიტი... ეს კი არა, ამის მშობლებიც ჩასასმელია, მაგის ქსენია ვარ მე?! მოსამართლემ მწყურაოდ გადახედა სუხიაშვილს, ისევე დაზარალებულს მიუბრუნდა:

— დაწყნარდით! განაგრძეთ! ილაპარაკეთ მხოლოდ საქმის შესახებ!

— რა საქმის შესახებ, პატივცემულო? — ისე მოულოდნელად დაწყნარდა ქალი, თითქოს ახლა ამოედოს პირველად ხმა.

- რა მოხდა ათ საათზე!
- დიახ, კარი დაეტილი გექონდა. რა ვიცი, რამდენი ოხერია, თვალიდან ბეწვს ამოგაცლიან...
- საქმეზე ილაპარაკეთ!

— დიახ, ის იყო, „ვრემია“ უნდა დაწყებულყო. არაფერს არ ველოდი... უცებ სამი კაცი შემოვიდა ოთახში, პირახვეულები! წარმოიდგინეთ, ზიხარ შენთვის, კარჩაკეტილში, ტელევიზორს უყურებ... რა დღეში უნდა ჩავვარდნილიყავით! იმ წამსვე დაეკარგე გონება. რომ მოვსულიერდი, დაეინახე, ეს ბიჭი, — ამრეზით გაიხედა ქალმა სუხიაშვილისკენ, დანით ადგა თავს ჩემს მეუღლეს. რააირად ვარ ამის შემდეგ ცოცხალი?! ფული მომეცი, თორემ მოგკლავო. მაშინვე მივეცი, რაც გექონდა.

- კერძოდ, რა მიეცი?
- რა და... — დაფიქრდა ქალი, — ორი ათა-

სი მანეთი ფულად. ჩემი მეუღლის პენსიას ვაგროვებთ შავი ღლისათვის...

- კიდევ?
- ერთი ოქროს საათი და ორი ოქროს ბეჭედი, ჩვენი საქორწინო. კიდევ, რაღაც მაგნიტოფონები, იმათი არაფერი გამეგება.

— ის „რაღაც“ მაგნიტოფონები ათი ათას მანეთზე მეტი ღირს, — ჩაუროთო სუხიაშვილის დამცველმა.

- მართლა?!
- არ იცოდით?
- არა, პირველად მესმის.
- საიდან გაქვთ?
- ოქროს ქორწილი გექონდა მე და ჩემს მეუღლეს, მაშინ მოგვიტანეს საჩუქრად.

- მსაჯულმა ქალმა გაიღიმა:
- რამდენი წლის ბრძანდებით?
- ხომ გითხარით!
- ათი წლის გათხოვილხართ.

— უი, არა, შევცდი! ვერცხლის ქორწილი გექონდა. ვერცხლის იყო, კი, ნამდვილად! მოსამართლემ დაზარალებულის ყურადღება მიიბპრო:

— შეხედეთ ამ სამ ახალგაზრდას! ნამდვილად ესენი იყენენ?

— ესენი იყენენ, ესენი! — ხელი აიჭნია ქალმა, — სამივე ვიცანი გამოძიების დროს.

— პირახვეულები თუ იყენენ, ასე დანამდვილებით როგორ ცნობთ? — ჩაერია გრძელიძის დამცველი.

— ჰმ, პირახვეულები! — ამრეზით ჩაიღიმა დაზარალებულმა, — ეგენი მომატყუებენ მე?! კაცს ერთს რომ შევაგებოთ თვალს, მაშინვე ვხვდები, ვინ არის, რა ხელობის, რამდენი წლის, ცოლშვილიანია თუ არა...

— ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი ხარ, ქალბატონო ქსენია! — წამოიძახა სუხიაშვილმა.

- ვინა?
- გვადროვე! — ბიჭს შეუტია დამცველმა, — ასე რამ გაგივარჯიშათ თვალს, ეს თქვენი პროფესიული ჩვევა?

— დიახ... — ქსენიამ ენაზე იკბინა, — დიასახლისი ვარ, არავითარი პროფესია არ გამაჩნინია.

— მოქალაქე დავლაშელიძე! დაუკვირდით სამართალში მიცემულ გრძელიძეს, ესეც ნამდვილად იყო თავდამსხმელთა შორის?

- იყო.
- რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— პირი კი ჰქონდა ახვეული, მაგრამ შუბლი და თვალები უჩანდა. აი, შეხედეთ! — ქალმა მკლავი ისე აიფარა სახეზე, რომ თვალები უჩანდა, — ასე ვერ მიცნობთ?!

მოსამართლემ დაკითხვა დამთავრებულად ჩათვალა.

— დაჯექით! — მიმართა მან ქალს, — გერონტი დავლაშვილიძე შემოიყვანეთ!

სასამართლო დარბაზში ხანშიშესული კაცი შემოვიდა.

— თქვენი გვარი! — დაიწყო დაკითხვა მოსამართლემ.

— დავლაშვილიძე გერონტი პლატონის ძე.

— პროფესია!

— ეკონომისტი. ამჟამად პენსიონერი.

— დაბადების დრო და ადგილი!

— 1917 წელი, სამი მარტი. თბილისი.

— მოახსენეთ სასამართლოს, რა მოხდა შემთხვევის დამეს!

— არავის არ ვუჩივი, — გერონტიმ სამართალში მიცემულებისკენ გაიხედა, — მილოცია მოვიდა, რა მოხდაო. ასე მოხდა-მეთქი. რა წაიღესო. ეს და ეს წაიღეს-მეთქი. სულ ეს იყო. მორჩა და გათავდა!

— რამდენი კაცი შემოგეჭრათ შინ?

— სამი.

— დანა რომელმა მოგიღერათ?

— იმ ბიჭმა! — სუხიაშვილზე მიუთითა გერონტიმ.

— დანარჩენებმა რა ქნეს?

— აი, მან, — ბაბუურს შეხედა დაზარალებულმა, — ფული და ოქრო ნახა კომოდის უჯრაში. მესამე თავისთვის იდგა, კუთხეში.

— შეხედეთ! ნამდვილად ეს იყო ის მესამე? — პროკურორი წამოდგა და გრძელიძეს შორიასლოს გაჩერდა.

— ჰო, ეგ იყო, უკვე ვთქვი და რა ვქნა! — ბოდიშით გამოუვიდა გერონტის.

— მანამდე ხომ არ იცნობდით?

— არა.

— დაბრძანდით!. — სკამზე მიუთითა მოსამართლემ, — მოწმეს თხოვეთ!

შუახნის ქალი შემოვიდა, ხარიხსთან დადგა.

— თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, სამუშაო ადგილი, დაბადების დრო და ადგილი!

— ქეთევან ვასილის ასული ბურკაძე, სასურსათო მაღაზიის გამყიდველი, 1950 წელს დაბადებული.

მოსამართლემ მოწმე გააფრთხილა ცრუ ჩვენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და განაგრძო:

— მოახსენეთ სასამართლოს, რა ურთიერთობა გაქვთ დავლაშვილიძეებთან და, საერთოდ, რა იცით ამ საქმის შესახებ.

— ურთიერთობა... მეზობლები ვართ, კიბის ერთ უჯრედზე ვცხოვრობთ.

— იმ საღამოს მარტო იყავით შინ?

— დიახ. ქმარი ძმასთან იყო წასული. ახალი ბინა მიიღო ვაზისუბანში. ეხმარებოდა. შვილები კინოში იყვნენ.

— განაგრძეთ!

— ის იყო ჩემი შვილები უნდა დაბრუნებულ იყვნენ. გამოთვლილი მქონდა, რვა საათის სენსზე შევიდნენ, ათისთვის დაბრუნდებოდნენ. ლიფტის კარის გაღების ხმა შემომესმა. ჭუჭრუტანაში გავიხედე. ვილაც სამი უცნობი ვაჟი დავინახე. თავიდან არ გამეკვირვებია, დავლაშვილიძეებთან ხშირად დადიან ხოლმე. ამიტომ...

— მოითმინეთ! — შეაჩერა სუხიაშვილის დამცველმა, — ხშირად დადიოდნენ ხოლმეო. მართო ცხოვრობს ცოლ-ქმარი?

— დიახ.

— ყოველთვის მათი ხნის ხალხი დადის?

— არა... ყველანაირი.

— ხომ არ იცით, რატომ, რა საქმეზე დადიან?

— რა მოგახსენოთ! ისეთი ახლო ურთიერთობა არ გვაქვს, ერთმანეთის შინაურული ამბებზე ვიცოდეთ... იმ ვაჟებმა ისე მიაყურეს კარს, ეჭვმა გამკრა, ჭუჭრუტანას ვერ მოვცოლდი. ერთ-ერთმა... თითქმის ბავშვი იყო, გასაღებით კარი გააღო. სახეზე რაღაც აიფარეს სამივემ და შევიდნენ. ნელა მოიხურეს კარი. იმწამსვე მივხვდი ყველაფერს. მილიციაში დავრეკე. მოვალთო. მისამართი მკითხეს. ფეხის წვერებზე მივუახლოვდი ჭუჭრუტანას. მილიციამ დაიგვიანა. ერთი პირობა დავაპირე, გავალ, მეზობლებს შევყრი-მეთქი, მაგრამ შემეშინდა; ამასობაში ჩემი შვილები არ მოსულ იყვნენ და შარში არ გახეულიყვნენ. შემდეგ, ისინი გამოვიდნენ დავლაშვილიძეების ბინიდან, პირზე აფარებული მოიცოლეს, ჩასხდნენ ლიფტში და ჩავიდნენ...

— მილიცია როდის მოვიდა?

— ოჰ, როდის! ჩემი ქმარი დაბრუნდა, შვილებიც. დავლაშვილიძეებთან შევედიო. ისინიც შეშინებული იყვნენ. ამის შემდეგ მოვიდა მილიცია...

— დააკვირდით ამ ახალგაზრდებს და გარკვევით თქვით: ესენი იყვნენ თუ არა.

— ესენი იყვნენ! — ღრმად ამოისუნთქა მოწმე.

— ქალბატონო ქეთევან! — თავისკენ მიახედა იგი გრძელიძის დამცველმა, — სამივე? კარგად დააკვირდით!

— თავიდან მეგონა, რომ ვერ ვიცნობ-მეთქი, მაგრამ მილიციაში ამოცნობაზე რომ მიმიყვანეს, მაშინვე ვიცანი.

— დამცველი ფეხზე წამოდგა და მოწმეს მიმართა:

— იქ, შემთხვევის ადგილას ისინი ჭუჭრუტანაში დაინახეთ, არა?

— დიახ.

— იცით, მეც მაქვს ასეთი ჭუჭრუტუნა... თქვენი გამოსახულებას არ ამახინჯებს?

— კი, ცოტა.

— თან, როგორც თქვით, ძალზე შეშინებული იყავით, გარდა ამისა კიბის უჯრედები, როგორც

წესი, კარგად არ არის ხოლმე განათებული...
განა არ შეიძლებოდა შემედარიყავით?

— ჩვენეი კიბეები კარგად არის განათებული.
აი... გრძელი ნათურები რომ არის, დღის სი-
ნათლემ ჰქვია მგონი... ჩემი კარიდან ლფტამდე
ერთი მეტრიც კი არ არის. საითათოდ შევიდნენ
შიგ. სულ ახლოს დაეინახე მათი სახეები... ისე,
კარგი გარეგნობის ბიჭები იყვნენ.

— კიდევ ერთი კითხვა! — მოსამართლეს შე-
ავლო თვალი დამცველმა, — მილიციაში ამოც-
ნობაზე რომ მიგიყვანეს, ქალბატონო ქეთევან,
როგორ გაჩვენეს ესენი?

— ოთახში შემოიყვანეს. ათამდე კაცი იქნე-
ბოდა. მკითხეს, ამთვან ხომ არ იყო რომე-
ლიმეო.

— თქვენ რა უთხარით?

— დავთვალეიერე და მაშინვე ვიცანი. ეს, ეს
და ეს იყვნენ-მეთქი.

დამცველი დაჯდა. ახლა, პროკურორმა და-
უსვა კითხვა:

— მიინც, რამდენი ხანი გავიდა, ხომ ვერ
გვეტყვი, თქვენი დარეკვიდან მილიციის მოს-
ვლამდე?!

— კი! — თავი დაიქნია მოწმემ, — შიგ ათ
წუთზე მეტ ხანს არ იქნებოდნენ. როცა წავიდ-
ნენ, შედარებით დაემშვიდდი და საათს შევ-
ხედე, თერთმეტის ათი წუთი იყო... თერთმეტი
წუთი. მილიცია თერთმეტ საათზე მოვიდა.

სხვა მოწმე არ იყო. სასამართლო მხარეთა
კამათზე გადავიდა. მოსამართლემ პროკურორს
გადახედია. პროკურორი წამოდგა:

— პატივცემულო სასამართლოც, სურათი ცხა-
დია! — დინჯად, მოზომილი ხმით წამოიწყო
მან, — ღამის ათ საათზე მიხილ ილიას ძე
გრძელიძემ, ივანე ვახტანგის ძე ბაბუქიძემ და
ირაკლი დავითის ძე სუხიაშვილმა მოაწყვეს ყა-
ჩაღური თავდასხმა; შეიპირნდნენ ქსენია და გერონ-
ტი დავლაველიძეების ბინაში და მოკვლის მუ-
ჭარით გააძარცვეს ისინი. ეს არის კარგად
ორგანიზებული დამნაშავეთა ჯგუფი. ისინი არ
მისდგომიან პირველსავე შემხვედრ ბინას. მათ
ჰქონდათ ამ ბინის გასაღები. როგორც წინას-
წარმა გამოძიებამ დაადგინა, დაზარალებულებს
გასაღები არ დაუქარგავთ. მათ კარზე ისეთი
საკეტი აქვთ დაყენებული, რომ სხვა გასაღები
ნამდვილად არ მიუღებოდა. ჯგუფის წევრებმა
გასაღები დაამზადეს. გამოძიებამ ვერ დაადგინა,
კერძოდ, როგორ, მაგრამ ფაქტი სახსრზეა, ის გა-
საღები ციდან არ ჩამოფრინდებოდა. სასამართ-
ლო ექსპერტიზის ენაზე ამას ტექნიკურ საშუა-
ლებათა გამოყენება ჰქვია და დანაშაულს ამძი-
მებს. სუხიაშვილი წინასწარი გამოძიების დროს
და ახლაც სასამართლო გამოძიებისას ამტი-
ცებდა, რომ მართო მოქმედებდა. ბაბუქიძე
ორის, საკუთარი და სუხიაშვილის მონაწილეო-
ბას აღიარებს. სინამდვილეში კი, ვიცით, რომ

ნამდვილად სამნი იყვნენ. ამას ამტკიცებენ და-
ზარალებულები და მოწმე. მაგრამ ეს ბიჭები
მიანც ფარავენ გრძელიძეს, არამცდარამც არ
სურთ მისი გამხელა. აი. ავიღოთ ბაბუქიძე! მან
ჩვენებაში აქაც დაამოწმა, რომ მასთან ერთად
სუხიაშვილიც იყო. მან ხომ დღემდე არ იცოდა,
რას ამბობდა სუხიაშვილი და რას გრძელიძე!
რატომ არის რომ ორივე შეუთანხმებლად...
შეთანხმების საშუალება მათ დაპატიმრების შემ-
დეგ არც ჰქონიათ, გრძელიძეს ხელს აფარებს.
თითქოს უცნაურია არა?! იცით, რატომ? იმი-
ტომ, რომ ეს კაცი, გრძელიძე, ქურდია. კარგად
დაუკვირდით ამ სიტყვას. ქურდს და მომპარავს
შორის „დამნაშავეთა სამყაროს“ თვალთახედ-
ვით დიდი განსხვავებაა. მომპარავი არის ყველა
ის, ვინც იპარავს, ხოლო „ქურდი“, ეს არის და-
ნაშაულებრივი საქმიანობა, ბოლოსდაბოლოს,
წოდება! არაფერს არ ნიშნავს ის, რომ გრძელი-
ძეს სამუშაო ადგილიდან, ასე ვთქვათ, ცნობა
აქვს. ძიებამ დაადგინა, იგი მივლით გაფორმე-
ბულია მოძრავმექანიზებული კოლონის ექსპე-
ლიტორად. სინამდვილეში არ მუშაობს. იგი უკვე
ნასამართლეგია ორჯედ და, სწორედ, ქურდო-
ბაზე. იგი არ გახლავთ დამნაშავეთა სამყაროში
შემთხვევით მოხვედრილი კაცი. მის საქმეში
მონაწილეობას მოწმეთა ჩვენების გარდა ნივ-
თიერი სამხილიც ამტკიცებს. მას შინ უბოვეს
უცხოური წარმოების მაგნიტოფონები. ასეთი
მაგნიტოფონები მრავლად არ არის ჩვენში. ამი-
ტომ, დაზარალებულთ არ გაჭირვებით მათი
ამოცნობა. მათ ისიც კი თქვეს, რამდენი „კასე-
ტა“ ახლდა მაგნიტოფონს და რა იყო ზედ ჩა-
წერილი. საათი და ბეჭდებიც, უდოდ, მისი
„წილი“ იყო. მათი გაყიდვა, ან გადაძალა მო-
ასწრო და გამოძიებამ ვეღარ მიაკვლია. განა,
ცხადი არ არის, ვისი წამოწყებულია ეს „საქ-
მე“? ვინ იზოვა გასაღები და ვინ დათქვა თავ-
დასხმის დრო! როგორც ჩანს, გრძელიძემ კარ-
გად გამოწვრთნა ეს ახალგაზრდები. დაშინა
კიდევ, რომ „ქურდის“ თანამონაწილედ დასახე-
ლება არასდიდებით არ შეიძლება. ამიტომაც
ცილილობენ ასე თავგამოდებით მის დაფარვას.
ამიტომ, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაი-
საჯოს გრძელიძე. მისი გამოსწორების, სწორ
გზაზე დადგომის ერთადერთი გზაა არსებობს:
არ უნდა შეეპაროს ეჭვი... არც ერთი წამით,
რომ დანაშაულისთვის მკაცრად დაისჯება. ასე-
თი ადამიანების მორჯულება მხოლოდ მითრა-
ხით შეიძლება. „თაფლის კვერი“ არავითარ
შედევს არ გამოიღებს. დაუკვირდით ერთ რა-
მეს: თავდასხმისას იგი, მოწმეთა ჩვენებით,
თითქმის არ მოქმედებდა. მას თავად კარი არ
გაუღია, არავისთვის დანა არ მოუღერებია...
წყნარად იდგა კუთხეში, თუმცა, ფული და
ძვირფასეულობა თავად წაიღო. რას ნიშნავს
ეს?! იმას, რომ მისი შემუშავებული გეგმის

მიხედვით გაკეთდა ყველაფერი. უფრო მეტიც! ეს ბიჭები დარიგებული არიან, როგორ უნდა მოიქცნენ საჭიროების შემთხვევაში, მილიციის განყოფილებაში, პროკურატურაში, სასამართლოზე, კოლონიაში. ისინი გრძელიძის მაგვარი ხალხის მიერ არიან დალდასმული. ასეთი ხალხი, რაც შეიძლება, დიდი ხნით უნდა ჩამოვაშოროთ საზოგადოებას, მათ ზოგიერთ გზასაცდენილ ახალგაზრდაზე გავლენის საშუალება უნდა მოეუსპოთ! მის და მის მსგავსთა გავლენის შედეგია, რომ ჩვიდმეტი წლის ბიჭი, სკოლის მოსწავლე, დანას იღებს ხელში და კაცს ჰკლავს, თუ ფულით არ გამოისყიდა სიცოცხლე. საბაბს არ იკითხავენ? მამის ვალი ჰქონია — თხუთმეტი მანეთი — და ამიტომ სჩადის ამას. შემდეგ, მილის სკოლაში და თითქმის ყველას ვასაგონად ტრაბახობს, რომ ოჯახი გაძარცვა. ყურადღება მიაქციეთ — ტრაბახობს! მას ვილაღ-ვილაღები უსმენენ და, ალბათ, შურით სკდებიან. ბაბუერს ყანაში შრომა, ეტყობა, ეზარება. მას ურჩევნია, სხვას შეუვარდეს შინ და ასე მოიპოვოს ფული. ყანაში ოფლის ღერაა საჭირო, სხვის ბინის გაძარცვა ან გაქურდვა კი ათ წუთშიც შეიძლება! მითუმეტეს თუ წინასწარ იცი, რომ მსხვერპლი ორი უმწეო მოხუცია. პატივცემულო მოსამართლენო! მოგეხსენებათ, მსჯავრის დადება, გარკვეულად, აღზრდასაც გულისხმობს — არა მხოლოდ დამნაშავესას, არამედ, იმისაც, ვისაც ჯერ არ ჩაუდენია დანაშაული, მაგრამ შესაძლოა, ჩაიდინოს. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ყოველი მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს: დანაშაული დაუტყალი არ დაჩრება.

პროკურორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის II ნაწილით მოითხოვა გრძელიძისათვის 14 წლით, ბაბუერისათვის 6 წლით, ხოლო სუხიაშვილისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯა. თანაც დასვა საკითხი გრძელიძის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ.

სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვა დაცვას მისცა, მან პირველად გრძელიძის დამცველს მიმართა.

ქალი ფეხზე წამოდგა. მან წყნარი ხმით დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლენო! მე, პირადად, მთლიანად ვეთანხმები სახელმწიფო ბრალმდებელს. ყველაფერი სწორია, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ დასჯამდე, ცხადია დანაშაული უნდა ჩაიდინოს, ხოლო სასამართლომ, შეცდომის თავიდან ასაცილებლად, სამართალში მიცემულს დანაშაული უნდა დაუმტკიცოს უტყუარი სამხილების მეოხებით. გადავხედოთ გრძელიძის დანაშაულის დამამტკიცებელ სამხილებს. ესენია: მაგნიტოფონი, დაზარალებულების და მოწმის ამოცნობა და... სამართალში მიცემულის წარსული. მოგეხსენებათ, სამხილები, ნივთი-

რიც და არანავითიერიც, ექვმიუტანელი უნდა იყოს. ახლა, ვნახოთ, არის თუ არა ეს სამხილები ექვმიუტანელი. დაეწყოთ მაგნიტოფონით! „სონის“ მარკის მაგნიტოფონი მართლაც ცოტაა ჩვენში. ამიტომ, მისი ამოცნობაც ადვილია. იცნო იგი გრძელიძის მამამ, პენსიონერმა ილია გრძელიძემ. მისი ცხოვრება არავითარ საბაბს არ გვაძლევს, დაგვაგვკოს მისმა სიტყვამ. მეთანხმებით, ალბათ, არა?! სასწაულოვით არის, მაგრამ ასე; ამ ოჯახში შემორჩა საბუთი, რომელიც ადასტურებს რომ ხსენებული მაგნიტოფონი ხუთი წლის წინ იყიდეს გრძელიძეებმა საკომისიო მილაზიაში. შემოწმებისას დადასტურდა, იმ მილაზიას ხუთი წლის წინ მართლაც გაუყიდა ასეთი მაგნიტოფონი. ის საბუთი თქვენ გიდევთ წინ, პატივცემულო მოსამართლენო! დაზარალებულმა აჩვენა, რომ მაგნიტოფონთან ერთად, ყაჩაღებმა წაართვეს, აგრეთვე, შვიდი კასეტაც. დიახ, შვიდი კასეტა მართლაც აღმოაჩნდა გრძელიძეს. მაგრამ იქ აღმოაჩნდა არა მხოლოდ შვიდი, არამედ ცხრაჯერ შვიდი კასეტა! ასე რომ დაზარალებულის ჩვენება, მეც მჭონდა ასეთი მაგნიტოფონი და შვიდი კასეტაო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყაჩაღთა შორის აუცილებლად იყო გრძელიძეც. სამართალში მიცემული სულაც არ არის მოვალე, ახსნას, რატომ შეიცნო ის მაგნიტოფონი და კასეტები დავლაშელიძემ. პატივცემულო მოსამართლენო, ის ნივთი არ არის ბრალდების უტყუარი სამხილი! ახლა, განვიხილოთ მოწმეთა ჩვენებები. ქსენია და გერონტი დავლაშელიძეებმა ყაჩაღები მხოლოდ პირახეტელები ნახეს. ამიტომ, მათ ამოცნობას უტყუარად ვერ ჩავთვლით. კი, მართალია, კაცის ცნობა აღნაგობით და მიხერამოხერითაც შეიძლება, მაგრამ ეს მაშინ, თუ იმ კაცს კარგად ვიცნობთ და აუღელვებლად ვაკვირდებით. დავლაშელიძეები, მათივე თქმით, გრძელიძეს არ იცნობდნენ და ძალზე შეშინებულიც იყვნენ. ერთ მთვანს შიშით გულიც კი წაუვიდა. თან ეს ამბავი არც თუ კარგად განათებულ ოთახში მოხდა. ყველა ამ მიზეზთა გამო, ჩემი ღრმა რწმენით, მათი ჩვენება არ არის ექვმიუტანელი. თითქოს, უფრო ჰგავს სიმართლეს მათი მეზობლის ჩვენება. მანაც ამოიცნო გრძელიძე. პატივცემულო მოსამართლენო! ალბათ, გადავხედავთ კარის ჭუჭრუტანაში, „გლაზოკს“ რომ უწოდებენ. მასში ისეთი ლინზებია, დედა შვილს ვერ იცნობს. მე ვფიქრობ გამოძიებამ შეცდომა აღწევა; დავლაშელიძეებისათვის ამოცნობა პირახეტეულ ხალხში უნდა ჩატარებინა, მათი მეზობლისთვის კი — კარის ჭუჭრუტანაში. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, უტყუარი სამხილის იმედი გვექონოდა. ჩატარებულ ამოცნობებს სამხილის ძალა არ აქვს. მე, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, თითქოს, დაზარალებულები და მოწმე შეგნებულად

ამხინჯებდნენ, სინამდვილეს. არა! ისინი ერთმა გარემოებამ შეაციდნა — დარწმუნებულები იყვნენ, ალბათ, ასეც იყო, რომ სამი ყაჩაღი მოქმედებდა. მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს მიმცდამიანც მიხეილ გრძელიძის მონაწილეობას, რადგან დამნაშავე სამი იყო, გრძელიძეს კი ცუდი წარსული აქვს, უნებურად ჩნდება სურვილი, ამ საქმეს სწორედ იგი დაუკავშიროდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს მესამე, რა საჭიროა მოძებნა და წვალება, თუ „შესაფერისი“ პირი აქვე გვეყავს. პატივცემული ბრალმდებელი სწორია, გრძელიძე მართლაც მხოლოდ „გაფორმებულია“ ექსპედიტორად, სინამდვილეში არ მუშაობს. ანდა, რატომ უნდა იმუშაოს ექსპედიტორად! იგი ეკონომიკურ ფაქულტეტზე სწავლობდა და ცდილობს, როგორმე, შესაფერის ადგილას მოეწყოს, რათა სწავლის გავრძელება შეძლოს. რატომ აქამდე ვერ მოახერხა შესაფერისი ადგილის გაძიება, არა?! წარმოიდგინეთ, ვერ მოახერხა! მან სულ სამი თვეა, რაც სასჯელი მოხდა. უფრო სწორად, სამი თვის ვათავისუფლებული იყო, როცა ეპკით ხელმოკრე დააპატიმრეს. მანამდე კი ცნობა აუცილებელი იყო. მილიციის რაიგანყოფილებაში ზოგჯერ ცნობას თხოვდნენ და არა — მუშაობას. მხოლოდ იმიტომ, რომ კაცს ახალგაზრდობაში ერთხელ მარცხი მოუვიდა, ქვეყნის ცოდვა არ უნდა ავკიდოთ.

დამცველი შეყოვნდა. დასკვნის წინ სული მოითქვა.

— ასე, რომ ჩემი მარწმუნებლის საწინააღმდეგო სამხილები არც ერთი არ არის უტყუარი. აქედან გამომდინარე, მოვითხოვ, სახილის უკმარისობის გამო მიხეილ გრძელიძის საქმის წარმოება შეწყდეს და იგი გამართლდეს!

მოსამართლემ ბაბუურის დამცველზე შეაჩერა მზერა.

— ბრძანეთ! — მიმართა მას.

დამცველი წამოდგა:

— ვანო ბაბუურმა დანაშაული ჩაიდინა. ამის უარყოფა არ შეიძლება და არც ვაპირებ. მაგრამ სასამართლოს ყურადღების შეჩერება მინდა ზოგ საკითხზე. ჩემს მარწმუნებელს არც გასაღები დაუშვალდება, არც გვემა დაუსახავს და არც დანა მოუღერებია ვინმესთვის. იგი სოფლიდან ჩამოსული ოცი წლის ბიჭია. მან ორჯერ სცადა ინსტიტუტში ჩარიცხულიყო და ორივეჯერ, უცნაური დამთხვევათ, ნახევარი ქულა არ იყო. ნახევარი ქულა! მუშაობის დაწყებაც სცადა, მაგრამ არსად მიიღეს. თბილისში ჩაწერილი არ არის და იმიტომ. სოფელში დაბრუნება არ ისურვა, სამხედრო სამსახურისათვის კი უვარგისი გამოდგა — ბრტყელტერფიანია, თანაც ხეიბარი. ოთახის ქირა ჰქონდა გადასახდელი, პური საყიდელი. პური საჭმლის ფართო გავებით კი არა, სწორედ — პური. წარმოიდგინეთ,

ოცი წლის ბიჭი უცხო ქალაქში უკაბიკოდ დარჩა. ამას თავად ვინც არ გამოცდის, ვერ გაიგებს! მისი ბედით კომკავშირი და პროფკავშირი რომ არ შეწუხებულა, ამაზე აღარაფერს ვამბობ. ეს ყმაწვილი მისი ხნის კვალობაზე არც დიდად განათლებულია და არც... სხვამ არ მიხედა და ქუჩის გავლენას აჰყვა. ყაჩაღობას არ აპირებდა. სხვისი ნათქვამით დარწმუნებული იყო, რომ დავლაშელიძეების ბინაში არავინ დახვდებოდა. ეს არ არის გასამართლებელი მოტივი, მაგრამ ხომ არის განსხვავება ქურდობასა და ყაჩაღობას შორის? უცნაურია, მაგრამ აქ ერთი რამ არ თქმულა, რაც, ვიმეორებ, არ ამართლებს მაგრამ ნამდვილად ამსუბუქებს სამივეს, კერძოდ კი, ბაბუურის დანაშაულს. არაფერი თქმულა დავლაშელიძეების ოჯახზე. ვინ არიან ისინი, რას წარმოადგენენ! ამ უშვილიძრო ოჯახს დიდი ქონება აქვს. მე ვესაუბრე მათ და დავრწმუნდი, რომ არა თუ კლასიკაზე, არამედ თანამედროვე საესტრადო ხელოვნებაზეც კი ვერ მოახარხეს ორიოდ სიტყვის თქმა. მიუხედავად ამისა, საუკეთესო ხარისხის რამდენიმე სამამულო და უცხოური წარმოების მაგნიტოფონი და რადიომიმღები აქვთ, ძალზე ძვირად ღირებული. მათ, აგრეთვე, გამოძიებისას აღმოაჩნდათ ის, რასაც თავდამსხმელებმა ვერ მიაგნეს — 6000 მანეთი ფულად და 12 000 მანეთის სალაროს წიგნაკი. რამდენიმე ოქროს საათი, ოქროს ბეჭდები, ყელსაბამები და სხვა. ისინი ჩვეულებრივი მეგახშეები არიან! იქნებ, ყველამ არ იცის, რა არის მეგახშობა?! მოკლედ შეგახსენებთ.

ვთქვათ, დაგვირდა ფული, მეგახშე გაგიმართავს ხელს, გასესხებს ფულს, ოღონდ, ყოველთვიურად ნასესხები თანხის ათი პროცენტით უნდა გადაუხადო. სიტყვა რომ არ გატეხო, უფრო ძვირადღირებული ნივთი უნდა დაუტოვო გირაოდ. ღირებულებას თავად მეგახშე ადგენს ხოლმე. ახლა, ალბათ, გასაგებია, რატომ ჰქონდათ დავლაშელიძეებს ამდენი მაგნიტოფონი და ოქროულობა — გირაოდ დატოვებული ნივთები იყო. იცოდნენ თუ არა ეს თავდამსხმელებმა?! რა თქმა უნდა, იცოდნენ! ამიტომაც დაესხნენ თავს „იმ უმწყო მოხუტებს...“ მათ ისიც იცოდნენ, რომ მეგახშეს! თუ რამეს წაართმევს კაცი, მაღლია... თუმცა, უკანონობა და ასეთი საქციელი ისჯება. დიახ, ისჯება. მაგრამ ხომ არის გასათვალისწინებელი ის, რომ ბაბუურს აღრე არავითარი ცუდი საქციელი არ ჩაუდენია, რომ უტყორდა — შიოდა, ბინის ქირა ჰქონდა გადასახდელი, რომ რამდენიმე მაცდუნებულმა გარემოებამ ერთად მოიყარა თავი, რომ თავად არ იყო საქმის წამომწყები. გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ეს და ბაბუურს მიუსაჯოთ ისეთი სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთასთან.

— თქვენა დარჩით! — სუხიაშვილის დამცველს მიმართა მოსამართლემ.

— მე ბარემ დავამთავრებ ჩემი ჯოლეგის წამოყენებულ აზრს, — წამოდგა დამცველი, — ის აზრი კარგად არის ჩამოყალიბებული ანდა-ზაში: მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენს! კი, ბატონო, ვიცი ეს ანდა-ზა როგორ წარმოიშვა, ბატონყმური წყობილება იყო, უსამართლო კანონები მოქმედებდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაშინდელი კანონები ბატონყმობას იცავდა და, ამიტომ ყაჩაღობას სოციალური გამართლება ჰქონდა. კი, ეს ასეა, მაგრამ, დაუკვირდით, იმ ანდაზაში არც ბატონყმობაზე და არც კანონებზე არაფერია თქმული. ასეთია საზოგადოებრივი აზრი. იგი კი, ზოგ შემთხვევაში, კანონზე ძლიერია. კანონები კი შეიცვალა, მაგრამ მდიდარი და შედარებით ღარიბი მაინც დარჩა. ის მდიდრები, ზოგჯერ სწორედ უკანონოდ არიან გამდიდრებული. სუხიაშვილს თხოუმეტი მანეთის მეტი არაფერი წაუღია. ისიც იმიტომ უნდოდა, რომ მიმისთვის ვალი დაებრუნებინა. მაშამისი, ახლა, აქ გვესწრება, ამიტომ, უნდა ვთქვა. ასეთი მამის შვილს შეეძლო სხვანაირი დახმარება გაეწია გაპირებული მეგობრისათვის? ახლა, არ ღირს ამ თემაზე საუბრის გაგრძელება. ჩვენს სათქმელს დაგუბრუნდეთ. დაუკვირდით შექმნილ მდგომარეობას! ჩვიდმეტი წლის ბიჭმა მდიდარ მევახშეს ფული წაართვა და გაპირებულ კაცს მისცა. სოციალისტური ქვეყნის სასამართლო იმ მევახშეს დაზარალებულს უწოდებს, ბიჭს კი მკაცრად დასჯას უბრუნებს... თუ ამ ბიჭს დღეს სასამართლო ღმობიერად მოექცევა, მისგან კაცი დადგება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან ჩამოყალიბებულ, ძალზე საშიშ დამნაშავეს შევქმნით. ამ ბიჭის აზრით, მევახშის გაძარცვა უსამართლობა არ არის. ეს აზრი მართლაც არ არის სამართლიანობას მოკლებული, ოღონდ, სამართლის დამყარების ეს ხერხი არ არის სწორი. მისი საქციელი ახალგაზრდული შეცდომაა და არა — გამოუსწორებელი ბოროტება. მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივი არ იყო ანგარება — გაპირებულისათვის ხელის გაწვდენა სურდა. ეს ერთი! არასრულწლოვანია. ეს ორი! პირველად შეცდა. ეს სამი! საქვეყნოდ ცნობილი ოჯახის შვილია. ერთი წამითაც კი არ უცდია საკუთარი მონაწილეობის დაფარვა... — დამცველი შეჩერდა. მცირე ხანს თავჩაღუნული იდგა, შემდეგ, მოსამართლეს გაუხსურა თვალი, — მისთვის პირობითი მსჯავრდო კი მიიმე ტვირთი იქნება! აი, ეს იყო ჩემი სათქმელი!

— სამართალში მიცემული გრძელიძე! — ხმა-მალა თქვა სასამართლოს თავმჯდომარემ, — რას თხოვთ სასამართლოს საბოლოო სიტყვით?

გრძელიძე არც კი შერხეულა, ისე ჩაილაპაკა: — საბოლოო სიტყვაზე უარს ვაცხადებ! თავმჯდომარემ სიტყვა ბაბუურს მისცა.

ბაბუური წამოდგა: — მეტს აღარ ვიზამ... თუ შეიძლება... რაც შეიძლება, გთხოვთ, მაპატიოთ! — ძლივს წარმოთქვა მან და მაშინვე დაჯდა.

თავმჯდომარემ სუხიაშვილს მიმართა. — ჩემი სათქმელი დამცველმა მოგახსენათ. უკეთესად ვერაფერს მოგახერხებ.

— სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად! — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

განაჩენით მიხეილ ილიას ძე გრძელიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის II ნაწილით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ იგი ადრე ორჯერ იყო ნასამართლევი ქურდობისათვის და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენით გრძელიძე ცნობილ იქნა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

ივანე ვახტანგის ძე ბაბუური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის II ნაწილით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ იგი ადრე არ იყო ნასამართლევი, აგრეთვე, გულწრფელად აღიარა დანაშაული და მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ირაკლი დავითის ძე სუხიაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის II ნაწილით. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ იგი ადრე არ იყო ნასამართლევი, აღიარა დანაშაული, აგრეთვე, ისიც რომ არასრულწლოვანი იყო და მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის საკასაციო ვადად განისაზღვრა ხუთი დღე. ბიძინამ კითხვა დაამთავრა, საქალაქდ ბუხრის თავზე შემოდა. ადგა, მუხლი გამართა. მაშამაც მას მიბაძა. კარგა ხანს უხმოდ სციმდნენ ბოლთას.

— ის საწყალი ბიჭი ციხეში ჩასვით, დავლაშელიძეებს კი თავზე ხელი გადაუსვით. არ უნდა იყოს სწორი. კაცმა რომ თქვას, იმ ყაჩაღობის მიზეზი მევახშეები იყვნენ, — წამოიწყო მაშამი.

— მევახშეობა დანაშაულია, ჩვენი კანონით ისჯება. სასამართლომ ამის თაობაზე საფანჯბო განჩინება გამოიტანა. მე აღარ ჩავძიებვიარ, მაგრამ იმ განჩინების საფუძველზე პროკურატურა დავლაშელიძეების საქმიანობას გამოიკვლევდა. მათი მევახშეობა თუ მართლად დამტკიცდებოდა, სასამართლოს გადასცემდნენ.

მაშამი ზურგით მიეფიცა ბუხარს...

— კი, ბატონო, იმ ბიჭებმა დანაშაული ჩაიდინეს, სასამართლომ მიუსაჯა. ამით დამთავრდა ყველაფერი?!

— მეტი რა გინდა?

— ხომ უნდა გავრეკვიათ დანაშაულის მიზეზები! არ ვიცი; ასე შუაგზაზე გაჩერება თუ შეიძლება...

— სასამართლოს, რაც შეუძლია, ცდას არ აკლებს, იკვლევს. იმ სასამართლომ ამის შესახებ კერძო განჩინებაც გამოიტანა. მასში აღნიშნული იყო დანაშაულის ხელისშემწყობი რამდენიმე პირობა. ჩამოვთვალოთ. გრძელიძე ჩამოყალიბებული ქურდი იყო. არსად მუშაობდა. მუქთახორობა ჩვენი კანონმდებლობით ისჯება. მას რომ მუშაობის ყალბი ცნობა არ ჰქონოდა, მართლა იმუშავებდა, ანდა, უარეს შემთხვევაში, მუქთახორობისთვის დასჯიდნენ. მაშინ, ვინ იცის, აღარც ის ყაჩაღობა იქნებოდა. ეს ერთი! მილიციაც რომ უფრო ცოცხლად გარჯილიყო, დანაშაულს დროზე აღკვეთდა. ეს ორი!

— ბაბეური და სუხიაშვილი?

— კერძო განჩინებაში არც ესენი დაგვიყენიათ. ბაბეურის ბედით არავინ შეწუხებულა მის სოფელში. არც სასოფლო საბჭომ, არც კოლმეურნეობამ, არც მისმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ არ იზრუნა, უკან დაებრუნებინა ხელმოცარული ახალგაზრდა. როგორც ჩანს, მშობლებსაც ერცხვინებოდათ უფროსი ვაჟის მარცხის გამქდაცნება. სუხიაშვილს არც ოჯახიშვილობა აკლდა, არც — განათლება. რომ დაკვირვებოდნენ, დროზე შეიტყობდნენ სკოლაში ამ ბიჭის ცუდ გზაზე დადგომას. ან პედაგოგიკური საღ იყო, ან კომკავშირული ორგანიზაცია... სასამართლომ კერძო განჩინება სათანადო ორგანოებს გადაუგზავნა. იქ უფრო დაწვრილებით გამოიკვლევდნენ ყველაფერს და, იმედია, სათანადო ღონისძიებებსაც დასახავდნენ სამერმისოდ.

მცირე ღუმლის შემდეგ ისევ მაიამ დაილაპარაკა:

— კი, ყველაფერი სწორია, მაგრამ მთავარი ძარღვი გაგირბის ხელიდან. რაც შენ ჩამოთვალე, ეს არ არის მიზეზი. წუხანდელი ჩვენი სუბურის შემდეგ ერთი შედარება მოვიფიქრე: დანაშაული ხანძარს ჰვავს. ვთქვათ, ქალს უთოს გამოთიშვა დაავიწყდა, მაგიდაზე დატოვა და შინიდან გავიდა. მაგიდას ცეცხლი წაეკიდა, მაღე კი ხის სახლს მოედო. სანამ ტყიბულს ან ქუთაისს ამას შეატყობინებ და იქიდან სახანძრო მანქანები მოვა, მთელი სოფელი გადაიწვება. წყალსადენი არ არის, რომ იმით მაინც უშვე-

ლო. წყაროდან მოტანილი წყლით რას გააწყობ! რა იყო ხანძრის მიზეზი? კი, სახლი რომ ქვის ყოფილიყო და მაგიდა რკინის, ხანძარი არ გაჩნდებოდა. ნაძვაში რომ სახანძრო რაზმი გვეყავდეს, დროზე ჩააქრობდა. წყალსადენი რომ იყო, ესეც ნამეტანი კარგი, მაგრამ ყველაფერი ეს, გინდა ერთად აღებული, ხომ არ იყო ხანძრის გამომწვევი? ხანძარი ხომ დიასახლისის უყურადღებობით დაიწყო?

— კი. მიზეზი დიასახლისი იყო, სხვა დანარჩენი კი — ხელისშემწყობი პირობა. მაგარი ხარ, მაიამ, მაგარი! გავლთ მე და შენ ბოლოში! — გაიტყნა ბიძინამ.

— გოჩაც წავიდვანთ?

— აუცილებლად!

— მიგბრუნდეთ! რა გამოდის?! ის სასამართლო პროცესი დანაშაულის ნამდვილ მიზეზებს არც შეხება.

— იგი შეეხო დანაშაულის იმ ხელისშემწყობ პირობებს, რაც პროცესის დროს გამოვლინდა. ძირეული მიზეზი ისე რთული და ძნელად მისაგნებია, რომ სასამართლოს მის მიკვლევას ვერ მოვხზოვთ. არც ევალება.

— აუ-უ! — შეიცხადა მაიამ. — იმიტომ დაგვისეცე შუალამამდე აქ, რომ ბოლოს ეს გეთქვა?! ბიძინა გაღიმებული სახით უყურებდა ხან მაიას, ხან გოჩას.

— ეჰ! — ხელი ჩაიჭნია მაიამ, — აფსუსს, დღეს გრიშა მხეიძესთან ვიყავი დაპატიჟებული. ერთ კარგ სიმღერას მაინც მოვისმენდი... მოხეტიალე ბანს მეც ვეტყვადი რამეფრად.

— მე ჯერ არ მოთქვამს საბოლოო სიტყვა, — ღიმილი არ მოშორებია მასპინძელს, — ასე ნუ ჩქარობ! შენ რომ კითხვა დასვი, იმაზე მოკლე პასუხი არ არსებობს.

— არსებობს კი, საერთოდ?

— არსებობს!

მაიამ მოლოდინით მიაჩერდა ბიძინას:

— არის კიდევ რამე?

— ეს მხოლოდ ქურნალი იყო. ხვალ განვავრძობ დანარჩენი, თუ ვინმესთან არ ხარ დაპატიჟებული.

— დამპატიყებელს რა გამოლევს ამ სოფელში, მით უმეტეს, ზამთარში. მამაპაპური ბუხრის სითბო და სინათლე ყველგან ერთნაირია.

— სამაგიეროდ, შენს კითხვაზე პასუხს მხოლოდ ამ ბუხართან მოისმენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



სიცოცხლის მტრები

ვიღრმ ჩვენს რიგებში ერთი ნარკომანიც კი გვევლება, ცხდია, გულდამშვიდების უფლება არავის გვაქვს, რადგან ეს ისეთი საშიში და მავნე სენია, რომ ვისაც შეეყრება, თუ დროზე არ ვუშველეთ, სულიერად და ხორციულად ძარცვავს და ანადგურებს. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები, მთელი საზოგადოებრიობის მხარდამხარ, დაუნდობლად იბრძვიან „თეთრი სიკვდილის“ წინააღმდეგ, ძალისხმევას არ აკლებენ, რათა დროულად გამოავლინონ და ჩვენსკენ შემოაბრუნონ ნარკოტიკების ტყვეობაში მოქცეულები...

* * *

ბიზ დავითის ძე რაიმოვი ჭერსულ 28 წლისაა, მაგრამ საკმაოდ „მდიდარი“ ბიოგრაფია აქვს — ნასამართლევი ქურდობისათვის. თითქოს ეს მისთვის მწარე გაკვეთილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მუქთახორობასა და ავუია ცხოვრებას მიჰყო ხელი, „გემო“ გაუსინჯა ნარკოტიკულ ნივთიერებებს და მალე ამ საბედისწერო „ჭაშნიკმა“ სავალალო შედეგთან მიიყვანა — კურტაკის ჯიბეში 0,8 გრამი ოპიუმის აღმოუჩინეს. რა ხრიკს აღარ მიმართა სასჯელისაგან თავის დახსნისათვის, მაგრამ არ გაუვიდა და აღიარა — ქ. მარნეულში, ბაზარში, უცნობი პირისაგან შევიძინე 80 მანეთად. ყოველმხრივ ძვირად დაუჯდა გაა რაიმოვს ეს ნაბიჯი — ორ წელსა და ექვს თვეს გაატარებს სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში. იქნება, ახლა მანაც მოეგოს გონს.

* * *

მრმველი გაიკ სერიოზუს ძე ავეტიანი მოგზაურობის დიდი ტრფალია — დღეს რომ ერევანში იყო, ხვალ მოზდოკში ამოყოფდა თავს ზეგ კა ჩვენს რესპუბლიკის დედაქალაქს დასდებდა პატევს. ასე დააჯირითებდა აღმადამა ავტომანქანას ერევნელი მტვირთავი შხამის საძებნელად, მაგრამ კოკა, როგორც წესი, წყალზე ტყდება — თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკებმა ავტომანქანაში სა-

გულდაგულოდ გადამალული 7 გრამი ჰაშიში აღმოუჩინეს.

ორი წელი, რასაც გაიკ ავეტიანიანი შრომა-გასწორების დაწესებულებაში გაატარებს, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ კარგად ჩაუფუჭრდეს თავის ცხოვრებას და სამომავლოდ სათანადო დასკვნებიც გააკეთოს.

* * *

თბილისელი დავით შალვას ძე ჯანდავაშვილი მოწიფული ასაკის კაცია, უმაღლესი განათლება მიიღო, ოჯახი შექმნა, მაგრამ პატიოსანი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ჰირივით შეიძულა, სამაგიეროდ, მართლაც რომ ჰირი — ნარკოტიკები, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, საკუთარ თავს ერჩია. არაფერს ერიდებოდა მათ მოსაპოვებლად. ამჯერად კი ქ. კიროვადის საკოლმეურნეო ბაზარს მიაკითხა და უცნობი პირისაგან 150 მანეთად (უმუშევარმა?) 190 გრამი ყაყაჩოს ნამჯა, ეგრეთწოდებული, „ოკნარი“ შეიძინა, მაგრამ გამოყენების დრო კი აღარ მისცეს — ამხილეს და წელიწადნახევრით ჩამოაშორეს საზოგადოებას. „პროფესიონალ“ ნარკომანს იძულებითაც უმკურნალებენ, მაგრამ საკუთარი მომავალი მანაც თვით დავით ჯანდავაშვილის ხელშია და იმედი გვაქვს, რომ გამოიჩინებს საჭირო ნებისყოფას, რათა საბოლოოდ დააღწიოს თავი ამ მომაკვდინებელ სენს და გამოჯანსაღებული დაუბრუნდეს თავის ოჯახს, საზოგადოებას.

პირველად საჭიროთა კავშირში

უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის რკინიგზაზე დაინერგა საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციის საქმეში გამომთვლელი ტექნიკის გამოყენების სისტემა. დაგროვდა საკმარისი გამოცდილება, რომლის შემდგომ გავრცელებასაც მიეძღვნა მიმდინარე წლის 26-27 მარტს ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურაში გამართული თათბირი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი რ. შიშინანი. რკინიგზის ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში, თქვა მან, კანონების შესრულების საპროკურორო შემოწმების პროცესში უნდა გაანალიზდეს კომერციული აქტების რეგისტრაციის სიები, რომლებსაც აწარმოებენ რკინიგზის სადგურები. აქტებში აღინიშნება კომერციული აქტების შინაგან საქმეთა ორგანოებში გაგზავნის შესახებ. ეს და სხვა მონაცემები აუცილებლად უნდა შედარდეს ტრანსპორტის შინაგან საქმეთა განყოფილების დანაშაულის აღრიცხვის წიგნის მონაცემებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემოწმებები საჭიროა ჩატარდეს რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც. მთელი ეს სამუშაო ადრე ხელით სრულდებოდა და მოითხოვდა გაცილებით მეტ დროს. გამომთვლელი მანქანის ამოცანათა კომპლექსში შედის: ტვირთის დატვირთვის თაობაზე ინფორმაციის რეგულარული შეკრება, შენახვა, დამუშავება და შინაგან საქმეთა განყოფილებაში მასალების გადაწვევების შედეგების სტატისტიკური ანგარიშების შედგენა. ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურაში განხორციელებულმა აღნიშნულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო. კერძოდ, ტვირთის დატვირთვის შედეგად მიღებული ზარალი გასულ წელს 1985 წელთან შედარებით მშ.4 ათასი მანეთით ნაკლები იყო. შემ-

დეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმ სიძნელებზე, რომლებიც ახლავს საპროკურორო საქმიანობის პრაქტიკაში აღნიშნული სიახლის დაწერვას. გამოთქვა რწმენა, რომ ეს სიძნელები სრულად იქნება გათვალისწინებული ამ სისტემის მეორე რიგის დაწერვის პროცესში, რითაც შეიქმნება ფართო ამოცანათა გადაწყვეტისათვის აუცილებელი ტექნიკური ბაზა.

თათბირზე გამოვიდნენ მოსკოვის ტრანსპორტის პროკურორი დ. ი. ტრუშინი, მოსკოვის ტრანსპორტის პროკურატურის განყოფილების უფროსი ი. ი. ხორიანი, ქ. მოსკოვის ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსის მოადგილე ბ. ბ. მარტიუჩინა, ვნუკოვოს საწარმოო გაერთიანების საინფორმაციო გამომთვლელი ცენტრის უფროსი ბ. რ. ტარბაშაძე, მოსკოვის რკინიგზის საინფორმაციო გამომთვლელი ცენტრის უფროსის მოადგილე ვ. ი. მალნიშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის საინფორმაციო გამომთვლელი ცენტრის ინჟინერ-ტექნოლოგი ბ. ი. გორბიშვილი. მათ მაღალი შეფასება მისცეს ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურაში გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით მიღებულ გამოცდილებას, გამოთქვეს სურვილი, რათა ეს გამოცდილება დროულად დაინერგოს მოსკოვის რკინიგზაზეც. ამასთან, ავტომატიზირებული სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები, აღნიშნეს, რომ ამ საქმეში აუცილებელია მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილე ნ. ბაშაძე და პროკურორის უფროსი თანაშემწე ვ. უსტაშვილი.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება.



ზონალური სკოლა-სემინარი

სამართმელოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალურ რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში მიმდინარე წლის 11-16 მაისს სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასამართლო-საბუღალტრო და საგეგმო-ეკონომიკურმა განყოფილებაში ექსპერტ-ეკონომისტებისათვის ჩატარა ზონალური სკოლა-სემინარი თემაზე „სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის წარმოების პრაქტიკის სრულყოფა და საგეგმო-ეკონომიკური ექსპერტიზის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები“.

სკოლა-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. მოსკოვის, სტავროპოლის, როსტოვის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის სსრ, დაღესტანისა და ჩეჩენო-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების საექსპერტო დაწესებულებათა 80-ზე მეტმა თანამშრომელმა. მოისმინეს 80 ლექცია, მოხსენება და ცნობა.

სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასამართლო-საბუღალტრო და საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ბ. სტამპუტინაშვილის მოხსენებაში ხაზი გაესვა, რომ სასამართლო-საბუღალტრო და ეკონომიკურ გამოკვლევათა ახალი მეთოდების შემუშავება და სრულყოფა არამარტო ექსპერტიზის, არამედ სამეურნეო საქმიანობის სფეროში მომხდარ დანაშაულობათა გამოძიების ხარისხის ამაღლების ძირითადი გზაა.

სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის სექტორის გამგე ი. ნ. ოჩინიკოვა ილაპარაკა აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის კვლევის ანალიტიკური საინფორმაციო-ნორმატიული მეთოდების სისტემაზე; კერძოდ, ელექტროგამომთვლელი მანქანის გამოყენებით სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ავტომატიზაციის შემუშავების მიმდინარეობაზე.

ამავე ინსტიტუტის საგეგმო-ეკონომიკური სექტორის გამგე მ. ბ. პლიშკინმა წაითხა ლექცია. მან სასამართლო-ეკონომიკური ანალიზი განიხილა როგორც სასამართლო ეკონომიკური ექსპერტიზის თეორიული საფუძველი.

სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეების შეჩერებისა და დაბრუნების მიზეზები დაწვრილებით გაანალიზა თავის მოხსენებაში ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. მახარაძემ.

ექსპერტიზის ცალკეული საკითხების ირგვლივ დაგროვილ გამოცდილებაზე ისაუბრეს ვ. ვ. ბრუსტანინამ, მ. მ. ჰუსეინოვამ, ვ. მ. ბალკარინამ, ბ. ნ. ოპრუტკინამ და სხვა ექსპერტებმა.

ერთხმად აღინიშნა, რომ ასეთი სკოლა-სემინარების ჩატარება ხელს შეუწყობს ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებას. და სასამართლო-ეკონომიკური ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებას.

წიგნის თაროს შეამატა!

ახალი გამოცემები

ზ. წულაია, „სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდაა და ხელშეუხებელი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986 წ.

ნაშრომში მოცემულია სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება. მისი ძირითადი არსი ის არის, რომ სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდაა და ხელშეუხებელი, არავის აქვს უფლება ანგარებით იყენებდეს მას.

გ. ნადარეიშვილი, „ნარკვევები სამართლის ისტორიიდან“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986 წ.

წიგნში წარმოდგენილია ნაშრომები სამართლის ზოგადი ისტორიიდან. აღსანიშნავია პირველი ცდა, როცა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ჩინური სამართლის ისტორიის ძირითადი თავისებურებები.

ო. ეჯიბაძე, „სიფხიზლისათვის ბრძოლა მთელი საზოგადოების საქმეა“ (ლექტორის დასახმარებლად), თბილისი, „ცოდნა“, 1986 წ.

ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

ე. ა. ზორჩენკო, „ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის აღზრდა“ (Воспитание правовой культуры молодежи, მინსკი, 1986 წ.).

წიგნი გვაცნობს ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ფორმირების შინაარსს, გზებსა და საშუალებებს, იკვლევს ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობის პრობლემებს და მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედობის მიზეზებს. ნაშრომი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

ა. დ. ვახიანი, **ვ. ა. ბელიაკოვი**, „პროკურატურა და დანაშაულის თავიდან აცილება“ (Прокуратура и предупреждение преступности) ლენინგრადი, 1987 წ.

ბროშურაში გადმოცემულია ლენინგრადის პროკურატურის ნოვატორული მუშაობის მეთოდები დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში. აქვე საინტერესოა მოთხრობილი კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის რეზერვებზე. იგი განკუთვნილია ლექტორების, სამართალდამცველი ორგანოებისა და ფართო მკითხველისათვის.

„კრიმინალური მოტივაცია“ ((Криминальная мотивация), ავტორთა კოლექტივი, მოსკოვი, 1986 წ.

ნაშრომი ეძღვნება დანაშაულებრივი ქმედობის მოტივაციის, სტრუქტურის და დინამიკის საკითხებს, განიხილავს დანაშაულთა მოტივების კლასიფიკაციას. მონოგრაფიაში გამოყენებულია კრიმინალისტური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის მასალები.

„საბჭოთა სამართლის საფუძვლები“ (Основы Советского права), მოსკოვი, „იურიდიული ლიტერატურა“, 1986 წ.

ეს წიგნი გათვალისწინებულია სტატისტიკური სამართალმცოდნეობის მუშაკთათვის. მასში განხილულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითადი დებულებები სახელმწიფოსა და სამართალზე, აქვე გათვალისწინებულია ეკონომისტთა, ბუღალტერთა და აღრიცხვის სხვა მუშაკთა სპეციფიკა.

ლ. ი. სპირიდონოვი, „სისხლის სამართლის სოციოლოგია“ (Социология уголовного права), მოსკოვი, „იურიდიული ლიტერატურა“, 1986 წ.

წიგნში განმარტებულია სამართლებრივი მოვლენების სოციოლოგიური ინფორმაციის მნიშვნელობა და განკუთვნილია იურიდიული, ფილოსოფიური და სოციოლოგიური დარგის მუშაკთათვის.

„საბჭოთა კრიმინოლოგიის კურსი“ (Курс Советской криминологии), მოსკოვი, „იურიდიული ლიტერატურა“, 1986 წ.

წიგნი გამოსცა დანაშაულის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივმა. მასში გაშუქებულია დანაშაულის თავიდან აცილების მეცნიერული კვლევის საგანი, სტრუქტურა და პერსპექტივები, განხილულია დანაშაულის თავიდან აცილების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, მშრომელთა დებუტეტების საბჭოების, შინაგან საქმეთა ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანიზაცია და თავისებურებანი. იგი განკუთვნილია მეცნიერ-იურისტებისათვის, უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის.

ა. გ. ბიკოვი, დ. ი. პოლოვნიჩი, „ავტოტრანსპორტის სამართლის საფუძვლები“ (Основы автотранспортного права), მოსკოვი, „იურიდიული ლიტერატურა“, 1986 წ.

სახელმძღვანელო მომზადებულია ავტოტრანსპორტის სამართლის პროგრამის შესაბამისად. მასში განხილულია საბჭოთა ავტოტრანსპორტის სამართლის ცნება, პრინციპი, საგანი და წყაროები, ავტოტრანსპორტის მართვის სამართლებრივი ორგანიზაცია, ტვირთის გადაზიდვის, დაგეგმვის სამართლებრივი საკითხები და სხვა.

„საბჭოთა სამოქალაქო სამართალი“, I ნაწილი (Советское гражданское право), მოსკოვი, 1986 წ.

წინა გამოცემებთან შედარებით ამ სახელმძღვანელოს სტრუქტურა არსებითად შეცვლილია, ვინაიდან მას საფუძვლად დაედო სამოქალაქო სამართლის ახალი პროგრამა. ცალკეული თავები წინა გამოცემებში არ იყო გათვალისწინებული. ზოგიერთი თემა გადაისინჯა და განაზღვრა პართიული დირექტივებისა და უახლესი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ი. პ. პროკოპჩენკო, „საბინაო და საბინაო-სამშენებლო კანონმდებლობა“ (Жилищное и жилищно-строительное законодательство), საცნობარო სახელმძღვანელო, მოსკოვი, „სტრო-ობლატი“, 1986 წ.

სახელმძღვანელოში გაშუქებულია საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის წესი, მშენებელთა მიერ მიწათსარგებლობის პირობები ახალი საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად, გაშუქებულია საბინაო მეურნეობის ორგანიზაციის საკითხები, საბინაო ფონდის ექსპლოატაციის, საბინაო ფართობის ქირავნობისა და მოვლა-პატრონობის ძირითადი დებულებები.

ს. საბიკენოვი, „სამართალი და სოციალური ინტერესები“ (Право и социальные интересы в период социализма), ალმა-ატა, 1986 წ.

ნაშრომი იკვლევს სამართლისა და სოციალური ინტერესების ურთიერთმიქმედების თეორიულ პრობლემებს სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები და რეკომენდაციები. წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-მუშაკთათვის, რომლებიც იკვლევენ სამართალმცოდნეობას და სოციოლოგიას. იგი კარგ სამსახურს გაუწევს აგრეთვე მასწავლებლებს, ასპირანტებს, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს.



ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

მაფიის ისტორია

დიდი გულარი

იგი არ იმალება

მაფიის წევრისათვის ისიც დამახასიათებელია, რომ იგი არ იმალება, თვალს არ ეფარება როგორც რომელიმე ვულგარული ბანდიტი ან ვთქვათ, როგორც ჭულიანო. არა, იგი ყველას თვალწინ ცხოვრობს, მას საპატიო მღვდმარეობის შექმნაც კი სურს, რათა უზრუნველყოს თანამოქალაქეთა მოკრძალებული დამოკიდებულება მისადმი და იმის შესაძლებლობა, რომ შინ მიიპატიჟოს ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მაგალითად, ღონ კალო, მაფიის მრავალი სხვა ლიდერის მსგავსად, თავისი ქალაქის მერია გახლდათ.

როგორც წესი, წარმატების მიღწევის ყაზმს მაფიის ხელმძღვანელი უკვე ახალგაზრდა აღარ არის. ასაკი მისი გამოცდილების გარანტიას იძლევა. ის ფაქტი, რომ იგი გადარჩა, მოწმობს მის მოხერხებულობას. ეს კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ლეგენდარულადაც კი იქცა, მაშინ, როცა მისი პრინციპები მეტად უბრალოა. კერძოდ, სუსტების მიმართ შეუბრალებელი უნდა იყოს, ხოლო ძლიერთან მოხერხებულო მანიპულაციები შეეძლოს. ცხადია, იმისათვის, რომ თავისი მოქმედების თავისუფლება უზრუნველყოს, მაფიის ხელმძღვანელი გაურბის პოლიტიკაში ჩარევას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი გულგრილობას იჩენს პოლიტიკისადმი. სრულიადაც არა, მაგრამ ამ არჩევანს განსაზღვრავს მხოლოდ მისი ინტერესები. მან შეიძლება მიადწიოს, კენჭი უყარონ, როგორც ქრისტიან-დემოკრატს საპარლამენტო არჩევნებში და როგორც კომუნისტს მუნიციპალურ არჩევნებში. როგორც წესი, იგი მეტად ცოტას ლაპარაკობს, იშვიათად ლებულობს ვალდებულებას და არასოდეს არავის არაფერს პირდება. ცდილობს თავი აარიდოს პოლიტიკასა და აღმინისტრაციას, ურჩევნია ისინი „იყიდოს“ ყოველთვის, როცა ამის საშუალება მიეცემა. იარაღის დიდი მოყვარულია და მზად არის სოლიდური

თანხა გაიღოს იარაღის ტარების უფლების მოპოვებისათვის. იგი ღვთისმოსავი არ არის, მაგრამ ცდილობს კარგი დამოკიდებულება იქონიოს ეკლესიასთან, ხოლო მრევლის მღვდელთან ხშირად მეგობრობს კიდევ. მისი მთავარი საზრუნავია ძლევამოსილების მოპოვება. მას მიაჩნია, რომ ამისათვის ერთადერთი გზაა სიმდიდრის მოხვეჭა. აი, სწორედ აქ არ თაკილობს იგი არაფერს — მისთვის ყველა საშუალება მისაღება, თუ ის იძლევა სასურველ შედეგს: ეს არის ქურდობა, შანტაჟი, გამოძალვა, მკვლელობა, სხვისი დამცირება, მისი გალატაკება ან გააკოტრება და ა. შ. ამ ამოცანის განხორციელებას ბევრად უადვილებს სუსტებისადმი ზიზი და სახელმწიფოსა და მისი კანონების აბუჩად აგდება.

მაგრამ ყოველივე აქედან ვერ დავასკვნით, რომ მაფიის წევრი ამორალურია. პირიქით, მას გააჩნია საკუთარი მორალი, რაც ცხადდ არის განსაზღვრული მრავალი სიცოციური გამოწვევებით: „ფულისა და მეგობრობის პატრონს მიმიფურთხებია მართლმსაჯულებისათვის“, „სახრჩობეა — სუსტებისათვის, ხოლო მართლმსაჯულება — მხალხებისათვის“, „თუ ვინმემ მოიკლო არსებობის საშუალება, წაართვი მას სიცოხლევ“, „გავლენიანი მეგობარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯიბეში ასი უნცია“.

მაფიის ძალა და ერთსულოვნება მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფილია მისი თითოეული წევრის ხელმძღვანელებისადმი უსიტყვო მორჩილებით, აგრეთვე მაფიის მიერ შემუშავებული მკაცრი წესების დაცვით. ეს წესები ქვეშაირთად „ღირსების კოდექსია“, რომლის დაცვისათვისაც ფიცს ღებს ყოველი ახალბედა.

„რომელი თითით განოკარავ ჩახმახს?“

1983 წელს ვალაქის მხილების შემდეგ, ძალიან ბეგრს წგრდნენ „კოზა ნოსტრაში“ ახალ-

ბედების მიღების ცერემონიალის თაობაზე. იცავენ თუ არა ამ ცერემონიალს სიცილიაზე, ჩვენთვის უცნობია და გვეუბნება კიდევ, რამდენადღაც იქ მამია წარმოადგენს ერთ მთლიან ოჯახს. აქ მორჩილების თაობაზე ადგილობრივი თავკაცისადმი უბრალო შეპირება ყველა ფიცს უდრის. შეერთებულ შტატებში კი სრულიად სხვაგვარი პირობებია: აქ მომავალ „ჯარისკაცთა“ გადმობირება უფრო დელიკატური საქმეა და მოითხოვს გაცილებით მეტ სიფრთხილეს, ამიტომ არ გაგვიჩნია საფუძველი, რათა ექვეყნებ დავაყენოთ ის, რაც ვალაკმა მოუთხრო ბიტერ მასს 1930 წელს მარანძანოს ოჯახში მისი შესვლის თაობაზე:

— ვიტყვი, რომ სუფრასთან 40 კაცი იჯდა; როცა მე შევედი, ყველა წამოდგა. აქ ერთმანეთში იყვნენ არეულნი ყველანი — კასტელამარიელები და ისინიც, ვინც ტომ გალინოსთან იყვნენ; მაშასადამე, ისინი შეადგენდნენ ერთ მთლიანს... შემდეგ მარანძანომ შემომთავაზა დავმჯდარიყავი მის მარჯვნივ ცარიელ სკამზე. ვილაკამ ჩემს წინ დალაგა რევოლვერი და დანა... მარანძანო მობრუნდა ჩემსკენ და იტალიურად მითხრა: „ეს იმას ნიშნავს, რომ შენ იცხოვრებ და იარსებებ რევოლვერითა და დანით“. შემდეგ მკითხა: „რომელი თითით გამოჰკრავ ჩახმას?“ მე ვუბასუხე: „ამით“, — და ავწვი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი. შემდეგ შემომთავაზა ხელებით ფილა გამეკეთებინა, ვფიქრობდი, ნეტა რას გულისხმობს-მეთქი. მან კი ხელებში ქაღალდის ნაგლეჯი ჩამიღო, ასანთით ცეცხლი მოუქიდა და მითხრა, რომ ქაღალდის გადაადგილების დროს უნდა გამემოვრებინა მისი ნათქვამი: „აი ასე მოგკვდები, თუ გავცემ „კოზა ნოსტრას“ საიდუმლობას...“ ამის შემდეგ მარანძანომ თქვა: „აი, ყველაზე მთავარი ორი რამ; კარგად დაიმახსოვრე. „კოზა ნოსტრას“ საიდუმლოების გაცემა ნიშნავს სიკვდილს გაუსამართლებლად. ნებისმიერი წევრის ცოლის გაუპატიურება აგრეთვე სიკვდილია გაუსამართლებლად“.

შემდეგ მარანძანომ კენჭისყრა მოაწყო თუ ვინ იქნებოდა ვალაკის „ნათლია“. ეს წილად ხვდა ჯო ბონანოს. მან ახალგაზრდა კაცს სთხოვა ის თითი გაეწოდებინა მისთვის, რომლითაც იგი გამოჰკრავდა ჩახმას, ქინძისთავით უჩხვლიტა და სისხლი გამოადინა. მაშინ მარანძანომ თქვა: „ეს სისხლი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ერთი ოჯახი ვართ“.

როგორც ვხედავთ, ამ ცერემონიალს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მისი აზრი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ახალბედაზე მოახდინოს შთაბეჭდილება და აიძულოს იგი მრავალრიცხოვან მოწმეთა თანდასწრებით იკისროს ვალდებულება. და ბოლოს, მან უნდა იცოდეს, რომ მისი ვალდებულება საბოლოოა.

მაფიაში შედიან სამულდამოდ. მხოლოდ სიკვდილი წყვეტს ამ კავშირს.

„პატივცემულ საზოგადოებაში“ შესვლისას სიცილიელი „პიოტო“ ან ამერიკელი „ჯარისკაცი“ პირობას დებენ, რათა დაიცვან დაახლოებით ერთიდაიგივე „ღირსების“ კოდექსი“. მარტინ ვ. დაიზინგის ამ „კოდექსს“ აყალიბებს ხუთ ძირითად პრინციპად:

1. მაფიის წევრები ეხმარებიან ერთმანეთს, როგორც არ უნდა იყოს ამ დახმარების ხასიათი;

2. ისინი კისრულობენ სრულ მორჩილებას ზემდგომის წინაშე;

3. მაფიის ერთი წევრის მიმართ ნებისმიერი ხელყოფა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ითვლება ყველას მიმართ ხელყოფად; ყველა ღონე უნდა იხმარონ რათა შური იძიონ ამისათვის;

4. როცა საჭირო ხდება მართლმსაჯულების განხორციელება, ამისათვის სამოქალაქო ხელისუფლებას კი არ უნდა მიმართონ, არამედ თვით მაფიას. სწორედ ის ასამართლებს, სწორედ მას გამოაქვს განაჩენი, სწორედ ის აღასრულებს განაჩენს;

5. თუ ვინმე, რა მიზეზებითაც არ უნდა იყოს, გათქვამს ორგანიზაციის წევრთა სახელებს, იგი უნდა მოკლას ნებისმიერმა ნებისმიერ დროს; შური უნდა იძიონ არამარტო მასზე, არამედ მთელ მის ოჯახზეც.

ეს უქანასკნელი, უეჭველია, ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევეჩერდეთ მაფიის ორ მთავარ პრინციპზე: წრიული თავდებობა და სისხლიანი შურისგება.

წრიული თავდებობა (მეგრება)

მაფიის უჩვეულო სიცოცხლისუნარიანობას ხელს უწყობს წრიული თავდებობა, ღუმილის კანონი. ისეთი შთაბეჭდილება კი იქმნება, რომ წრიული თავდებობა, სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, მაფიამდეც არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, წრიული თავდებობის გარეშე მაფია ვერასოდეს იარსებებდა. ღუმილი და სამოქალაქო ხელისუფალთა მხრიდან დაცვის მიღწევა, უეჭველად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კანონებს, რომელთაც უნდა დემორჩილებოდნენ სიცილიელები, მათი საკუთარი კი არა, ოკუპანტების მიერ თავსმოხვეული კანონები იყო. თუ სიცილიელები ამ კანონებს დაიცავდნენ ან დაემორჩილებოდნენ მათ, ეს ცხადია, ნიშნავდა საკუთარი კანონებისადმი ღალატს. ამ ჩვევამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი, რომ მაფიის წევრი, რომელმაც, მართალია, ნებაყოფლობით ირჩია ამერიკის მოქალაქეობა, მაგრამ იგი კვლავ უარყოფს მისი ახალი სამშობლოს კანონებისადმი მორჩი-

ლებას. სიცილიელია თუ ამერიკელი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ მისთვის არ არსებობენ ამერიკის შეერთებული შტატების კანონები. წრიული თავდებობა არის ის პირველი წესი, რასაც უნერგავენ ახალგაზრდა სიცილიელს. იგი როგორც კი ამოიღავს ენას, მაშინვე ასწავლიან დუმისლს, ახლა უკვე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ყბადაღებული „დუმისლის კედელი“ გაცილებით უფრო სასარგებლო იყო მაფისათვის, ვიდრე სიცილიელი ხალხისათვის. ამ კედელს ამოფარებული მადია სრულიად დაუსჯელად ქმნიდა თავის ძლიერებას და აგროვებდა სიმდიდრეს მაშინ, როცა სიცილიელი ხალხის ხვედრი ყოველთვის სიღატაკე და მონობა იყო. სიცილიაზე დუმისლი ოქროსა მხოლოდ ზოგიერთებისათვის.

ცხადია, ოფიციალური კანონის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მადია ამკვიდრებდა თავის კანონს. ამ უკანასკნელთან ხუმრობა კი, არ შეიძლება. წრიული თავდებობის წესის უცილობელი დაცვისათვის მადიამ შემოიღო ვენდეტა (სისხლიანი შურისგება).

ვენდეტა

ვენდეტას ერთადერთი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს არის კანონი, რომელიც ადვილი გასაგებია. მისი განსაზღვრა მხოლოდ ერთ-აზროვანია: „ყველას მიმართ, ვინც არღვევს წრიული თავდებობის წესს, განხორციელდება ვენდეტა“. სხვაწიარად რომ ვთქვათ, ის, ვინც არ ემორჩილება მადიას, უნდა მოკვდეს. თუ ვენდეტას ერთადერთი დასასრული სიკვდილია, სამაგიეროდ მისი განხორციელება შეიძლება უსასრულო რაოდენობის ვარიანტებით. 1921 წელს პალერმოს პროკურორმა ეს ასე აღწერა:

„ვენდეტა ხორციელდება ბარბაროსულად, მხეცურად, მუხანათური საშუალებით, ჩასაფრებით სამართებლით, დანით, იარაღით, საწამლაგით, თავის მოკვეთით, მოგუდვით, ამასთან, გვამების წაბილწვით, მათ ასხამენ ნავთს და წვავენ, ან საშინლად ამახინჯებენ, აჭაოდა, ყველამ იცოდეს, თუ რა საშინლად ძლიერია მადია“.

ნუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი „დამახინჯებანი“ ისე, უბრალოდ ხდებოდა. მათ სრულიად კონკრეტული მოსაზრება გააჩნიათ, რაც გასაგებია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მაგალითად, მიქელე პანტალეონეს თქმით, პირში ჩაჩრილი ქვა იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი მომეტებულად ყბედობდა. თუ მოკვეთილი ხელი გვამს მკერდზე ადევს, ესე იგი, ეს არის ქურდის ხელი. მაგრამ სულერთი

როდია თუ ვის მოპარა: თუ მან „სხვები“ გაქურდა, მას, ცხადია, ამისათვის არაფერს აენებდნენ, მაგრამ თუ მადის წევრს მოპარა, ეს უკვე მიუტრეველი საქმეა. თუ მოკლულს ყელზე მოკვეთილი სასქესო ორგანოები შეაბეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან გააუბატიურა ან ეცადა გაეუბატიურებინა მადის წევრის ცოლი. ხდება ისიც, როცა დათხრილ თვლებს გვამს მუჭაში უწყობენ. ამჯერად ის არც ყბედი და არც ქურდია, უბრალოდ კარგი მსროლელი ყოფილა, მაგრამ ემსახურებოდა მათთვის მიუღებელ საქმეს და ა. შ. უმეტესად კი მადია თავს არ იწყუბებს სასიკვდილო აღსასრულის მიზეზის განმარტებისათვის. საქმარისია თუ იციან, რომ მათი განაჩენი აპელაციას არ ექვემდებარება; მაშინ ვერავითარი მფარველი, ვერავითარი დაცვა, ციხის სქელი კედლებიც კი ვერ იხსნიან მას განაჩენის სისრულეში მოყვანისაგან.

როგორც ყველა საიდუმლო ორგანიზაციამ, მადიამაც შეიმუშავა საკუთარი ენა, თავისებური არგო (ქარგონი, — მთარგ), რითაც მისი წევრები ლაპარაკობენ ხალხში, მაგრამ მათ არაფერი გაეგებათ. მაგალითად, სიტყვა „ტუფა“ ყვინთვა) ნიშნავს რეგოლვერს, „გალუ“ (მამლაყინწა) — კარაბინერს (ქანდაარმს, — მთარგ). „გრაშუ“ (ჭუჭყი), რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ოქროს ნიშნავს და ა. შ. ორმა შემდეგმა გამოთქმამ კი — „უ პიცუ“ და „ამიკუ დი ლამიჩი“ — სახელი გაითქვა.

„უ პიცუ“ სიცილიური სიტყვაა და ნიშნავს „ჩიტის ნისკარტს“. ეს გამოთქმა შეიძლება შეგვხვდეს ასეც — „ნისკარტის დასველება“, რაც გადატანით ნიშნავს „წაცხებას“ ან „წვრილმანი გასამარტლოს მიცემას“. მადის ენაზე „უ პიცუმ“ მიიღო იმ გადასახლის მნიშვნელობა, რომელსაც დონი თხოვრობს გლეხის, აზნაურის, ან კომერსანტისაგან მათი მფარველობისათვის. „უ პიცუ“ მეტად დიდხანს იყო მადის შემოსავლის ძირითადი წყარო, როგორც სიცილიაში, ისე შეერთებულ შტატებში, სადაც მას ახალი სახელი შეარქვეს — „რაქეტი“.

მეგობართა მეგობარი

გამოთქმა „ამიკუ დი ამიჩი“-ს (მეგობართა მეგობარი) თაობაზე ასევე ბევრს ლაპარაკობენ. მიქელე პანტალეონე თავის წიგნში „მადია და ნარკოტიკები“ ამ გამოთქმას ასე განმარტავს:

„ეს არის პოლიტიკური მოღვაწე, თავისუ-

ფალი პროფესიის წარმომადგენელი, მოსამსახურე, ჩინოვნიკი, რომელმაც დამტკიცა მაფიისადმი ერთგულება და სოლიდარობა. ეს არის დეპუტატი, რომელიც მიმართავს მინისტრს, პოლიციის პრეფექტსა თუ უფროსს, კარაბინერთა პოლკოვნიკს. მათ კი სხვა საშუაოზე გადაყავთ ის ხელქვეითი, რომელიც მეტისმეტად გულმოდგინე, ბეჯითი ან ცნობისმოყვარეა. ეს არის ნაფიცი მსაჯული, რომელმაც სამხილთა ნაკლებობის გამო მიადწია სამართალში მიცემულის გამართლებას... ეს არის ექიმი, რომელიც მკურნალობს არაღვალურად..., ადვოკატი. რომელიც ისტატურად ფლობს მოწმეთა და მოსარჩელეთა დაბნევის ხელოვნებას, და ა. შ.“.

როგორც ვხედავთ, „მეგობართა“ სია გრძელია, მთავარი კი ის არის, რომ მაფიისათვის საჭირო თანამზრახველთა ქსელი მეტად ფართოა და იგი მას ძალიან ძვირი უჯდება. შესაძლებელია ამ სისტემის სიმართლის კონსტატირებაც; ადამიანთა ერთი ნაწილის დაშინებით იგი ღებულობს „უ პიცუსს“, რის წყალობითაც შეუძლია გადაუხადოს სხვებს, „მეგობრებს“, რომლებიც მორჩილნი არიან და საჭირო სამსახურს კისრულობენ.

მაფიას მაინც ღუმილი ურჩევნია სიტყვას. მას ყესტების მთელი რეპერტუარი გააჩნია, და თუ მაფიის ორი წევრი უხვვდა, თუნდაც მოწმის ვარეშე, მათ ბევრი ლაპარაკი მაინც არ ჭირდებათ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებსაც შეიძლება სერიოზული ამბები მოჰყვეს. მიღება-დახვედრა, გრიმასები, სიგარის ჩაქრობის განსაზღვრული მეთოდი, უბრალოდ ღუმილი უწყინარ, მაგრამ აზრით დატვირთულ შეკითხვაზე — ყოველივე ეს საკმარისია მოლაპარაკების ან განკარგულების გაცემისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის თაობაზე.

ასეთი ქცევის სრულიად გასაგები მიზანია რაც შეიძლება ნაკლები კვალის დატოვება. სამხილთა მიმართ ეს აკვიატებული იდეა მაფიისათვის ტიპურია. მაგალითად, იშვიათი როლია, როცა, სიცილიელი დონები ან ამერიკელი

ბოსები უარს ამბობენ, რათა პირადად გასცენ პასუხი ტელეფონით. მაგრამ ეს დამატებითი სიჭრბილვე სრულიად ზედმეტია. მათი ენა იმდენად გაუგებარი და ლაკონურია, რომ მათი ბინების კედლები თუნდ ყველაზე სრულყოფილი მიკროფონებითაც კი „გადატენონ“, ვერაფერს შეიტობთ კომპრომეტირებისათვის. ადვილი მისახვედრია თუ ასეთი „დაცვის კედლის“ შეთავსება „ღუმლის კედელთან“ რაოდენ რთული ამოცანების წინაშე აყენებს პოლიციას, მითუმეტეს მართლმსაჯულების ორგანოებს, მოწმეთა და სამხილთა ერთდროული არარსებობის გამო მაფიის წევრი თითქმის უვნებლად გრძნობს თავს.

მართალია, მაფია შემოდობილია ღუმლის კედლით, მაგრამ მას მაინც ჩრდილში მოქმედება ურჩევნია და არა ყველას თვალწინ. უკანასკნელი წლების მანძილზე, ძირითადად ვალაქის მხილების წყალობით, აგრეთვე პოლიციის მიერ განხორციელებული გამოძიებებითა და მაფიასთან ბრძოლის კომისიების გამოკვლევებით, ასევე მწერლების მიქელე პანტალონესა და დანილო დოლიის ცნობებით რამდენადმე უკეთესად ვიცით „პატიცეცემული საზოგადოების“ მოქმედების მეთოდები, თუმცაღა, ამან, როგორც ეს ყველაფერიდან ჩანს, ოდნავადაც ვერ შეუშალა ხელი მაფიის შემდგომ აღმავლობას. მაფიას აღარებენ გიგანტურ ობობას ქსელს, რომელიც ერთდროულად ფაქიზიც არის და მტკიცეც. ხანდახან შესაძლებელი ხდება მისი ამა თუ იმ ადგილზე გარღვევა, მაგრამ იგი მაშინვე აღდგება ხოლმე. მაფიის სისუსტის მიზეზი მისი მასშტაბი და იმ მრავალფეროვან სფეროთა ცვალებადობაა, რომელსაც უწყევს კონტროლს. ხოლო თავის სიმტკიცეს უნდა უმაღლოდეს წრიულ თავდებობას, მეგობართა იმ მრავალრიცხოვან კოჰორტას, რომელთა შექმნაც მან მოახერხა, აგრეთვე სინდისის ქენჯნას მოკლებულ თავის შინაგან დისციპლინას, ცინიკურ ოპორტუნუზმსა და ემპირიზმს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

«САБЧОТА САМАРТАЛИ» (Советское право), № 3, 1987 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

